იამზე გაგუა

# ლათინური ენა

(გრამატიკა, ქრესტომათია)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1987

81.2Лат.
გ 144

ნაშრომი შეიცავს ლათინური ენის გრამატიკის კურსს (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ქრესტომათიას, ლათინურ-ქართულ და ქართულ-ლათინურ (მოკლე) ლექსიკონს. წარმოდგენილია საკითხები ლათინური ენის ისტორიიდან.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის.

რედაქტორი აკ. ურუშაძე

რეცენზენტები: მ. ფიჩხაძე
გ. კოპლატაძე

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987 წ.

4602010000
Г ——————————
М 608 (С6) — 87

მამის — პანტელეიმონ გაგუას
ნათელ ხსოვნას უძღვნის
ამ წიგნს ავტორი

## წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს ლათინური ენის გრამატიკის კურსს, ქრესტომათიას, ლათინურ-ქართულსა და ქართულ-ლათინურ (მოკლე) ლექსიკონს.

გრამატიკულ ნაწილში წარმოდგენილია ფონეტიკის ძირითადი კანონები, ვრცლად არის გადმოცემული მორფოლოგია და სინტაქსი. ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებული გვაქვს საკითხები ლათინური ენის ისტორიიდან. ზოგჯერ ამა თუ იმ გრამატიკულ მოვლენასთან შესადარებლად მოხმობილია ქართული პარალელები და წარმოდგენილია საკუთარი დაკვირვებანიც.

ქრესტომათიის ყოველი ტექსტი სათანადო გრამატიკულ მასალაზეა აგებული. პირველი ორი პარაგრაფი ცალკეული წინადადებებისაგან შედგენილი საკითხავი მასალაა, ყველა დანარჩენი — გაბმული ტექსტია. თითოეულ ტექსტს ერთვის სენტენციები და ქართულიდან ლათინურ ენაზე სათარგმნელი მასალა.

ტექსტების ნაწილი რომაულ მითოლოგიაზეა აგებული. გამოყენებულია ნაწყვეტები რომაელ ავტორთა თხზულებებიდან და მთლიანი ნაწარმოებებიც, რომლებშიც უხვადაა საჭირო გრამატიკული მასალა. ტექსტების ასე შერჩევა მეთოდურად გამართლებული გვეჩვენება: ჯერ ერთი, ლათინური ენის შემსწავლელი, გრამატიკული ფორმების დაფიქსირებასთან ერთად, ორიგინალში ეცნობა რომაელ ავტორთა თხზულებებს და მეორეც, მხოლოდ ეს გზაა საიმედო ლათინური ენის სპეციფიკის შეცნობად და მისი რთული სინტაქსური კონსტრუქციების შესასწავლად.

§ 5-ისა და § 6-ის ტექსტი პოეგლის სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული, § 7-ში მოთავსებული ტექსტი აღებულია იარხო-ლობოდას, § 8 და § 9-ისა კი — კოზარჟევსკის სახელმძღვანელოებიდან. § 9-ის ტექსტი ოდნავ შეცვლილია. § 11-ის ტექსტი კონდრატიევის სახელმძღვანელოს მიხედვით არის დამუშავებული, ხოლო § 21-სთვის შნაიდერის სახელმძღვანელო გამოვიყენეთ. § 12-ისა და § 13-ის ტექსტები ჩვენს მიერ არის შედგენილი. დანარჩენი ტექსტებისათვის ორიგინალური თხზულებები შევარჩიეთ.

პირველ ათ პარაგრაფს სიტყვათა ახსნა იქვე ერთვის. რათა ლათინური ენის შემსწავლელს. რომელიც ჯერ კიდევ არ იცნობს გრამატიკულ ფორმებს. თარგმნა გაუადვილდეს. ამის შემდეგ მიზანშეწონილია წიგნის ბოლოს დართული ლექსიკონით სარგებლობა.

არსებითი სახელი. როგორც წესი, წარმოდგენილია მხოლობითი რიცხვის სახელობითის ფორმით. ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება და სქესი გვერდით აღნიშნება (dominus. i m ბატონი). ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მთლიანად არის წარმოდგენილი (iter, itineris n).

ოთხივე ძირითადი ფორმით თავისებური ზმნებია წარმოდგენილი. ჩვეულებრივ კი, II და III ფორმების მხოლოდ დაბოლოებებია მითითებული. ტექნიკური მიზეზების გამო არ მოხერხდა ხმოვნის სიგრძე -სიმოკლის აღნიშვნა, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში ვიყენებთ მახვილს, ინფინიტივუსის ნაცვლად ციფრებით მივუთითებთ, თუ რომელი უღლილებისაა ზმნა: amo, avi. atum I მიყვარს

პრივერბიანი ზმნის ძირითადი ფორმები პერფექტუმსა და სუპინუმში. უმეტესად. უპრეეერბოდ არის მითითებული.

desumo, sumpsi. sumptum 3 გამოვარჩევ. ავიღებ

სახელმძღვანელოზე მუშაობისას, ძირითადად. გავითვალისწინეთ შემდეგი ლიტერატურა:


1. ს. ყაუხჩიშვილი, ლათინური ენის სახელმძღვანელო, თბ.. 1967.
2. ს. ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
3. აკ. ურუშაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები, თბ., 1980.
4. Н. Т. Бабичев, Я. М. Боровский, Словарь латинских крылатых слов, М., 1982.
5. Я. М. Боровский, А. В. Болдырев, Учебник латинского языка, М.. 1975.
6. И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1976.
7. А. Ч. Козаржевский, Учебник латинского языка, М., 1981.
8. С. П. Кондратьев, А. И. Васенков, Учебник латинского языка. М.. 1954.
9. Латинский язык, Под общей редакцией В. Н. Ярхо и В. И. Лободы, М., 1983.
10. В. М. Линдсей, Краткая историческая грамматика латинского языка. М.. 1948.
11. А. Н. Попов, П. М. Шендянин, Латинский язык. М., 1970.
12. С. И. Соболевский, Грамматика латинского языка, ч. I, М., 1950.
13. И. М. Тронский, Историческая грамматика латинского языка, М., 1960.
14. А. Эрну, Историческая морфология латинского языка, М.. 1950.
15. Р. Гандева, А. Милев, И. Браткоп, М. Порталски, Латинска граматика, София, 1961.
16. Lateinisches Lehrbuch von Alois Pögl, Berlin, 1963.
17. Schneider Ilse, Lateinische Satzlehre. Leipzig, 1970.
18. Stolz F., Schmalz I. H., Lateinische Grammatik, München, 1928.

# გრამატიკა

## ფონეტიკა

§ 1. **ლათინური ენა** (Lingua Latina) ინდოევროპულ ენათა ოჯახის ძირითადი წევრთაგანია. იგი იყო ძველი რომაელების ენა. თავდაპირველად ამ ენაზე მეტყველებდა აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, ლაციუმში (Latium) მობინადრე ერთ-ერთი უძველესი იტალიკური ტომი, რომელსაც ლატინებს უწოდებდნენ. ლაციუმის მთავარი ქალაქი რომი (Roma), გაძმოცემის თანახმად, დაარსებულა ძვ. წ. 753 წ. ლათინურმა ენამ სახელწოდება მიიღო ლატინთა (Latini) ტომისაგან, ხოლო ამ ენაზე მეტყველ ხალხს რომაელები (Romani) ქალაქ რომის სახელის მიხედვით ეწოდა.

§ 2. აპენინის ნახევარკუნძულზე მოსახლეობდნენ სხვა იტალიკური ტომებიც. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ოსკები, უმბრები, საბინები... ლაციუმს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებოდა ეტრუსკებით დასახლებული ეტრურია. უძველესი ცივილიზაციის მხარე, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია რომაულ ხელოვნებას, რელიგიას, დამწერლობას. აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილსა და სიცილიაში, ე. წ. „დიდ საბერძნეთში“ (Graccia Magna) მოსახლეობდნენ ბერძნები, რომელთა ენამ და კულტურამ ასევე დიდი გავლენა იქონია ლათინური ენისა და რომაული კულტურის განვითარებაზე.

§ 3. ლატინებმა თანდათანობით დაიპყრეს მეზობელი ტომები. დაიმორჩილეს ოსკები, უმბრები, ეტრუსკები, სიცილიელი ბერძნები და ლათინური ენა მთელს იტალიაში გაავრცელეს (ძვ. წ. III ს.). შემდეგ, როცა რომმა პუნიკურ ომებში კართაგენზე გაიმარჯვა (II პუნიკური ომი) და ხმელთაშუაზღვის აუზს დაეპატრონა (ახ. წ. I ს.), შექმნა უზარმაზარი იმპერია, დასავლეთ პროვინციებში (ესპანეთში ანუ იბერიაში, გალიაში ...) ლათინური ენა ითვლებოდა სახელმწიფო ენად, აღმოსავლეთ პროვინციებში კი (საბერძნეთში, მცირე აზიაში, აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე...), სადაც რომაელთა შეჭრამდე ძლიერი იყო ბერძნული ენისა და კულტურის გავლენა, ლათინურმა ენამ დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ბილინგვიზმი, ბერძნები ეუფლებიან ლათინურ ენას და რომაელები ბერძნულს.

§ 4. უპირველესი ნიმუში ლათინური დამწერლობისა არის წარწერა ოქროს ბალთაზე, რომელიც აღმოჩენილია რომის აღმოსავლეთით ძველ-

ბარე ქალაქ პრენესტეში 1871 წ. იგი ძვ. წ. VII ს. დასასრულს მიეკუთვნება. წარწერა იუწყება, რომ ბალთა დაუმზადებია ვინმე მანიუსს ნუმერიუსისათვის. უძველესია აგრეთვე 1978 წელს სატრიკში (რომის მახლობლად მდებარე ძველი ქალაქი) აღმოჩენილი წარწერა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. შემდეგი წარწერა საკრალური ხასიათის ტექსტის ნაწყვეტს წარმოადგენს, რომელიც შავი ქვის სტელის ნამსხვრევზე არის შესრულებული. იგი აღმოაჩინეს რომის ფორუმის გათხრების ღროს 1899 წელს. დათარიღებულია ძვ. წ. V საუკუნით. შედარებით გვიანდელი პერიოდის არის 1880 წ. რომში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელზე შესრულებული წარწერა, რომელიც „დუენოსის" სახელითაა ცნობილი (რადგან წარწერაში იკითხება bonus -ის უძველესი ფორმა duenos „კეთილი"). ძვ. წ. III საუკუნიდან უფრო მრავლად მოიპოვება ლათინური წერილობითი ძეგლები.

§ 5. ლათინური ენის განვითარებაში გამოჰყოფენ შემდეგ პერიოდებს: არქაული (ძვ. წ. III ს. — ძვ. წ. II ს.) ანუ კლასიკურამდელი პერიოდის ლათინური (პლავტე, ტერენციუსი, კატონი...); ოქროს ხანის (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს.) ანუ კლასიკური პერიოდის ლათინური (კეისარი, ციცერონი, ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი ...); ვერცხლის ხანის (ახ. წ. II ს.) ანუ გვიანკლასიკური ხანის ლათინური (ტაციტუსი, იუვენალი, მარციალი, პეტრონიუსი, აპულეუსი...); გვიანი ხანის ლათინური (ახ. წ. III ს. — ახ.წ.VI ს.). ეს არის გვიანი იმპერიისა და მისი დაცემის შემდეგ „ბარბაროსულ" სახელმწიფოთა წარმოშობის ეპოქა. ამ პერიოდში ლათინური ენა ივსება პროვინციალიზმებით, ბარბარიზმებით, მარტივდება კანკლედობა, ვითარდება ანალიტიკური ფორმები. ამ პერიოდის მწერლები არიან: ამიანე მარცელინუსი და ქრისტიანი ავტორები.

§ 6. **ლათინური ანბანი.** ლათინურ ანბანს საფუძვლად დაედო ეტრუსკულისა და დასავლეთ ბერძნული ენის ანბანი. ძვ. წ. I საუკუნემდე ლათინური ანბანი 21 ასოს შეიცავდა.

| ასომთაერული | ნუსხური | სახელწოდება | გამოთქმა |
|---|---|---|---|
| A | a | a | ა |
| B | b | be | ბ |
| C | c | ce | კ |
| D | d | de | დ |
| E | e | e | ე |
| F | f | ef | ფ |
| G | g | ge | გ |
| H | h | ha | ჰ |
| I | i | i | ი |
| K | k | ka | კ |
| L | l | el | ლ |
| M | m | em | მ |
| N | n | en | ნ |
| O | o | o | ო |
| P | p | pe | პ |
| Q | q | qu | კ |
| R | r | er | რ |
| S | s | es | ს |
| T | t | te | ტ |
| U | u | u | უ |
| X | x | ix | ქს |

§ 7. ეს 21 ასო შეადგენდა ოფიციალურ ლათინურ ანბანს. მას შემდგომ დაემატა **y** „ი ფსილონი“ („ი გრეკული“, ე. ი. „ბერძნული ი“) და შემდგომ **z** ზეტა, რომლებიც ბერძნულიდან შეთვისებულ სიტყვებში იხმარებოდა.

Zephyrus ზეფირი, დასავლეთის ქარი
Zona ზონა, სარტყელი
ეს ორი ასო ბოლოში დაერთო ლათინურ ანბანს.

U კლასიკურ ლათინურში აღნიშნავდა ხმოვანსაც (უ) და თანხმოვანსაც (ვ).

uinum (ვინუმ) ღვინო
ueni (ვენი) მივედი

XVI საუკუნეში თანხმოვნის აღსანიშნავად შემოიღეს ცალკე გრაფიკული ნიშანი v. ეს ასო მოთავსდა ანბანში u-ს შემდეგ. ამგვარად, მივიღეთ სულ 24 ასო.

ზოგჯერ ხმოვნის წინ მოთავსებულ i ხმოვნისათვის იყენებენ j-ს: iodum იოდი ან joduni.

ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვებისათვის ლატინებმა ბერძნული ჭეშეინვიერი თანხმოვნების φ, θ, χ, ῥ გადმოსაცემად ლათინურ თანხმოვანთა კომპლექსებს მიმართეს, მკვეთრ p, t, c-სა და r-ს დაუმატეს h და აჭრიგად მიიღეს: ფ, თ, ქ, ჰრ. ბერძნულიდან შეთვისებული ეს თანხმოვნები თავდაპირველად ბერძნულ გამოთქმას უახლოვდებოდნენ, მერმე კი: ch გამოითქმის როგორც ხ, ph — როგორც ფ, th დაუახლოვდა ტ-ს, rh-მ კი დაკარგა ფშეინვიერება.

charta (ქარტა, ხარტა) ქაღალდი
Philippus (ფილიპუს, ფილიპუს) ფილიპე
theatrum (თეატრუმ, ტეატრუმ) თეატრი
Rhodus (როდუს) როდოსი

## ხმოვნები (Vocáles)

§ 8. ლათინურ ენაში ექვსი ხმოვანია: a, e, i, y, o, u. ამ ხმოვანთათვის დამახასიათებელია სიგრძე-სიმოკლე ანუ კვანტიტატი (quantitas). გრაფიკულად მოკლე და გრძელი ხმოვნები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში ხმოვნის სიგრძის აღსანიშნავად გამოიყენება ნიშანი—, ხოლო სიმოკლისათვის ◡. ეს ნიშნები ხმოვანს თავზე დაესმის.

**დიფთონგები.** ლათინურ ენაში არის დაღმავალი დიფთონგები. ე. ი. მეორე ხმოვანი უმარცვლოა. დიფთონგებია: ae, oe, au, eu. ae დიფთონგში თავდაპირველად გამოითქმოდა ორივე ხმოვანი, მსოლოდ e უფრო სუსტად. შემდგომ ამ დიფთონგის გამოთქმა დაემსგავსა გრძელ e ხმო-

ვანს. œ დიფთონგშიც o ხმოვნის გვერდით გამოითქმოდა e-ც, მაგრამ შემდეგ დაეწსგავსა გერმანულ ö-ს. au დიფთონგი გამოითქმოდა როგორც აუ ან ავ, eu როგორც ეუ ან ევ.

poena (პენა) სასჯელი
saepe (სეპე) ხშირად
aurora (აურორა) აურორა
Europa (ევროპა) ევროპა

როცა ზემოთ დასახელებული ხმოვნები ერთმანეთის მეზობლობაში არ ქმნიან დიფთონგებს, მეორე ხმოვანს თავზე დაესმის ორი წერტილი ე. წ. puncta diaereseos „განყოფის წერტილები" ან სიგრძის ნიშანი.

poëta (პოეტა) პოეტი

### თანხმოვნები (Consonantes)

§ 9. c ასო არქაულსა და კლასიკურ ლათინურში გამოითქმოდა როგორც კ. მოგვიანებით, დაახლოებით ახ. წ. VI საუკუნეში, e, i, y, ae, oe ხმოვნების წინ პალატიზირებულ იქნა და გამოთქმაში მოგვცა ც.

caelum (კელუმ, შემდგომ ცელუმ)ცა
Cicero (კიკერო, შემდგომ ციცერო) ციცერონი
scio (სკიო, შემდგომ სციო) ვიცი
მაგრამ caput (კაპუტ) თავი, credo (კრედო) მჯერა

ti კომპლექსი კლასიკურ ხანაში გამოითქმოდა როგორც ტი. მხოლოდ ახ. წ. IV—V საუკუნეებში პალატიზირებულ იქნა ხმოვნების წინ და გამოთქმაში მოგვცა ცი.

motio (მოტიო, შემდეგ მოციო) მოძრაობა
scientia (სკიენტია, შემდეგ სციენცია) ცოდნა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ti არ გამოითქმოდა როგორც ცი შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მას მახვილი მოუდიოდა:

totus მთელი, მხ. რ. ნათესაობითში totius (ტოტიუს)

ბ) თუ ti-ს წინ უძღოდა s, x, t.

bestia (ბესტია) მხეცი
mixtio (მიქსტიო) ნარევი
Attius (ატიუს) ატიუსი, საკუთარი სახელი

გ) თუ ti ბერძნულ ნასესხობებში იყო:

Bocotia (ბეოტია) ბეოტია, მხარე საბერძნეთში.

c ასო არქაულ ლათინურში გამოხატავდა როგორც კ, ასევე გ ბგერასაც. „დუენოსის" წარწერაში იკითხება virco — ქალიშვილი, ნაცვლად virgo-სი. საკუთარი სახელის Gaius-ის შემოკლებული ფორმაა C.ხოლო Gnaeus-ის Cn.

k ასო, რომელიც კ ბგერას გამოხატავდა, ადრე გამოვიდა ხმარებიდან. ის მხოლოდ ორ სიტყვაში გვხვდება:

Kalendae კალენდე. ყოველი თვის პირველი რიცხვი

Kaeso კეზო, მამაკაცის სახელი

q გვხვდება u. ხმოვანთან ერთად და გამოითქმის როგორც კვ. aqua (აკვა) წყალი.

g თანხმოვნისათვის ძვ. წ. III საუკუნეში შემოიღეს ახალი ასო, ოღნავ განსხვავებული c-საგან, g.

ngu კომპლექსი ხმოვნის წინ გამოითქმის როგორც გვ.

lingua (ლინგვა) ენა.

ასევე ხმოვნის წინ su კომპლექსიც ზოგჯერ სვ-დ იკითხება. suadeo (სვადეო) ვურჩევ.

s კლასიკურ ხანაში ყველა პოზიციაში გამოითქმოდა როგორც ს, გვიანდელ ეპოქაში ორ ხმოვანს შორის მოქცეულმა, ანუ ინტერვოკალურმა s-მ გამოთქმაში მოგვცა ზ.

Asia (აზია) აზია

rosa (როზა) ვარდი

## სიტყვის დამარცვლა

§ 10. მარცვლები იყოფა შემდეგნაირად: ა) ერთი ხმოვანი სიტყვის შიგნით მომდევნო ხმოვანს მიეკუთვნება.

ro-sa ვარდი

ta-bu-la დაფა

ბ) ორი თანხმოვნიდან ერთი წინა ხმოვანთან რჩება, მეორე კი მომდევნო ხმოვანს მიყვება:

has-ta შუბი

mus-ca ბუზი

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ ჯერ ყრუ თანხმოვანია, შემდეგ კი ნარნარა, ე. წ. muta cum liquida, ასეთი თანხმოვნები არ გაითიშება. ე. ი. თუ b, g, d, p, c, t-ს მოსდევს l, r.

pa-tri-a სამშობლო

მაგრამ for-tu-na ბედი

დ) რამდენიმე თანხმოვანთაგან უკანასკნელი მომდევნო ხმოვანს მისდევს, დანარჩენი წინა ხმოვანთან რჩება:

punc-tum წერტილი

ე) თავსართი ცალკე გამოიყოფა:

abs-cedo ვშორდები

de-scendo ჩავდივარ

### ღია და დახურული მარცვალი

§ 11. მარცვალი დახურულია, თუ თანხმოვნით მთავრდება, ღიაა, თუ ხმოვნით ბოლოვდება:

ta-bu-la აქ სამივე მარცვალი ღიაა.

for-tu-na აქ for დახურულია — tu და na ღია.

### მარცვლის სიგრძე-სიმოკლე (კვანტიტატი)

§ 12. მარცვალი გრძელია, თუ გრძელ ხმოვანს შეიცავს, მოკლეა, თუ მოკლე ხმოვანს შეიცავს.

ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე ბუნებით (natúra), ან მდებარეობით (positione).

ა) დიფთონგი, რაკილა ორი ხმოვნის შერწყმითაა მიღებული, გრძელია:

poena სასჯელი

ბ) ხმოვანი გრძელია მდებარეობით ანუ პოზიციურად, თუ მას ორი ან მეტი თანხმოვანი (muta cum liquida-ს გამოკლებით) ან რთული თანხმოვანი x მოსდევს:

monuméntum ძეგლი

próxime ძალიან ახლოს

მაგრამ ténebrae წყვდიადი (br-ის წინ e მოკლეა)

გ) ხმოვანი მოკლეა მდებარეობით, თუ მას ხმოვანი ან h თანხმოვანი მოსდევს: mótio მოძრაობა (i მოკლეა)

prohibeo ვაკავებ (pro მარცვალში o მოკლეა).

დ) თუ ხმოვანს ერთი თანხმოვანი მოსდევს, უნდა ვიცოდეთ ბუნებით როგორია, გრძელი თუ მოკლე. ასეთ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ლექსიკონს, სადაც აღნიშნულია ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე, ან მახვილი.

amícus მეგობარი

pópulus ხალხი

### მ ა ხ ვ ი ლ ი

§ 13. მახვილი ლათინურ ენაში სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზე, ან მესამეზე (თუ მეორე მარცვალი მოკლეა):

tábula amícus monuméntum

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ა) ბოლოდან პირველ მარცვალზე მახვილი მაშინ შეიძლება იყოს, თუ ეს მარცვალი ფონეტიკური ცვლილების შედეგად არის მიღებული:

illíc ← illíce იქ

istúc ← istúce იქით

ბ) ბოლოდან მეორე მოკლე მარცვალზე მახვილი დაისმის იმ შემთხვევაში, თუ სიტყვას ენკლიტიკური -que, -ve, -ne ნაწილაკები ერთვის.

fílius ვაჟიშვილი
fília ქალიშვილი
fílius filiáque ვაჟიშვილი და ქალიშვილი
que აქ და კავშირის ფუნქციას ასრულებს.

თუ que არ გაიაზრება როგორც კავშირი, მაშინ მახვილი ჩვეულებრივი წესით დაისმის.

úndique ყოველი მხრიდან
itaque ამგვარად

### თანხმოვანთა ჯგუფები

§ 14. ლათინურ ენაში 18 თანხმოვანია.

ხშული (mutae): c (k, q), g, d, t, p, b
ნარნარა (liquidae): l, r
ნაპრალოვანი (spirantes): s, f, v
ფშვინვიერი (aspirata): h
რთული (compositae): x (cs), z (ds)
ცხვირისმიერი (nasales): m,n

ხშული თანხმოვნები შემდეგნაირად ჯგუფდება:

m u t a e

| წარმოთქმის ადგილის მიხედვით | წარმოთქმის ხარისხის მიხედვით | |
|---|---|---|
| | ყრუ (tenues) | მჟღერი (mediae) |
| ბაგისმიერი (labiales) | p | b |
| კბილისმიერი (dentales) | t | d |
| ხორხისმიერი (gutturales) | c (k, q) | g |

### მთავარი ფონეტიკური კანონები

### ხმოვნის მონაცვლეობა

§ 15. ა) ღია მარცვლის მოკლე ხმოვანი სიტყვის შუაში გადადის მოკლე i-ში:

capio ვიღებ, accipio ვღებულობ a>i
caput თავი, capitis თავის u>i
miles მეომარი, militis მეომრის e>i
homo ადამიანი, hominis ადამიანის o>i

ბ) r-ს წინ i გადადის მოკლე e-ში.

capio ვიღებ, capere მიღება

გ) ღია მარცვლის ae დიფთონგი სიტყვის შუაში გადადის გრძელ i-ში, au — გრძელ u-ში:

exaestimo → existimo ვსჯი, ვთვლი ae > i

abcauso → accuso ბრალს ვდებ au > u

დ) ბოლოკიდური a მოკლე თანხმოვნის ან თანხმოვანთა ჯგუფის წინ მრავალმარცვლიან სიტყვებში, ასევე სიტყვის შუა დახურულ მარცვალში მოკლე e-ში გადადის:

artifax → artifex ხელოვანი

particaps → particeps მონაწილე

factum საქმე, perfectum ნამყო სრული. დასრულებული.

ე) ბოლოკიდური მოკლე i ღია მარცვალში გადადის მოკლე e-ში

mari → mare ზღვა

facili → facile ადვილად

ვ) მოკლე o დახურულ მარცვალში სიტყვის ბოლოს გადადის მოკლე u-ში:

bellom → bellum ომი

mittont → mittunt გზავნიან

ზ) გრძელი ხმოვანი სიტყვის ბოლოს ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში l, r, m, t -ს წინ მოკლდება:

orator (ბოლოკიდური o მოკლეა) ორატორი

amat (ბოლოკიდური a მოკლეა) უყვარს

!

### ხმოვნის დაკარგვა

§ 16. მოკლე ხმოვანი შუა მარცვალში, განსაკუთრებით ნარნარა თანხმოვნებთან, ამოვარდება. ამ მოვლენას სინკოპე ეწოდება:

valide → valde ძალიან

მოკლე ხმოვანი სიტყვის ბოლოს ხშირად იკარგება. ამ მოვლენას აპოკოპეს უწოდებენ:

*animali → animal ცხოველი

hice → hic აქ

### ხმოვნის ჩართვა

§ 17. ზოგჯერ თანხმოვნებს შორის ჩაერთვის მოკლე ხმოვნები i, e, u. ამას ანაპტიქსი ეწოდება:

periclum → periculum საფრთხე

*agr → ager ყანა, მიწა

*faclis → facilis ადვილი

§ 18. ინტერვოკალური s ლათინური ენის განვითარების გარკვეულ პერიოდში გადავიდა r-ში:

flos ყვავილი, flosis → floris ყვავილის

*esam → eram ვიყავი

### თანხმოვნის დაკარგვა

§ 19. ა) ინტერვოკალური v იკარგება:

divitior → ditior უფრო მდიდარი

audivisti → audisti მოისმინე

audiveram → audieram მომისმენია

magis volo → mavolo → malo ძალიან მინდა

ბ) m თანხმოვანი სიტყვის ბოლოს სუსტად გამოითქმოდა, ამიტომ პოეზიაში m-თი დამთავრებული სიტყვა ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ ხშირად ელიზიას განიცდიდა:

Exegi monument(um) aere perennius (Hor.)

ძეგლი ავიგე სპილენძზე უფრო გამძლე.

## ასიმილაცია

### ნაწილობრივი ასიმილაცია

§ 20. m თანხმოვანი d, t, s თანხმოვნების წინ გადადის n-ში: septemdecim → septendecim ჩვიდმეტი (septem „შვიდი", decem „ათი"). eumdem → eundem მასვე (eum „მას" dem „ვე") b. g თანხმოვნები s, t-ს წინ გადადის p, c-ში.

rego ვმართავ, recsi → rexi ვმართე

scribo ვწერ, scripsi დავწერე

### სრული ასიმილაცია

§ 21. c, g, p, f, t, r, l, s თანხმოვნების წინ d სრულ ასიმილაციას განიცდის:

| | |
|---|---|
| adcedo → accedo | ვუახლოვდები |
| adgero → aggero | მომაქვს |
| adpropinquo → appropinquo | ვუახლოვდები |
| adfero → affero | მომაქვს |
| adtribuo → attribuo | ვანიჭებ |
| adrideo → arrideo | ვიცინი (ვინმესთან ერთად) |
| adloquor → alloquor | ვესაუბრები |
| adsumo → assumo | მივიღებ |

t თანხმოვანი s-ს წინ სრულ ასიმილაციას განიცდის:

* dots → doss → dos მზითევი

### ორმაგი თანხმოვნის გამარტივება

§ 22. ორმაგი თანხმოვანი სიტყვის ბოლოს თანხმოვანთან მეზობლობაში, ან გრძელი ხმოვნისა თუ დიფთონგის შემდეგ, მარტივდება:

caussa → causa მიზეზი

*ridsi → rissi → risi ვიცინე

### დისიმილაცია

§ 23. ორი ერთნაირი ან ერთმანეთის მსგავსი თანხმოვნებიდან ერთი განიმსგავსებს:

* pluraris → pluralis მრავლობითი

*medidies → meridies შუადღე

### იამბიკური დამოკლება

§ 24. გრძელი ხმოვანი, რომელიც მოკლე ხმოვანს მოსდევს, ზოგიერთ ორმარცვლიან სიტყვაში მოკლდება:

mihi მე (მიც.), tibi შენ (მიც.), sibi მას

ბოლოკიდური i ყველგან მოკლეა

# მორფოლოგია

## არსებითი სახელი (NOMEN SUBSTANTIVUM)

§ 25. არსებით სახელებს ლათინურ ენაში აქვს სამი სქესი (genus): მამრობითი (masculinum), მდედრობითი (femininum), საშუალო (neutrum).

სქესის განსაზღვრა შეიძლება სუფიქსებისა და სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით. მნიშვნელობის მიხედვით მამრობით სქესს მიეკუთვნებიან: მამრობითი სქესის ცოცხალ არსებათა სახელები, მდინარეთა, ქართა, თვეთა სახელები. მდედრობითისაა: მდედრობითი სქესის ცოცხალ არსებათა სახელები, ხეების, ქვეყნების, კუნძულების სახელები. საშუალო სქესისაა: უბრუნველი და სუბსტანტირებული არსებითი სახელები:

puer, i m ბიჭი
Aquilo, onis m აქვილონი, ჩრდილოეთის ქარი
Sequana, ae m სენა
quercus, i f მუხა
Aegyptus, i f ეგვიპტე
pondus, eris n წონა
fas n ნება

ზოგ სახელს ორი სქესი აქვს (Nomina communia)

civis, is m, f მოქალაქე
parens, ntis m, f მშობელი

ზოგი სახელი, რომელსაც ორი სქესი აქვს, ბოლოკიდურის ცხედვით განასხვავებს სქესს (Nómina mobilia):

filius, i m ვაჟიშვილი
filia ae f ქალიშვილი

### რიცხვი (Número)

§ 26. ლათინურ ენაში ორი რიცხვია: მხოლობითი (singuláris) და მრავლობითი (plurális). ზოგ სახელს მხოლოდ მხოლობითი რიცხვი აქვს (singularia tantum), ზოგს — მხოლოდ მრავლობითი (pluralia tantum).

| Singularia tantum | Pluralia tantum |
|---|---|
| aes alienum n ვალი | arma, orum n იარაღი |
| ius iurandum n ფიცი | castra, orum n ბანაკი |

შენიშვნა: ლათინურ ენაში შემორჩენილია კვალი ორობითი რიცხვისა (Numerus dualis): duo ორი, ambo ორივე.

ძველ წარწერებში. სადაც ოჯახის ორი წევრია მოხსენებული. სახელი ორობით რიცხვშია (პოლოკიდური o) წარმოდგენილი.

### ბრუნვა (Casus)

§ 27. სახელი ლათინურ ენაში ბრუნვების მიხედვით იცვლება. ბრუნვა ექვსია: Nominativus სახელობითი, Genetivus ნათესაობითი, Dativus მიცემითი. Accusativus აკუზატივუსი. ბრალდებითი. Ablativus მოქმედებითი. Vocativus წოდებითი.

Nominativus-ი არის ქვემდებარისა და რთული შემასმენლის სახელადი ნაწილის ბრუნვა. ქართულად იგი სამი ბრუნვით გადმოიცემა: სახელობითით. მოთხრობითითა და მიცემითით. Genetivus-ი კუთვნილების გამომხატველი ბრუნვაა. Dativus-ი ირიბი დამატების ბრუნვაა. მასში დაისმის აგრეთვე სახელი, რომელსაც მოქმედება მიეწერება. უწინდებელო Accusativus-ი არის პირდაპირი დამატების ბრუნვა. Ablativus-ი ნიშნავს „მოშორებას", „მოცილებას". მასში გაერთიანებულია ძველი იარაღობითი Instrumentális და ადგილობითი Locativus ბრუნვები. Ablativus-ში დასმული სახელი გამოხატავს მოქმედების იარაღს, ადგილს. დროის, ვითარების, მიზეზის გარემოებებს. Vocativus-ში დაისმის სახელი მიმართვის დროს.

### კანკლედობა (Declinatio)

§ 28. სახელები ფუძეების მიხედვით ხუთ კანკლედობად ანუ ბრუნებად იყოფიან. პირველ კანკლედობაში შედიან სახელები, რომელთაც ფუძე a ხმოვანზე უთავდებათ, მეორეში — o ხმოვანფუძიანი სახელები, მესამეში — თანხმოვანფუძიანი და i მოკლე ხმოვანფუძიანი სახელები, მეოთხეში — u ფუძიანი და მეხუთეში გრძელი e ფუძიანი სახელები.

### პირველი კანკლედობა (Declinatio prima)

§ 29. პირველ კანკლედობას მიეკუთვნებიან a ფუძიანი მდედრობითი და ზოგიერთი a ფუძიანი მამრობითი სქესის სახელი.

tabula, ae f დაფა
mensa, ae f მაგიდა
nauta, ae m მეზღვაური
agricola, ae m მიწის მუშა

### პირველი კანკლედობის სახელთა ბრუნება

§ 30.

| | Sing. | | Plur. | |
|---|---|---|---|---|
| Nom. | terr-a | naut-a | terr-ae | naut-ae |
| Gen. | terr-ae | naut-ae | terr-arum | naut-arum |
| Dat. | terr-ae | naut-ae | terr-is | naut-is |
| Acc. | terr-am | naut-am | terr-as | naut-as |
| Abl. | terr-a | naut-a | terr-is | naut-is |
| Voc. | terr-a | naut-a | terr-ae | naut-ae |

შენ. რიცხვის მოქმედებითში a დაბოლოება გრძელია.

### პირველი კანკლედობის სახელთა ბრუნების ისტორიისათვის

§ 31. მხოლობითი რიცხვის სახელობითში პირველი კანკლედობის სახელები წარმოდგენილი არიან -a დაბოლოებით, რომელიც თავდაპირველად გრძელი იყო, შემდეგ კი მოკლე a-ში გადავიდა.

ნათესაობითში დაბოლოება იყო -as, რაც დადასტურებულია წარწერებში, ზოგიერთ მწერალთა თხზულებებში და იურიდიულ ფორმულაშიც:

fortunas ბედის
vias გზის
terras მიწის
pater familias ოჯახის უფროსი (მამა)

შემდგომ ეს დაბოლოება შეიცვალა -i ხმოვნით, რომელიც მეორე კანკლედობის სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ანალოგიით გადაიღეს ჯერ პირველი კანკლედობის მამრობითი სქესის, ხოლო შემდეგ კი მდედრობითი სქესის სახელებმა. ამგვარად მივიღეთ: terrai, nautai. -ai დაბოლოება შემდგომ -ae დიფთონგში გადავიდა და კლასიკურ პერიოდში უკვე დაკანონებული ხდება ასეთი ფორმები: nautae, terrae

მხოლობითი რიცხვის მიცემითის დაბოლოება იყო თავდაპირველად -ai, რომელმაც შემდეგ მოგვცა -ae დიფთონგი:

მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსის დაბოლოებაში a მოკლე მივიღეთ გრძელი a ბოლოკიდურისაგან (სიტყვის ბოლოს გრძელი ხმოვანი ან თანხმოვნის წინ მოკლდება).

მხოლობითი რიცხვის მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -a მიღებულია -ad დაბოლოებისაგან თანხმოვნის დაკარგვის შედეგად:

nautad → nauta terrad → terra

მხოლობითი რიცხვის წოდებითში იყო -a დაბოლოება.

მრავლობითი რიცხვის სახელობითში თავდაპირველად იყო -as დაბოლოება. იგი შემდგომ -ai ბოლოკიდურმა შეცვალა (i ხმოვანი აქ შეორე კანკლედობის სახელთა ანალოგიით დაირთეს პირველი კანკლედობის სახელებმა). -ai მოგვიანებით -ae დიფთონგში გადავიდა:

terrai → terrae nautai → nautae

მრავლობითი რიცხვის ნათესაობითის ნიშანი -arum მიღებულია -arom-საგან, ხოლო თვით -arom -asom-საგან მივიღეთ როტაციზმის წესის თანახმად:

terrasom → terrarom → terrarum

მრავლობითი რიცხვის მიცემითსა და მოქმედებითში -is ბოლოკიდური შემდეგნაირად არის მიღებული: ais → eis → is terrais → terreis → → terris

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კლასიკურ ლათინურში მრავლობითი რიცხვის მიცემითსა და მოქმედებითში დადასტურებულია ბოლოკიდური -abus შემდეგ სიტყვებში: filiábus, deábus, libertábus

### პირველი კანკლედობის ბერძნული სახელების ბრუნება

§ 32. პირველი კანკლედობის ბერძნული სახელების ნაწილი, რომელიც ნასესხებია ლათინურში, ლათინური პირველი კანკლედობით იბრუნვის:

machina, ae f მანქანა
nauta, ae m მეზღვაური
poeta, ae m, f პოეტი

ნაწილმა სახელებისამ (განსაკუთრებით საკუთარმა) შეინარჩუნა ზოგიერთ ბრუნვაში ბერძნული დაბოლოება, ზოგი ბრუნვა ლათინურის პირველი კანკლედობით გაიფორმა:

| | | | |
|---|---|---|---|
| Nom. | Aeneas ენეასი | Perses პერსე | Alcmene ალკმენე |
| Gen. | Aeneae | Persae | Alcmenes, Alcmenae |
| Dat. | Aeneae | Persae | Alcmenae |
| Acc. | Aenean, Aeneam | Persen, Persem | Alcmenen, Alcmenam |
| Abl. | Aenea | Perse, Persa | Alcmene, Alcmena |
| Voc. | Aenea | Perse, Persa | Alcmene, Alcmena |

### მეორე კანკლედობა (Declinatio secunda)

§ 33. მეორე კანკლედობას მიეკუთვნება o ფუძიანი მამრობითი, საშუალო და რამდენიმე მდედრობით სქესის სახელი (ძირითადად მცენარეთა სახელწოდებები). მხოლობითი რიცხვის სახელობითში მამრობითი

სქესის სახელებს აქვთ -us, -er, -ir დაბოლოებანი, ხოლო საშუალო სქესის სახელებს -um. -ir ფუძიანი სახელი ერთადერთია vir „კაცი". მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში მეორე კანკლედობის ყველა სახელს აქვს -i, დაბოლოება.

მხოლობითი რიცხვის სახელობითში -ro ფუძიანმა სახელებმა (თუ იგი როტაციზმის გზით არ იყო მიღებული), ადრე დაკარგა ბოლოკიდური -os. ეს ის სახელებია, რომელთაც r-ს წინ მოკლე ხმოვანი ან თანხმოვანი უძღოდა. ასეთ სახელებში ჯერ დაიკარგა o ხმოვანი, შემდეგ ასიმილაციით გაჩნდა ორი r, შემდგომ კი ერთი მათგანი დაიკარგა და დარჩა -er ბოლოკიდური: pueros → puers → puerr → puer

ორმარცვლიანმა -ro ფუძიანმა სახელებმა, ასევე სახელებმა, რომელთაც ro-ს წინ გრძელი ხმოვანი ჰქონდათ, შეინარჩუნეს -os ბოლოკიდური.

ბრუნების დროს -er ფუძიანი სახელები, რომელთაც e მოკლე სახელობითში შემდგომ აქვთ ჩართული, მხოლობითი რიცხვის სახელობითისა და წოდებითის გარდა, ორივე რიცხვის ყველა ბრუნვაში კარგავენ e ხმოვანს. ის სახელები კი, რომლისთვისაც e ხმოვანი ფუძისეულია, ინარჩუნებენ მას.

Nom. puer ბიჭი
Gen. pueri
Dat. puero

მაგრამ

Nom. magister მასწავლებელი
Gen. magistri
Dat. magistro

### მეორე კანკლედობის სახელთა ბრუნება

§ 84.

| | Sing. | | |
|---|---|---|---|
| Nom. | amic-us მეგობარი | pu-er ბიჭი | magist-er მასწავლებელი |
| Gen. | amic-i | puer-i | magistr-i |
| Dat. | amic-o | puer-o | magistr-o |
| Acc. | amic-um | puer-um | magistr-um |
| Abl. | amic-o | puer-o | magistr-o |
| Voc. | amic-e | pu-er | magist-er |

| | Plur. | | |
|---|---|---|---|
| Nom. | amic-i | puer-i | magistr-i |
| Gen. | amic-orum | puer-orum | magistr-orum |
| Dat. | amic-is | puer-is | magistr-is |
| Acc. | amic-os | puer-os | magistr-os |
| Abl. | amic-is | puer-is | magistr-is |
| Voc. | amic-i | puer-i | magistr-i |

ასევე იბრუნვიან მეორე კანკლედობის -o ფუძიანი მდედრობითი სქესის სახელებიც.

საშუალო სქესის სახელები შემდეგ თავისებურებებს აცლენენ ბრუნების დროს: მხოლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში ერთნაირი ფორმები აქვთ, მრავლობითი რიცხვის ამავე ბრუნვებში კი a-ბოლოკიდური

| | Sing. | Plur. |
|---|---|---|
| Nom. | bell-um ომი | bell-a |
| Gen. | bell-i | bell-orum |
| Dat. | bell-o | bell-is |
| Acc. | bell-um | bell-a |
| Abl. | bell-o | bell-is |
| Voc. | bell-um | bell-a |

### მეორე კანკლედობის სახელთა ბრუნების ისტორიისათვის

§ 35. მხოლობითი რიცხვის სახელობითის -us და -um ბოლოკიდურები მომდინარეობენ -os და -om დაბოლოებებისაგან (იხ. ფონეტიკა, § 15, 3).

მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის -i ბოლოკიდური, როგორც ჩანს, oi-დან უნდა იყოს მიღებული, თუმცა დადასტურებული არსად არ არის.

მხოლობითი რიცხვის მიცემითის o გრძელი oi-საგან არის მიღებული.

მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსის um მომდინარეობს -om ბოლოკიდურისაგან.

მხოლობითი რიცხვის მოქმედებითის -o გრძელი მიღებულია -od დაბოლოებისაგან, d-ის დაკარგვის შედეგად.

მხოლობითი რიცხვის წოდებითში გვაქვს e მოკლე.

მრავლობითი რიცხვის სახელობითის -i ასეა მიღებული: oi → ei → i, საშუალო სქესის სახელებს აქვთ a მოკლე.

მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში მეორე კანკლედობის სახელებს -uum დაბოლოება ჰქონდათ, რომელიც -om -საგან არის მიღებული. -orum (← orom ← osom) დაბოლოება კი მიღებულია პირველი კანკლედობის სახელთა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითის -arum ბოლოკიდურის ანალოგიით.

მრავლობითი რიცხვის მიცემითისა და მოქმედებითის -is მომდინარეობს -ois ბოლოკიდურისაგან.

მრავლობითი რიცხვის აკუზატივუსის -os მიღებულია -ons ბოლოკიდურისაგან.

§ 36. 1. -ius-ზე დაბოლოებულ საკუთარ და საზოგადო სახელებს: filius „ვაჟიშვილი" და genius „გენია" მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში ხშირად ერთი -i აქვთ:

Valerius, Valeri  filius, fili

ასეთ შემთხვევაში მახვილი ბოლოდან მეორე ხმოვანზეა, თუნდაც ეს ხმოვანი მოკლე იყოს. წოდებითში ამ სახელებს აქვთ არა -e, არამედ -i. Valeri, fili

ასეთივე დაბოლოება აქვს წოდებითში კუთვნილებით ნაცვალსახელს meus ჩემი, mi

2. სახელს deus „ღმერთი" ზოგიერთ ბრუნვაში შერწყმული, ანასთანავე შეურწყმელი ფორმებიც აქვს:

| Sing. | Plur. |
|---|---|
| Nom. deus | dei, dii, di |
| Gen. dei, divi | deorum, deum |
| Dat. deo, divo | deis, diis, dis |
| Acc. deum | deos |
| Abl. deo, divo | deis, diis, dis |
| Voc. deus, dive | dei, dii, di |

3. locus, i m „ადგილი" მრავლობით რიცხვში იცვლის სქესს და იბრუნვის საშუალო სქესის სახელთა მსგავსად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნავს ადგილს, მდებარეობას, მხარეს. ხოლო თუ აღნიშნავს ადგილს წიგნში, ან სიტყვაში, მაშინ მრავლობითშიც მამრობითი სქესის მიხედვით იბრუნვის.

4. ცხრა ნაცვალსახელური ზედსართავი სახელი მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში ღებულობს -ius, ხოლო მიცემითში -i დაბოლოებას, რაც ნაცვალსახელთა ბრუნებისათვის არის დამახასიათებელი. ეს სახელებია:

unus, a, um ერთი
solus, a, um ერთადერთი, მხოლოდ ერთი
totus, a, um მთელი
uter, utra, utrum რომელი? (ორიდან რომელი?)
neuter, neutra, neutrum არც ერთი (ორში)
alter, altera, alterum მეორე, სხვა (ორიდან)
ullus, a, um რომელიღაც
nullus, a, um არც ერთი
alius, a, um სხვა (მრავლიდან)

მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში იქნება: unius, solius, totius და ა. შ.: მიცემითში uni, soli, toti და ა. შ.

ნაცვალსახელს alius მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში ენაცვლება alterius.

5. მდედრობითი სქესისაა, გარდა ქვეყნების, ქალაქების, კუნძულთა სახელებისა, humus „მიწა". „ნიადაგი".

6. საშუალო სქესისაა vulgus „ბრბო".

7. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან:

liber, libera, liberum თავისუფალი

liberi, liberorum m(plur. tantum) ბავშვები

liber, libri m წიგნი

libra, librae f ფუნტი, გირვანქა, სასწორი

### მეორე კანკლედობის ბერძნული სახელების ბრუნება

§ 37. მეორე კანკლედობის ბერძნულ სახელებში მამრობითსა და მდედრობით სქესში მხოლობითი რიცხვის სახელობითში -us ბოლოკიდურთან ერთად გვხვდება ბერძნული -os ბოლოკიდურიც. მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსში კი როგორც -um, ასევე -on ბოლოკიდური. საშუალო სქესის სახელებს მხოლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში აქვთ -um და -on ბოლოკიდურები.

Nom. arctos (arctus) f დათვი (თანავარსკვლავედი)

Acc. arcton (arctum)

Nom. Pergamon (pergamum) პერგამონი

ბერძნული -on ბოლოკიდური გვხვდება მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში წიგნის სახელწოდებაში:

epodon liber ეპოდთა წიგნი

### მესამე კანკლედობა (Declinatio tertia)

§ 38. მესამე კანკლედობით იბრუნვიან სამივე სქესის სახელები; ი ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანები. მხოლობითი რიცხვის სახელობითში მათ სხვადასხვა ბოლოკიდური აქვთ.

მამრობითი სქესის ბოლოკიდურები: -o, -or, -os, -er, -es (არათანაბარმარცვლოვანი)[1], ex.

---

[1] არათანაბარმარცვლოვანია -es, თუ მხოლობითი რიცხვის სახელობითსა და ნათესაობითში მარცვალთა რაოდენობა არ არის ერთნაირი. მაგ. სახ. miles ნათ. militis „ჯარისკაცი". თანაბარმარცვლოვანია -es (ასევე -is), თუ დასახელებულ ბრუნებაში მარცვალთა რაოდენობა ერთნაირია. მაგ. vulpes, vulpis „მელა", Civis, civis „მოქალაქე".

sermo, sermonis სიტყვა
custos, custodis დარაჯი
venter, ventris მუცელი, კუჭი
index, indicis მაჩვენებელი, ინდექსი
labor, laboris შრომა
pes, pedis ფეხი

გამონაკლისები (Exceptiones):

მდედრობითი სქესისაა:

caro, carnis ხორცი
quies, quietis დასვენება
seges, segetis ნათესი
merces, mercedis ჯილდო
abies, abietis ნაძვი
lex, legis კანონი
nex, necis მკვლელობა
dos, dotis მზითვი
arbor, arboris ხე
linter, lintris ნავი
mater, matris დედა

საშუალო სქესისაა:

| | |
|---|---|
| cor, cordis | გული |
| marmor, marmoris | მარმარილო |
| aequor, aequoris | ზღვის ზედაპირი |
| os, oris | პირი, სიტყვა |
| os, ossis | ძვალი |
| ver, veris | გაზაფხული |
| cadaver, cadaveris | ლეში, გვამი |
| piper, piperis | წიწაკა |
| cicer, ciceris | მუხუდო, ცერცვი |
| uber, uberis | ჯიქანი |
| iter, itineris | გზა |
| aes, aeris | სპილენძი |

მდედრობითი სქესის ბოლოკიდურები: -do, -go, -io, -as, -us, (gen. útis ან údis), -s, -x, -is, და -es (თანაბარმარცვლოვანი).

| | |
|---|---|
| civitas, civitatis | სახელმწიფო |
| ars, artis | ხელოვნება |

| | |
|---|---|
| arx, arcis | ციხესიმაგრე |
| navis, navis | ხომალდი |
| virtus, virtutis | სიქველე |
| imago, imaginis | გამოსახულება |
| ratio, rationis | გონება |
| similitudo, similitudinis | მსგავსება |
| vulpes, vulpis | მელა |

## გამონაკლისები

მამრობითი სქესისაა:

| | |
|---|---|
| piscis, piscis | თევზი |
| finis, finis | საზღვარი |
| unguis, unguis | ფრჩხილი |
| pulvis, pulveris | ფერფლი |
| mensis, mensis | თვე |
| amnis, amnis | მდინარე |
| collis, collis | ბორცვი |
| lapis, lapidis | ქვა |
| orbis, orbis | წრე |

(ე. ი. -cis, -guis, -nis და მისთ. ბოლოკიდურიანი სახელები).

| | |
|---|---|
| fons, fontis | წყარო |
| mons, montis | მთა |
| pons, pontis | ხიდი |
| dens, dentis | კბილი |
| ordo, ordinis | წესრიგი |
| margo, marginis | კიდე, არშია |
| pugio, pugionis | ხანჯალი |

საშუალო სქესისაა:

| | |
|---|---|
| vas, vasis | ჭურჭელი |
| ius, iuris | სამართალი |
| scipio, scipionis | კვერთხი |
| pus, puris | ჩირქი |
| rus, ruris | სოფელი |
| tus, turis | საკმეველი |

საშუალო სქესის ბოლოკიდურები: -ma, -men, -e, -l, -ar, -us (gen. -eris ან-oris), -ur, -t, -c.

| | |
|---|---|
| flumen, fluminis | მდინარე |
| mare , maris | ზღვა |

| | |
|---|---|
| animal, animalis | ცხოველი |
| corpus, córporis | სხეული |
| opus, óperis | შრომა, საქმე |
| guttur, gutturis | ხორხი |
| lac, lactis | რძე |
| caput, capitis | თავი |
| exemplar, exemplaris | მაგალითი |
| poema, poematis | პოემა |

გამონაკლისები

მამრობითი სქესისაა:

| | |
|---|---|
| sol, solis | მზე |
| sal, salis | მარილი |
| lepus, leporis | კურდღელი |
| mus, muris | თაგვი |
| turtur, turturis | გვრიტი |

მდედრობითი სქესისაა:

| | |
|---|---|
| tellus, telluris | მიწა |
| Venus, Veneris | ვენუსი |

### სახელობითი ბრუნვის წარმოება

§ 39. მესამე კანკლედობის სახელები სახელობით ბრუნვას აწარმოებენ ან -s თანხმოვნის დართვით (სიგმატურად), ან -s თანხმოვნის გარეშე (ასიგმატურად).

სიგმატურად აწარმოებენ სახელობით ბრუნვას: ხმოვანფუძიანი, ხორხისმიერ, ბაგისმიერ, კბილისმიერ თანხმოვანზე ფუძეგათავებული სახელები.

ა) ხმოვანფუძიანი: სახ. civis ნათ. civis ← civiis მოქალაქე

ბ) ხორხისმიერ ფუძიანებს სახელობითში აქვთ x.

dux ← ducs სარდალი, წინამძღოლი

lex ← legs კანონი

გ) კბილისმიერი თანხმოვნები s-ის დართვით ასიმილაციას განიცდიან. ამრიგად, ვღებულობთ -ss, შემდეგ ბოლოკიდური -s იკარგება:

laus ← lauss ← lauds ქება

salus ← saluss ← saluts ხსნა, იმედი

დ) ბაგისმიერი თანხმოვნები უცვლელი რჩებიან:

princeps, principis პრინცეპსი, პირველი

urbs, urbis ქალაქი

ე) ერთადერთი სახელი -m ფუძიანი hiems „ზამთარი“ სიგმატურად აწარმოებს სახელობით ბრუნვას.

ასიგმატურად აწარმოებენ სახელობით ბრუნვას საშუალო სქესის სახელები და -l, r, -n, -s ფუძიანი მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები.

ა) საშუალო სქესის -men ფუძიანი სახელები ინარჩუნებენ n თანხმოვანს. flumen, flúminis — მდინარე. ირიბ ბრუნვებში მოკლე e გადადის i მოკლეში (იხ. ფონეტიკა, § 15. ა).

მამრობითი და მდედრობითი სქესის -n ფუძიანები კარგავენ ბოლოკიდურ თანხმოვანს:

ratio, rationis f გონება
homo, hóminis m ადამიანი (o მოკლეს ირიბ ბრუნვებში ენაცვლება i).

ბ) -l, -r ფუძიანებს სახელობითში უმოკლდებათ ბოლო ხმოვანი:

consul, consulis m კონსული
orator, oratóris m ორატორი

ზოგიერთი სახელი -er ფუძიანი (mater „დედა“, pater „მამა“, frater „ძმა“, October „ოქტომბერი“) ირიბ ბრუნვებში კარგავს ბოლო ხმოვან e-ს.

frater, fratris, fratri ...

გ) -s ფუძიან სახელებში, მხოლობითი რიცხვის სახელობითისა და წოდებითის გარდა, s ორ ხმოვანს შორის როტაციზმის წესის თანახმად გადავიდა r-ში:

mos, moris m ჩვეულება
tempus temposis → temporis დრო

ზოგმა -s ფუძიანმა სახელმა ირიბი ბრუნვის ანალოგიით სახელობითში შეცვალა s თანხმოვანი r-თი:

honor, honoris პატივი, პატივისცემა — ფუძეა honos

### მესამე კანკლედობის სახელთა ბრუნება

§ 40. მესამე კანკლედობაში ძირითადად ორი ტიპის ბრუნებას განარჩევენ: ხმოვანფუძიანსა და თანხმოვანფუძიან ბრუნებას. ცალკე შეიძლება გამოვყოთ ნაწილი ხმოვანფუძიანი სახელებისა, რომლებსაც შერეული ტიპის სახელებს უწოდებენ. საშუალო სქესის სახელებს მხოლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში ერთნაირი ბოლოკიდურები აქვთ, მრავლობითი რიცხვის ამავე ბრუნვებში აქვთ ბოლოკიდური a.

### თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება

§ 41. ამ ჯგუფში შედიან სამივე სქესის თანხმოვანფუძიანი სახელები.

| | m | m | f | n | n |
|---|---|---|---|---|---|
| | | Sing. | | | |
| Nom. | orator | homo | salus | caput | corpus |
| Gen. | orator-is | homin-is | salut-is | capit-is | corpor-is |
| Dat. | orator-i | homin-i | salut-i | capit-i | corpor-i |
| Acc. | orator-em | homin-em | salut-em | caput | corpus |
| Abl. | orator-e | homin-e | salut-e | capit-e | corpor-e |
| Voc. | orator | homo | salus | caput | corpus |
| | | Plur. | | | |
| Nom. | orator-es | homin-es | salut-es | capit-a | corpor-a |
| Gen. | orator-um | homin-um | salut-um | capit-um | corpor-um |
| Dat. | oratór-ibus | homin-ibus | salút-ibus | capít-ibus | corpór-ibus |
| Acc. | orator-es | homin-es | salut-es | capit-a | corpor-a |
| Abl. | oratór-ibus | homín-ibus | salút-ibus | capít-ibus | corpór-ibus |
| Voc. | orator-es | homin-es | salut-es | capit-a | corpor-a |

### ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება

§ 42. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან -e, -l, -ar ბოლოკიდურიანი სახელები. მათ i ხმოვანი დაკარგული, ან შეცვლილი აქვთ:

animal ← animale ← animali ცხოველი
exemplar ← exemplare ← exemplari მაგალითი
mare ← mari ზღვა

ამ ჯგუფში შედის მხოლოდ რამდენიმე -is ბოლოკიდურიანი მდედრობითი სქესის სახელი:

| | |
|---|---|
| sitis, sitis | წყურვილი |
| puppis, puppis | კიჩო (ხომალდისა) |
| securis, securis | სეკირა |
| turris, turris | კოშკი |
| febris, febris | ციებ-ცხელება |
| vis | ძალა |
| Tiberis, Tiberis | ტიბრი |
| Neapolis, Neapolis | ნეაპოლი |

ხმოვანფუძიან მდედრობითი სქესის სახელებს თანხმოვანფუძიანებისაგან განსხვავებით მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსში აქვთ -im, მოქმედებითში -i, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში -ium დაბოლოება, საშუალო სქესის სახელებს მხოლობითი რიცხვის მოქმედებითში მოუდით

-i, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში -ium, ხოლო მრავლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში -ia დაბოლოება.

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | turr-is | animal | mare | turr-es | animal-ia | mar-ia |
| Gen. | turr-is | animal-is | mar-is | turr-ium | animal-ium | mar-ium |
| Dat. | turr-i | animal-i | mar-i | turr-ibus | animal-ibus | mar-ibus |
| Acc. | turr-im | animal | mare | turr-es | animal-ia | mar-ia |
| Abl. | turr-i | animal-i | mar-i | turr-ibus | animal-ibus | mar-ibus |
| Voc. | turr-is | animal | mare | turr-es | animal-ia | mar-ia |

### შერეული ტიპის სახელთა ბრუნება

§ 43. შერეული ტიპის სახელებს მიეკუთვნებიან -is და -es (თანაბარმარცვლოვანი) ბოლოკიდურიანი სახელები და ისეთი სახელები, რომელთაც ფუძე ორ ან მეტ თანხმოვანზე უთავდებათ:

| | |
|---|---|
| civis, civis m, f | მოქალაქე |
| urbs, urbis f | ქალაქი |
| vulpes, vulpis f | მელა |

ყველა ეს სახელი ხმოვანფუძიანია: urbs ← *urbis, vulpes ← vulpis ზოგიერთ -es ბოლოკიდურიან სახელს მხოლობითი რიცხვის სახელობითში -is ბოლოკიდურიც აქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ისტორიულად ხმოვანფუძიანებია:

| | |
|---|---|
| vulpes და vulpis | მელა |
| pubes და pubis | დავაჟკაცება |
| sedes და sedis | ადგილსამყოფელი |
| vates და vatis | წინასწარმეტყველი, პოეტი |

ეს სახელები თანხმოვანფუძიანების მსგავსად იბრუნვიან, მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში -um ბოლოკიდურის ნაცვლად -ium-ს დაირთავენ.

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | urbs | vulpes | civis | urbes | vulpes | cives |
| Gen. | urbis | vulpis | civis | urbium | vulpium | civium |
| Dat. | urbi | vulpi | civi | urbibus | vulpibus | civibus |
| Acc. | urbem | vulpem | civem | urbes | vulpes | cives |
| Abl. | urbe | vulpe | cive | urbibus | vulpibus | civibus |
| Voc. | urbs | vulpes | civis | urbes | vulpes | cives |

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ე ბ ი:

pater, patris „მამა“, mater, matris „დედა“, frater, fratris „ძმა“, parens, parentis „მშობელი“, iuvenis, iuvenis „ახალგაზრდა“, canis, canis „ძაღლი“. ამ სახელებს თანხმოვანფუძიანების მსგავსად მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში აქვთ-ბოლოკიდური —um. patrum, matrum, fratrum, parentum, iuvenum, canum.

### თავისებურად ბრუნებადი სახელები

§ 44.

| | Sing. | | |
|---|---|---|---|
| Nom. | grus[1] m, f წერო | vis f ძალა | bos m, f ხარი |
| Gen. | gruis | — | bovis |
| Dat. | grui | — | bovi |
| Acc. | gruem | vim | bovem |
| Abl. | grue | vi | bove |
| Voc. | grus | vis | bos |

| | Sing. | | |
|---|---|---|---|
| Nom. | vas n ჭურჭელი | senex m მოხუცი | Iuppiter[2] |
| Gen. | vasis | senis | Iovis |
| Dat. | vasi | seni | Iovi |
| Acc. | vas | senem | Iovem |
| Abl. | vase | sene | Iove |
| Voc. | vas | senex | Iuppiter |

| | Plur | | |
|---|---|---|---|
| Nom. | grues | vires | boves | senes |
| Gen. | gruum | virium | boum | senum |
| Dat. | gruibus | viribus | bubus, bobus | senibus |
| Acc. | grues | vires | boves | senes |
| Abl. | gruibus | viribus | bubus, bobus | senibus |
| Voc. | grues | vires | boves | senes |

[1] ასევე იბრუნვის sus, suis m ღორი

[2] Iuppiter მიღებულია Iov (Iu) და pater-საგან.

### ორფუძიანი სახელები

§ 45. ორფუძიანი სახელებია: iter, itineris n გზა, senex, senis m მხუცესი, iecur, iecoris n ღვიძლი, supellex, supellectilis f ჯურჭლეულობა, femur, feminis n თეძო.

### მესამე კანკლედობის სახელთა ბრუნების ისტორიისათვის

§ 46. მხოლობითი რიცხვის სახელობითში იყო სიგმატური და ასიგმატური წარმოება.

მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში თანხმოვანფუძიანებს ჰქონდათ -es ბოლოკიდური, რომელმაც შემდგომ მოგვცა -is. ხმოვანფუძიანების -is კი მომდინარეობს -eis ბოლოკიდურისაგან. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება აგრეთვე -us ← os ბოლოკიდურიც.

მხოლობითი რიცხვის მიცემითის -i მივიღეთ -ei-საგან.

მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსში თანხმოვანფუძიანებს ჰქონდათ -em, ხმოვანფუძიანებს კი -im.

მხოლობითი რიცხვის მოქმედებითში ხმოვანფუძიანებს -id მიუერთდა. შემდეგ d დაიკარგა და მივიღეთ -i. თანხმოვანფუძიანების -e კი მომდინარეობს ადგილობითი ბრუნვის ნიშნის -i-საგან.

მრავლობითი რიცხვის სახელობითში თანხმოვანფუძიანებს ჰქონდათ -es ბოლოკიდური, ხმოვანფუძიანებს -eies → ees, რომლისგანაც მივიღეთ -es. შემდგომ თანხმოვანფუძიანებმაც დაირთეს -ēs.

მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში -om ბოლოკიდურისაგან მივიღეთ -um. მრავლობითი რიცხვის მიცემითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშანი იყო -bos, რომელმაც მოგვცა -bus. თანხმოვანფუძიანმა სახელებმა ხმოვანფუძიანებისაგან გადმოიღეს -i, ამგვარად მივიღეთ ერთნაირი ბოლოკიდური -ibus, სადაც i ხმოვანი მოკლეა.

მრავლობითი რიცხვის აკუზატივუსის ნიშანი იყო -ns (მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებისათვის). თანხმოვანფუძიანების ბოლოკიდური -es მივიღეთ -ens-ისაგან, ხმოვანფუძიანებს ჰქონდათ -ins, რომელმაც მოგვცა -is. შემდგომ ხმოვანფუძიანებმაც თანხმოვანფუძიანების მსგავსად დაირთეს -es ბოლოკიდური.

საშუალო სქესის სახელების ბოლოკიდური მრავლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში იყო გრძელი a, შემდგომ კი -a მოკლე.

### მესამე კანკლედობის ბერძნული სახელების ბრუნება

§ 47. მესამე კანკლედობის ბერძნული სახელების ნაწილი ლათინურ პირველ კანკლედობას გაჰყვა, ნაწილი კი — მეორეს. მესამე კანკლედობის სახელებმა შეინარჩუნეს ბერძნული ბოლოკიდურები შემდეგ ბრუნვებში:

Gen. sing. -os და -us
Phasidos, (Nom. Phasis) ფაზისი
Dat. sing. -i
Minoidi (Nom. Minois) მინოსი
Acc. sing. (m,f) -a, -n
aethera (Nom. aether) ეთერი
poesin (Nom. poesis) პოეზია
Voc. sing.-ფუძეს (ზოგჯერ მოკვეცილს).
Atla (Nom. Atlas) ატლანტი
Nom. plur. (m, f) -es
Arcades (Nom. Arcas) არკადიელი
Gen. plur. -ōn
metamorphoseon (Nom. metamorphosis) მეტამორფოზა
Acc. plur. (m, f) -as
pyramidas (Nom. puramis) პირამიდა

საშუალო სქესის -ma ფუძიანი სახელები იბრუნვიან მესამე კანკლედობით. მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში, მიცემითსა და ოქმედებითში მეორე კანკლედობის ბოლოკიდურებიც აქვთ.

| | Sing. | Plur. |
|---|---|---|
| Nom. | poema პოემა | poemata |
| Gen. | poematis | poematum, poematorum |
| Dat. | poemati | poematis, poematibus |
| Acc. | poema | poemata |
| Abl. | poemate | poematis, poematibus |
| Voc. | poema | poemata |

ბერძნული -es ბოლოკიდურიანი სახელების უმრავლესობას მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში შეიძლება ჰქონდეს როგორც პირველი, ასევე მეორე და მესამე კანკლედობის ბოლოკიდურები:
Nom. Thucidides თუკიდიდე
Gen. Thucididis, ae, i

### მეოთხე კანკლედობა (Declinatio quarta)

§ 48. მეოთხე კანკლედობას მიეკუთვნებიან მამრობითი და საშუალო სქესის -u ფუძიანი სახელები. მამრობითი სქესის სახელებს მხოლობითი რიცხვის სახელობითში აქვთ -us ბოლოკიდური, საშუალო სქესის სახელებს კი -u. მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში ორივე სქესის სახელები ღებულობენ -us ბოლოკიდურს. მეოთხე კანკლედობით იბრუნვის

მდედრობითი სქესის რამდენიმე -u ფუძიანი სახელიც. ეს სახელები იბრუნებიან მამრობითი სქესის სახელების მსგავსად. ზოგჯერ მეოთხე კანკლედობის სახელი მეორე კანკლედობითაც იბრუნვის. ზოგიერთ საშუალო სქესის სახელს მოეპოვება პარალელური ფორმები. მეოთხე კანკლედობაში იბრუნვის მამრობითი სქესის მიხედვით, მეორე კანკლედობაში — საშუალო სქესის მსგავსად:

| | |
|---|---|
| cornu, us n რქა | cornus, us m cornum, i n |
| gelu, us n ყინვა | gelus, us m gelum, i n |

მეოთხე კანკლედობის მამრობითი სქესის სახელები, ჩვეულებრივ, ზმნური წარმომავლობისაა:

| | |
|---|---|
| sentio ვგრძნობ, | sensus, us გრძნობა |
| audio ვისმენ, | auditus, us სმენა |

### მეოთხე კანკლედობის სახელთა ბრუნება

§ 49.

| | Sing. | | Plur. | |
|---|---|---|---|---|
| Nom. | fruct-us ხილი | corn-u რქა | fruct-us | corn-ua |
| Gen. | fruct-us | corn-us | fructu-um | cornu-um |
| Dat. | fruct-ui | corn-u | fruct-ibus | corn-ibus |
| Acc. | fruct-um | corn-u | fruct-us | corn-ua |
| Abl. | fruct-u | corn-u | fruct-ibus | corn-ibus |
| Voc. | fruct-us | corn-u | fruct-us | corn-ua |

თავისებურად იბრუნვის domus, us f „სახლი". ზოგიერთ ბრუნვაში მეოთხე კანკლედობის ფორმებთან ერთად აქვს მეორე კანკლედობის ფორმებიც.

| Sing. | Plur. |
|---|---|
| Nom. domus | domus |
| Gen. domi, domus | domorum, domuum |
| Dat. domui | domibus |
| Acc. domum | domos, domus |
| Abl. domo, domu | domibus |
| Voc. domus | domus |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზმნისართის მნიშვნელობით იხმარება: domi „შინ" domum „შინისკენ", domo „შინიდან". მეოთხე კანკლედობის ზოგიერთ სახელს მრავლობითი რიცხვის მიცემითსა და მოქმედებითში შემორჩენილი აქვს არქაული ბოლოკიდური -ubus: arcus, us m „თაღი", მშვილდი", specus, us m „მღვიმე", tribus, us f „ტრიბი", quercus, us f „მუხა", partus, us m „შობა" veru, us n „შამფური", lacus, us m „ტბა" (arcubus, specubus, tribubus, quercubus, partubus, verubus, lacubus).

§ 50. მხოლობითი რიცხვის სახელობითს მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები აწარმოებენ სიგმატურად, საშუალო სქესის სახელები კი სახელობითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი.

მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება -us მომდინარეობს -cus (←ous) ბოლოკიდურისაგან. ნათესაობითის ნიშნად გვხვდება აგრეთვე -is ბოლოკიდურიც:

senatuis სენატისა, anuis დედაბრის

მხოლობითი რიცხვის მიცემითის ბოლოკიდური -ui მომდინარეობს -uei-საგან. საშუალო სქესის სახელების ანალოგიით გვხვდება -u ბოლოკიდურიც.

მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსის ნიშანი მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებისათვის ყოველთვის იყო -m.

მხოლობითი რიცხვის მოქმედებითის გრძელი u ბოლოკიდური -ud- ისგანაა მიღებული d თანხმოვნის დაკარგვით.

საშუალო სქესის სახელებს მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში ჰქონდათ -us, მიცემითში -ui ბოლოკიდური. იმპერიის ხანაში -ui შეიცვალა u-თი, ხოლო კიდევ უფრო გვიან ნათესაობითის -us შეცვალა -u ბოლოკიდურმა. ამგვარად, მხოლობით რიცხვში საშუალო სქესის სახელი უბრუნველს დაემსგავსა.

მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებს მრავლობითი რიცხვის სახელობითში უნდა ჰქონოდათ -es ←ues ბოლოკიდური. *manues. შემდგომ აკუზატივუსის ანალოგიით მივიღეთ -us ←uns დაბოლოება.

მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში -uum დაბოლოებასთან ერთად გვხვდება -um ←om ბოლოკიდურიც.

მრავლობითი რიცხვის მიცემითსა და მოქმედებითში იყო -ubus ბოლოკიდური, მაგრამ შემდგომ მესამე კანკლედობის ანალოგიით გაჩნდა — ibus.

საშუალო სქესის სახელებს მრავლობითი რიცხვის სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში აქვთ a ბოლოკიდური.

## მეხუთე კანკლედობა (Declīnatio quīnta)

§ 51. მეხუთე კანკლედობით იბრუნვის -e ფუძიანი მდედრობითი სქესის სახელები. მამრობითი სქესისაა მხოლოდ dies „დღე“ და meridies „შუადღე“. თუმცა, თუ dies განსაზღვრულ, დანიშნულ დღეს აღნიშნავს, მდედრობითი სქესისაა. მხოლობითი რიცხვის სახელობითში მეხუთე კანკლედობის სახელები -es-ზე ბოლოვდებიან, ნათესაობითში -ei-ზე.

მეხუთე კანკლედობის სახელებიდან სრულად იბრუნვის მხოლოდ ორი სახელი dies „დღე“ და res „საქმე“. დანარჩენ სახელებს მრავლობითში

აქვთ ან ორი ბრუნვა: სახელობითი და აკუზატივუსი, ან საერთოდ არ იბრუნვიან მრავლობით რიცხვში.

მეხუთე კანკლედობის ზოგიერთი სახელი პირველი კანკლედობითაც იბრუნვის:

| | |
|---|---|
| durities და duritia | სიმტკიცე |
| luxuries და luxuria | ფუფუნება |
| materies და materia | ნივთიერება |

ეს იმაზე მეტყველებს, რომ მეხუთე კანკლედობა პირველ კანკლედობასთან არის კავშირში, ისევე როგორც მეოთხე კანკლედობა მეორესთან.

### მეხუთე კანკლედობის სახელთა ბრუნება

| § 52. | Sing. | | Plur. | |
|---|---|---|---|---|
| Nom. | di-es | res | di-es | res |
| Gen. | di-éi | rei | di-erum | rerum |
| Dat. | di-éi | rei | di-ébus | rebus |
| Acc. | di-em | rem | di-es | res |
| Abl. | di-e | re | di-ébus | rebus |
| Voc. | di-es | res | di-es | res |

მხოლობითი რიცხვის მიცემითისა და ნათესაობითის ბოლოკიდურში (-ei) -e გრძელია, თუ ხმოვანი უძღვის (diéi); მოკლეა, თუ თანხმოვანი უძღვის (rei).

სიტყვა res ზოგიერთ პირველი კანკლედობის ზედსართავთან ერთად ქმნის კომპოზიტებს:

| | |
|---|---|
| res publica | რესპუბლიკა (სახალხო საქმე) |
| res secundae | ბედნიერება (ხელისშემწყობი ვითარება) |
| res adversae | უბედურება (ხელისშემშლელი ვითარება) |
| res gestae | გმირობა (ჩადენილი საქმენი) |
| res novae | გადატრიალება (ახალი ვითარება) |

ეს კომპოზიტები შეიძლება ერთადაც დაიწეროს და ცალ-ცალკეც. მაგრამ პირველი წევრი იბრუნვის ცალკე, ე. ი. მეხუთე კანკლედობით, მეორე წევრი კი პირველი კანკლედობის მიხედვით.

res publicae, rem publicam, re publica...

### მეხუთე კანკლედობის სახელთა ბრუნების ისტორიისათვის

§ 53. მხოლობითი რიცხვის სახელობითი ნაწარმოებია სიგმატურად. მხოლობითი რიცხვის ნათესაობითის ბოლოკიდური იყო -es. შემდგომ პირველი კანკლედობის სახელთა მსგავსად მეორე კანკლედობის ანალოგიით მიიღეს -i ბოლოკიდური.

მხოლობითი რიცხვის მიცემითის ბოლოკიდური იყო -ei და -e. diei, die.

მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსის დაბოლოება ყოველთვის იყო -m.

მხოლობითი რიცხვის მოქმედებითის -e მომდინარეობს -ed ბოლოკიდურისაგან.

მრავლობითი რიცხვის სახელობითის -es მიღებულია -eies ბოლოკიდურისაგან.

მრავლობითი რიცხვის ნათესაობითის -rum პირველი კანკლედობის ანალოგიით არის ნაწარმოები.

მრავლობითი რიცხვის აკუზატივუსის -es მიღებულია -ens ბოლოკიდურისაგან.

მრავლობითი რიცხვის მიცემითსა და მოქმედებითში ყოველთვის იყო ბოლოკიდური—bus.

**ხუთივე კანკლედობის ბრუნვათა ბოლოკიდურების საერთო ტაბულა**

§ 54.

| Casus | Sing. | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V |
| | f | m n | m, f n | m, f n | f |
| Nom. | a | us, er, ir um | s, სხვადასხვა | us u | es |
| Gen. | ae | i | is | us | ei |
| Dat. | ae | o | i | ui u | ei |
| Acc. | am | um | em, im =nom. | um u | em |
| Abl. | a | o | e, i | u | e |
| Voc. | a | e, er, ir um | =nom. | us u | es |

| Casus | Plur. | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V |
| | f | m n | m, f n | m, f n | f |
| Nom. | ae | i a | es a, ia | us ua | es |
| Gen. | arum | orum | um, ium | uum | erum |
| Dat. | is | is | ibus | ibus(ubus) | ebus |
| Acc. | as | os a | es a, ia | us ua | es |
| Abl. | is | is | ibus | ibus(ubus) | ebus |
| Voc. | ae | i a | es a, ia | us ua | es |

### სხვადასხვა კანკლედობით ბრუნებადი სახელები (Heteroclita)

§ 55. ზოგიერთი სიტყვა სხვადასხვა კანკლედობით იბრუნვის. ზოგ სახელს მხოლობით რიცხვში ერთი კანკლედობის ფორმები აქვს, მრავლობითში კი სხვა კანკლედობისა.

1. filia, ae f „ქალიშვილი", dea, ae f „ქალღმერთი". მხოლობითი რიცხვის მიცემითსა და მოქმედებითში გვაქვს, როგორც filiabus, deabus, ასევე filiis, deis.

2. პირველი კანკლედობის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში -arum ბოლოკიდურის პარალელურად გვაქვს -um დაბოლოებაც:

agricola, ae m „მიწის მუშა" agricolarum და agricolum

3. iugerum, i n „იუგერუმი" (მიწის საზომი ერთეული) მრავლობითი რიცხვის ფორმებს მესამე კანკლედობით აწარმოებს: iugera, iugerum, iugeribus...

4. vesper, is m „საღამო". იბრუნვის მეორე კანკლედობითაც:

vesper, vesperi, vespero...

5. locus, i m „ადგილი" იხ. § 36, 3

6. domus, us f „სახლი" იხ. § 49.

7. frenum, i n „აღვირი". მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ ფორმებთან ერთად აქვს სახელობითში freni, აკუზატივუსში frenos.

8. fames, is f „შიმშილი". მხოლობითი რიცხვის მოქმედებითში აქვს მეხუთე კანკლედობით ნაწარმოები ფორმა fame.

9. vas, is n „ჭურჭელი". იხ. § 44.

10. quies, etis f „სიმშვიდე". მხოლობითი რიცხვის მოქმედებითში quiete ფორმასთან ერთად აქვს quie (მეხუთე კანკლედობით ნაწარმოები).

11. მეხუთე კანკლედობის სახელებს მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში ხშირად აქვთ -i ბოლოკიდური (მეორე კანკლედობის სახელთა ანალოგიით).

12. ხეების სახელწოდებებს ხშირად აქვთ პარალელური ფორმები (მეორე და მეოთხე კანკლედობისა):

laurus, i f „დაფნა". მრავლობითი რიცხვის სახელობითში lauri და laurus

### ბრუნვანაკლი სახელები (Defectiva cásibus)

§ 56. ზოგიერთ სახელს არ გააჩნია ყველა ბრუნვა:

vis f „ძალა" იხ. § 44.

grates f „მადლობა" (მრავლობითი რიცხვის სახელობითი და აკუზატივუსი).

spontis f „ნება" (მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი) მხოლობით რიცხვში აქვს კიდევ ორი ბრუნვა: აკუზატივუსი spontem, მოქმედებითი sponte „თავისთავად".

venum n „გაყიდვა“ (მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსი). ეს სახელი იხმარება გარკვეულ ზმნებთან. venum dare „გაყიდვა“. შეიძლება შეგვხვდეს მხოლობითი რიცხვის მიცემითის ფორმითაც. veno dare და venui habere „გასაყიდი მაქვს“.

### რიცხვნაკლი სახელები (Defectiva numero)

§ 57. ზოგიერთი სახელი მხოლოდ მხოლობით რიცხვში იხმარება (Singularia tantum) ზოგიც მხოლოდ მრავლობითში (Pluralia tantum).

| Singularia tantum | | Pluralia tantum | |
|---|---|---|---|
| sapientia, ae f | სიბრძნე | arma, orum n | იარაღი |
| vulgus, i n | ბრბო, ხალხი | liberi, orum m | ბავშვები |
| fides, ei f | იმედი | maiores, um m | წინაპრები |
| plebs, is f | პლებსი | divitiae, arum f | სიმდიდრე |

ზოგიერთ ერთი ძირის სახელს Singularia tantum-ში სხვა მნიშვნელობა აქვს, Pluralia tantum-ში კი სხვა:

| Singularia tantum | | Pluralia tantum | |
|---|---|---|---|
| littera, ae f | ასო | litterae, arum | წერილი, მეცნიერება |
| copia, ae f | სიუხვე | copiae, arum f | ლაშქარი |
| castrum, i n | ციხესიმაგრე | castra, orum n | ბანაკი |
| aedes, is f | ტაძარი | aedes, ium f | სახლი, სასახლე |

### ზედსართავი სახელი (Nomen adiectivum)

§ 58. ზედსართავი სახელი ორი რიგისაა: პირველი რიგის ზედსართავს განეკუთვნებიან I, II კანკლედობის ზედსართავი სახელები, რომელთაც აქვთ -us, -a, -um ან -er, -ra, -rum დაბოლოებები. მამრობითი და საშუალო სქესის სახელები (-us, -er, -um) იბრუნვიან მეორე კანკლედობის სახელების მსგავსად, ხოლო მდედრობითი (-a) პირველი კანკლედობის მიხედვით.

bonus, a, um კარგი
miser, misera, miserum საბრალო
pulcher, pulchra, pulchrum ლამაზი

-er ბოლოკიდურიანი ზოგიერთი ზედსართავი სახელი კუმშავს e ხმოვანს: piger, pigra, pigrum ზარმაცი

მეორე რიგს მიეკუთვნებიან III კანკლედობით ბრუნებადი ზედსართავი სახელები, რომელთაგან ნაწილი სამბოლოკიდურიანია, ნაწილი კი ორბოლოკიდურიანი ან ერთბოლოკიდურიანი.

სამბოლოკიდურიან ზედსართავ სახელებს მამრობითი სქესისათვის აქვთ -er, მდედრობითისათვის -is, ხოლო საშუალო სქესისათვის -e ბოლოკიდური. ორბოლოკიდურიან ზედსართავებს მამრობითისა და მდედრობითისათვის აქვთ -is, საშუალოსთვის -e. ერთბოლოკიდურიან ზედსართავ სახელებს ერთი საზიარო დაბოლოება აქვთ სამივე სქესისათვის: -x, -ns, -s.

სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები:
celer, celeris, celere სწრაფი
saluber, salubris, salubre საღი
acer, acris, acre მწვავე
ორბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები:
brevis, e მოკლე
fortis, e მამაცი
facilis, e ადვილი
ერთბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები:
sapiens (sapientis) გონიერი
felix(felicis) ბედნიერი
dives (divitis) მდიდარი

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სამბოლოკიდურიანი სახელები შედარებით ცოტაა. მამრობითი სქესის ბოლოკიდური -er მიღებულია -ris დაბოლოებისაგან I, II კანკლედობის ზედსართავი სახელების ანალოგიით.

acer ← acr ← acris

ამის დადასტურებაა ზოგიერთი ზედსართავი სახელის პარალელური ფორმები:

terrester და terrestris მიწიერი, სახმელეთო
equester და equestris მხედრისა

## ზედსართავ სახელთა გრუნება

### I-II კანკლედობის ზედსართავი სახელები

§ 59.

Sing.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | beatus | beata | beatum | ნეტარი | tener | tenera | tenerum | ნაზი |
| Gen. | beati | beatae | beati | | teneri | tenerae | teneri | |
| Dat. | beato | beatae | beato | | tanero | tenerae | tenero | |
| Acc. | beatum | beatam | beatum | | tenerum | teneram | tenerum | |
| Abl. | beato | beata | beato | | tenero | tenera | tenero | |
| Voc. | beate | beata | beatum | | tener | tenera | tenerum | |

Sing.

| | | | |
|---|---|---|---|
| Nom. | pulcher | pulchra | pulchrum ლამაზი |
| Gen. | pulchri | pulchrae | pulchri |
| Dat. | pulchro | pulchrae | pulchro |
| Acc. | pulchrum | pulchram | pulchrum |
| Abl. | pulchro | pulchra | pulchro |
| Voc. | pulcher | pulchra | pulchrum |

Plur.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | beati | beatae | beata | teneri | tenerae | tenera |
| Gen. | beatorum | beatarum | beatorum | tenerorum | tenerarum | tenerorum |
| Dat. | beatis | beatis | beatis | teneris | teneris | teneris |
| Acc. | beatos | beatas | beata | teneros | teneras | tenera |
| Abl. | beatis | beatis | beatis | teneris | teneris | teneris |
| Voc. | beati | beatae | beata | teneri | tenerae | tenera |

Plur.

| | | | |
|---|---|---|---|
| Nom. | pulchri | pulchrae | pulchra |
| Gen. | pulchrorum | pulchrarum | pulchrorum |
| Dat. | pulchris | pulchris | pulchris |
| Acc. | pulchros | pulchras | pulchra |
| Abl. | pulchris | pulchris | pulchris |
| Voc. | pulchri | pulchrae | pulchra |

III კანკლედობის ზედსართავი სახელები იბრუნვიან III კანკლედობის ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების მსგავსად.

Sing.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| Nom. | acer | acris | acre მწვავე | fortis | forte მამაცი |
| Gen. | acris | acris | acris | fortis | fortis |
| Dat. | acri | acri | acri | forti | forti |
| Acc. | acrem | acrem | acre | fortem | forte |
| Abl. | acri | acri | acri | forti | forti |
| Voc. | acer | acris | acre | fortis | forte |

Sing.

| | | |
|---|---|---|
| Nom. | felix | felix |
| Gen. | felicis | felicis |
| Dat. | felici | felici |
| Acc. | felicem | felix |
| Abl. | felici | felici |
| Voc. | felix | felix |

Plur.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | acres | acria | fortes | fortia | felices | felicia |
| Gen. | acrium | acrium | fortium | fortium | felicium | felicium |
| Dat. | acribus | acribus | fortibus | fortibus | felicibus | felicibus |
| Acc. | acres | acria | fortes | fortia | felices | felicia |
| Abl. | acribus | acribus | fortibus | fortibus | felicibus | felicibus |
| Voc. | acres | acria | fortes | fortia | felices | felicia |

via longa გრძელი გზა — viae longae, viarum longarum
oppidum magnum დიდი ქალაქი — oppida magna, oppidorum magnorum
homo bonus კეთილი კაცი — hominis boni, homines boni

### ზედსართავი სახელის ხარისხი (Gradus comparatiónis)

§ 60. ზედსართავ სახელს ლათინურ ენაში სამი ხარისხი აქვს: დაწყებითი ანუ დადებითი (Gradus positivus), შედარებითი (Gradus comparativus) და აღმატებითი (Gradus superlativus).

ზედსართავი სახელის დაწყებით ხარისხზე უკვე გვქონდა საუბარი, შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები მხოლოდ ვითარებით ზედსართავებს აქვთ, მიმართებითსა და კუთვნილებითს არა.მაგ. არ იწარმოება შედარებითი და აღმატებითი ხარისხები სახელიდან paternus „მამისეული“, „მშობლიური“ ან frontalis „შუბლისა“

შედარებითი ხარისხის საწარმოებლად ზედსართავი სახელის ფუძეს[1] დაერთვის -ior (მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის) და -ius (საშუალო სქესისათვის) ბოლოკიდურები.

| positivus | comparativus |
|---|---|
| longus, a, um გრძელი | longior, longius უფრო გრძელი |
| brevis, e მოკლე | brevior, brevius უფრო მოკლე |
| felix ბედნიერი | felicior, felicius უფრო ბედნიერი |

შედარებითი ხარისხის ზედსართავი სახელი იბრუნვის მესამე კანკლედობის თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების მსგავსად.

---

[1] ფუძის გამოსაცნობად ზედსართავი სახელი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში და ჩამოცილდება ბრუნვის ნიშანი -i ან -is.

longus, longi — ფუძეა long
brevis, brevis — ფუძეა brev

| | Sing. | | Plur. | |
|---|---|---|---|---|
| | m, f | n | m, f | n |
| Nom. | longior | longius | longiores | longiora |
| Gen. | longioris | longioris | longiorum | longiorum |
| Dat. | longiori | longiori | longioribus | longioribus |
| Acc. | longiorem | longius | longiores | longiora |
| Abl. | longiore | longiore | longioribus | longioribus |
| Voc. | longior | longius | longiores | longiora |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თავდაპირველად შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსი იყო -ios. ირიბ ბრუნვებში როტაციზმის წესის თანახმად ინტერვოკალურმა -s-მა მოგვცა r. ნათესაობითში -iosis → ioris, მიცემითში -iosi → iori და ა. შ. შემდგომ კი ამ ბრუნვათა ანალოგიით სახელობითში მივიღეთ -ior (მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებისათვის), საშუალო სქესმა შეინარჩუნა -ios, მხოლოდ o გადავიდა u-ში.

§ 61. ა ღ მ ა ტ ე ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს საწარმოებლად ზედსართავი სახელის ფუძეს ემატება სუფიქსი -issimus (მამრ.) -issima (მდედრ.) -issimum (საშ.)

| | |
|---|---|
| longissimus, a, um | უგრძესი, ყველაზე გრძელი |
| brevissimus, a, um | უმოკლესი, ყველაზე მოკლე |
| felicissimus, a, um | უბედნიერესი, ყველაზე ბედნიერი |

აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელი იბრუნვის I, II კანკლედობის ზედსართავი სახელების მსგავსად.

თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი:

ა) -er ფუძიანი ზედსართავი სახელი აღმატებით ხარისხს -rimus, a, um სუფიქსის დართვით აწარმოებს:

| | |
|---|---|
| pulcher, pulchra, pulchrum ლამაზი | pulcherrimus, a, um |
| celer, celeris, celere სწრაფი | celerrimus, a, um |

ბ) -il ფუძიანი ექვსი ზედსართავი სახელი (III კანკლედობისა) აღმატებით ხარისხს აწარმოებს -limus, a, um სუფიქსის დართვით:

| | | |
|---|---|---|
| facilis, e | ადვილი | facillimus, a, um |
| difficilis, e | ძნელი | difficillimus, a, um |
| similis, e | მსგავსი | simillimus, a, um |
| dissimilis, e | განსხვავებული | dissimillimus, a, um |
| gracilis, e | ტანადი | gracillimus, a, um |
| humilis, e | დაბალი | humillimus, a, um |

დ) რთული ზედსართავი სახელები -dicus, -ficus, -volus-ზე დაბოლოებულები, შედარებით ხარისხს აწარმოებენ -entior, ხოლო აღმატებით ხარისხს entissimus სუფიქსების დართვით:

| Positivus | comparativus | superlativus |
|---|---|---|
| benevolus, a, um კეთილმოსურნე | benevolentior, ius | benevolentissimus, a, um |
| magnificus, a, um ჩინებული | magnificentior, ius | magnificentissimus, a, um |
| maleficus, a, um ბოროტმოქმედი | maleficentior, ius | maleficentissimus, a, um |
| maledicus, a, um ავყია | maledicentior, ius | maledicentissimus, a, um |
| beneficus, a, um ქველმოქმედი | beneficentior, ius | beneficentissimus, a, um |

დ) ზედსართავი სახელის vetus „ძველი“ შედარებითი ხარისხის ფორმა არის veterior, ius, აღმატებითის -veterrimus, a, um გვხვდება პარალელური ფორმებიც: vetustior, ius და vetustissimus, a, um,

ე) maturus, a, um „მწიფე“ აღმატებით ხარისხში არის maturrimus, a , um და maturissimus, a, um.

ვ) pius, a, um „სათნო“ აღმატებით ხარისხში არის piissimus a, um ან pientissimus, a, um და maxime pius, a, um.

ზ) აღმატებით ხარისხში ორ-ორი ფორმა აქვთ შემდეგ ზედსართავებს:

| positivus | comparativus | superlativus |
|---|---|---|
| exter(us), a, um გარეთა | exterior, ius | extremus, a, um<br>extimus, a, um |
| infer(us), a, um ქვედა | inferior, ius | infimus, a, um<br>imus, a, um |
| super(us), a, um ზემო | superior, ius | supremus, a, um<br>summus, a, um |
| poster(us), a, um შემდგომი | posterior, ius | postremus, a, um<br>postumus, a, um |

ეს ზედსართავები ი შვიათად გვხვდებიან დაწყებით ხარისხში, აღმატებით ხარისხში დაირთავენ -emus და -imus სუფიქსებს, განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ და გაარსებითებულ ზედსართავ სახელებად გვევლინებიან. ეს სახელები მხოლოდ Pluralia tantum-ში გვხვდება:

| | |
|---|---|
| inferi, orum m | ქვესკნელის ბინადარნი |
| superi, orum m | ზეციერნი, ღმერთები |
| externi, orum m | უცხოელნი |
| posteri, orum m | შთამომავალნი |

თ) -ius. -eus, -uus ბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელები ხარისხებს აღწერილობით აწარმოებენ. შედარებითში magis „უფრო“, აღმატებითში maxime „მეტად“, „ძალიან“ ზ ნისართების მეშვეობით:

| positivus | comparativus | superlativus |
|---|---|---|
| necessarius, a, um აუცილებელი | magis necessarius, a, um | maxime necessarius, a, um |
| idoneus, a, um შესაფერისი, ხელსაყრელი | magis idoneus, a, um | maxime idoneus, a, um |
| arduus, a, um ციცაბო | magis arduus, a, um | maxime arduus, a, um |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: -quus -ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები ჩვეულებრივ აწარმოებენ ხარისხებს:

antiquus, a, um ძველი antiquior, ius antiquissimus, a, um

ი) ზოგიერთ ზედსართავ სახელს არ გააჩნია ყველა ხარისხი:

| positivus | comparativus | superlativus |
|---|---|---|
| „ | deterior, ius | deterrimus, a, um უარესი |
| „ | ocior, ius | ocissimus, a, um უსწრაფესი |
| sacer | „ | sacerrimus, a, um უწმინდესი |
| docilis | docilior, ius | ნიჭიერი |
| senex | senior, ius | უხუცესი |

კ) ის ზედსართავი სახელები, რომელთაც არა აქვთ დაწყებითი ხარისხი, ამ დანაკლისს ივსებენ ზმნისართითა და ზმნისწინებით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ultra | იქით მხარეს | ulterior, ius | ultimus, a, um |
| prope | ახლო | proprior. ius | proximus, a, um |
| intra | შიგნით | interior, ius | intimus, a, um |

### ხარისხთა სუპლეტური წარმოება[1]

§ 62. რამდენიმე ზედსართავი სახელი სხვადასხვა ფუძისაგან აწარმოებს ხარისხებს:

| positivus | comparativus | superlativus |
|---|---|---|
| კარგი bonus, a, um | melior, ius | optimus, a, um |
| ცუდი malus, a, um | peior, ius | pessimus, a, um |
| პატარა parvus, a, um | minor, us | minimus, a, um |
| დიდი magnus, a, um | maior, ius | maximus, a, um |
| ბევრი multus, a, um[2] | plus, plura | plurimus, a, um |

---

[1] suppleo ზმნა ნიშნავს „ვავსებ". ე. ი. შედარებითსა და აღმატებითში ეს ზედსართავები ივსებენ ფორმებს მსგავსი მნიშვნელობის ძირებით.

[2] multus უპირატესად მრაელობით რიცხვში იხმარება.

## Ablativus comparatiónis და Genetivus partitívus

§ 63. შედარებითი ხარისხი, როგორც თვით ტერმინი მიუთითებს, გულისხმობს პირთან, საგანთან, მოვლენასთან შედარებას. შედარება შეიძლება გამოიხატოს quam „ვიდრე“ კავშირის მეშვეობით ან უკავშიროდ. როცა შედარება კავშირიანია, ორივე შესადარებელი სახელი სახელობით ბრუნვაშია.

Aurum gravius est quam argentum.
ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე ვერცხლი.

უკავშირო შედარებისას ერთი შესადარებელი სახელი სახელობითში დგას, მეორე — მოქმედებითში. ასეთ მოქმედებითს „შედარების მოქმედებითს“ Ablativus comparationis უწოდებენ.

Aurum gravius est argento (abl.)
ოქრო ვერცხლზე მძიმეა.

Exegí monuméntum aére (abl.) perénnius (Hor.)
ძეგლი ავიგე სპილენძზე უფრო გამძლე.

შედარებით ხარისხთან ზოგჯერ გვხვდება ნაწილაკი ან ზმნისართი: multo, etiam, რაც აძლიერებს ხარისხს.

etiam altior კიდევ უფრო მაღალი
multo maior ბევრად უფრო დიდი

აღმატებითი ხარისხი ორგვარი მნიშვნელობით იხმარება: I. იგი აღნიშნავს უმაღლესს ხარისხს, გამოარჩევს საგანს სხვა საგანთა შორის, იხმარება მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში დასმულ სახელთან.

optimus omnium (gen. plur.) poeta. პოეტებში საუკეთესო

ასეთ ნათესაობითს „ნაწილობითი“ ანუ „გამოყოფითი ნათესაობითი“ Genetivus partitivus ეწოდება.

Pyramus et Thisbe, iuvenum (gen. part.) pulcherrimus alter (Ovid.)
პირამუსი და თისბე, ერთი (ამ ორთაგანი) ჭაბუკებში ულამაზესი.

2. აღმატებითი ხარისხი დამოუკიდებელი მნიშვნელობითაც იხმარება, როცა არ არის დასახელებული საგანი, პირი, მოვლენა, რომელშიც გამორჩეულია აღმატებითში დასმული სახელი.

homo fortissimus უმამაცესი კაცი (მამაცი კაცი, არაა მინიშნებული, თუ ვის ჯობნის სიმამაცით).

An vero vir amplissimus, P. Scipio, pontifex maximus, Ti. Gracchum, mediocriter labefactantem statum rei publicae, privatus interfecit (Cic.)

... პუბლიუს სციპიონმა, უბრწყინვალესმა კაცმა, უმაღლესმა ქურუმმა, ხომ თვითონ ითავა ტიბერიუს გრაკხუსის მოკვლა, ვინც სცადა სახელმწიფო წეს-წყობილების ოდნავი შეცვლა.

აღმატებითი ხარისხის გასაძლიერებლად ხშირად გეხვდება ნაწილაკები ან ზმნისართები: multo, longe, vel, quam.

Apud Helvetios longe nobillssimus fuit et ditissimus Orgetorix (Caes.)

ჰელვეციელებს შორის ყველაზე წარჩინებული და მდიდარი ორგეტორიქსი იყო.

...Constituerunt... iumentorum et carrorum quam maximum numerum coemere, sementes quam maximas facere (Caes.)

გადაწყვიტეს, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით შეეძინათ ურმები და ბარგის მზიდავი საქონელი, დაეთესათ რაც შეიძლება მეტი მარცვლეული.

### ზმნისართი (Adverbium)

§ 84. ზმნისართი ორი სახისაა: საკუთრივი ანუ პირველადი და ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები.

საკუთრივია ზმნისართი, თუ იგი არ არის მიღებული შეტყველების რომელიმე ნაწილისაგან.
diu დიღხანს, mox სწრაფად, satis საკმაოდ, sic ამგვარად, vix ძლივს.

### ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები ზმნისართი

I-II კანკლედობის ზედსართავი სახელისაგან ზმნისართი მიიღება ზედსართავის ფუძეზე -e სუფიქსის დართვით:

| | |
|---|---|
| longus, a, um გრძელი | longe გრძლად, შორს |
| latus, a, um ფართო, | late ფართოდ |
| tener, tenera, tenerum ნაზი | tenere ნაზად |

ზოგიერთი I-II კანკლედობის ზედსართავი სახელი—o სუფიქსით აწარმოებს ზმნისართს:

| | |
|---|---|
| citus, a, um სწრაფი | cito სწრაფად |
| rarus, a, um იშვიათი | raro იშვიათად |

ზოგჯერ ზმნისართად გამოყენებულია ზედსართავი სახელის საშუალო სქესის ფორმა:

| | | | |
|---|---|---|---|
| multus, a, um | ბევრი | multum | ბევრად |
| facilis, e | ადვილი | facile | ადვილად |

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ე ბ ი : ა) გვხვდება -tim (-im) სუფიქსიანი ზმნისართებიც, რომლებიც ან ზედსართავი სახელისაგან, ან ზმნიდან არიან ნაწარმოები:

| | | |
|---|---|---|
| pars, partis f ნაწილი | partim ნაწილობრივ | |
| separo. ვაცალკევებ | separatim ცალ-ცალკე | |
| curro გავრბივარ | cursus სრბოლა | cursim სწრაფად, სირბილით |
| paulus მცირე | paulatim მცირედ | |

ბ) ზოგიერთი I-II კანკლედობის ზედსართავი სახელი -iter სუფიქსით აწარმოებს ზმნისართს:

| | |
|---|---|
| firmus, a, um მტკიცე | firmiter მტკიცედ |
| largus, a, um უხვი | largiter უხვად |
| humanus, a, um ადამიანური | humaniter ადამიანურად |

გ) გვაქვს რამდენიმე tus (-sus) სუფიქსიანი ზმნისართი, არსებითი სახელისაგან, ზედსართავის და ზმნისწინისაგან ნაწარმოები:

intus შიგნით (in-ში)
subtus ქვემოთ (sub — ქვემოთ)
antiquitus ძველთაგანვე (antiquus ძველი)
funditus დაარსებიდანვე (fundus ძირი, ფსკერი)

დ) გვაქვს რთული ზმნისართები per ზმნისწინისაგან, ან ზმნის licet „საჭიროა„, „უნდა“-ს მეშვეობით ნაწარმოები:

semper მუდამ
paulisper მცირედ
vidilicet ცხადია
scilicet რა თქმა უნდა, გასაგებია

ზოგჯერ ერთი ზედსართავი სხვადასხვაგვარად აწარმოებს ზმნისართს:

| | | |
|---|---|---|
| certus, a, um ცნობილი | certo | უთუოდ |
| | certe | რასაკვირველია |
| verus, a, um ნამდვილი, ჭეშმარიტი | vere | ჭეშმარიტად |
| | vero | |
| | verum | ნამდვილად |

III კანკლედობის ზედსართავი სახელისაგან ზმნისართის საწარმოებლად ზედსართავის ფუძეს ემატება iter სუფიქსი:

| | |
|---|---|
| brevis, e მოკლე | breviter მოკლედ |
| celer, celeris, celere სწრაფი | celeriter სწრაფად |
| par, paris თანაბარი | pariter თანაბრად |

III კანკლედობის -nt ფუძიან ზედსართავ სახელებს ზმნისართის საწარმოებლად ფუძეზე ემატება -er სუფიქსი:

| | |
|---|---|
| potens, potentis მძლავრი | potenter მძლავრად |
| sapiens, sapientis გონიერი | sapienter გონივრულად |

ზმნისართი იწარმოება არა მხოლოდ დადებითი ხარისხის ზედსართავი სახელებისაგან.

შედარებითი ხარისხის ზედსართავი სახელის საშუალო სქესის ფორმა გამოყენებულია ზმნისართად.

| | | |
|---|---|---|
| brevis, e | brevius | უფრო მოკლედ |
| longus, a, um | longius | უფრო გრძლად |
| facilis, e | facilius | უფრო ადვილად |

აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელისაგან ზმნისართი ისევე იწარმოება, როგორც I-II კანკლედობის დადებითი ხარისხის ზედსართავი სახელისაგან:

| | |
|---|---|
| brevissime | ძალიან მოკლედ |
| longissime | ძალიან გრძლად |
| facillime | ძალიან ადვილად |

ის ხუთი ზედსართავი სახელი, რომლებიც სუპლეტურად აწარმოებენ ხარისხებს, თავთავიანთ ზმნისართებსაც სუპლეტურად აწარმოებენ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| bene | კარგად | melius | უკეთესად | optime | საუკეთესოდ |
| male | ცუდად | peius | უფრო ცუდად | pessime | უარესად |
| magnopere | მეტად | magis | უფრო მეტად | maxime | ყველაზე მეტად |
| multum | ბევრად | plus | უფრო ბევრად | plurimum | უმეტესად |
| non multum | ნაკლებად | minus | უფრო ნაკლებ | minime | უმცირესად |

## რიცხვითი სახელი (Numeralia)

**§ 65.** რიცხვითი სახელი ლათინურში ოთხგვარია: რაოდენობითი (Cardinalia), რიგობითი (Ordinalia), დაყოფითი (Distributiva) და ზმნისართული (Adverbia).

რაოდენობითი უპასუხებს კითხვაზე: რამდენი? ერთი, ორი, ხუთი...

რიგობითი მიუგებს კითხვაზე: მერამდენე? პირველი, მეორე, მეხუთე..

დაყოფითი უპასუხებს კითხვაზე: რამდენ-რამდენი? თითო-თითო, ორ-ორი, ხუთ-ხუთი.

ზმნისართული მიუგებს კითხვაზე: რამდენჯერ? ერთხელ, ორჯერ, ხუთჯერ...

| ციფრები | | Cardinalia | Ordinalia | Distributiva | Adverbia |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | I | unus, a, um | primus, a, um | singuli, ae, a | semel |
| 2 | II | duo, ae, o | secundus, a, um | bini, ae, a | bis |
| 3 | III | tres, tria | tertius, a, um | terni (trini), ae, a | ter |
| 4 | IV | quattuor | quartus, a, um | quaterni, ae, a | quater |
| 5 | V | quinque | quintus, a, um | quini, ae, a | quinquies |
| 6 | VI | sex | sextus, a, um | seni, ae, a | sexies |
| 7 | VII | septem | septimus, a, um | septeni, ae, a | septies |
| 8 | VIII | octo | octavus, a, um | octoni, ae, a | octies |
| 9 | IX | novem | nonus, a, um | noveni, ae, a | novies |
| 10 | X | decem | decimus, a, um | deni, ae, a | decies |
| 11 | XI | undecim | undecimus, a, um | undeni, ae, a | undecies |
| 12 | XII | duodecim | duodecimus, a, um | doudeni, ae, a | duodecies |
| 13 | XIII | tredecim | tertius decimus | terni deni | ter decies |
| 14 | XIV | quattuordecim | quartus decimus | quaterni deni | quater decies |
| 15 | XV | quindecim | quintus decimus | quini deni | quinquies decies |
| 16 | XVI | sedecim | sextus decimus | seni deni | sexies decies |
| 17 | XVII | septendecim | septimus decimus | septeni deni | septies decies |
| 18 | XVIII | duodeviginti | duodevicesimus | duodeviceni | doudevicies |
| 19 | XIX | undeviginti | undevicesimus | undeviceni | undevicies |
| 20 | XX | viginti | vicesimus | viceni | vicies |
| 21 | XXI | unus et viginti<br>viginti unus | unus et vicesimus<br>vicesimus primus | singuli et viceni<br>viceni singuli | semel et vicies<br>vicies semel |
| 22 | XXII | duo et viginti<br>viginti duo | alter et vicesimus<br>vicesimus alter | bini et viceni<br>viceni bini | bis et vicies<br>vicies bis |
| 28 | XXVIII | duodetriginta | duodetricesimus | duodetriceni | duodetricies |
| 29 | XXIX | undetriginta | undetricesimus | undetriceni | undetricies |
| 30 | XXX | triginta | tricesimus | triceni | tricies |

| ციფრები | Cardinalia | Ordinalia | Distributiva | Adverbia |
|---|---|---|---|---|
| 40 XL | quadraginta | quadragesimus | quadrageni | quadragies |
| 50 X | quinquaginta | quinquagesimus | quinquageni | quinquagies |
| 60 LX | sexaginta | sexagesimus | sexageni | sexagies |
| 70 LXX | septuaginta | septuagesimus | septuageni | septuagies |
| 80 LXXX | octoginta | octogesimus | octogeni | octogies |
| 90 XC | nonaginta | nonagesimus | nonageni | nonagies |
| 100 C | centum | centesimus | centeni | centies |
| 101 CI | centum (et) unus | centesimus et unus | centeni singuli | centies semel |
| 200 CC | ducenti, ae, a | ducentesimus | duceni | ducenties |
| 300 CCC | trecenti, ae, a | trecentesimus | treceni | trecenties |
| 400 CD | quadringenti, ae, a | quadringentesimus | quadringeni | quadringenties |
| 500 D | quingenti | quingentesimus | quingeni | quingenties |
| 600 DC | sescenti | sescentesimus | sesceni | sescenties |
| 700 DCC | septingenti | septingentesimus | septingeni | septingenties |
| 800 DCCC | octingenti | octingentesimus | octingeni | octingenties |
| 900 CM | nongenti | nongentesimus | nongeni | nongenties |
| 1000 M | mille | millesimus | singula milia | milies |
| 2000 (MM) II | duo milia | bis millesimus | bina milia | bis milies |
| 3000 III | tria milia | ter millesimus | terna milia | ter milies |
| 5000 V | quinque milia | quinquies millesimus | quina milia | quinquies milies |
| 10 000 X | decem milia | decies millesimus | dena milia | decies milies |
| 20 000 XX | viginti milia | vicies millesimus | vicena milia | vicies milies |
| 21 000 XXI | unum et viginti milia | semel et vicies millesimus | vicena singula milia | semel et vicies milies |
| 100 000 C | centum milia | centies millesimus | centena milia | centies milies |
| 1 000 000 IMI | decies centena milia | decies centies millesimus | decies centena milia | decies centies milies |

### რიცხვით სახელთა ბრუნება

§ 66. რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან იბრუნვის: unus, duo. tres, ducenti-დან nongenti-მდე და milia. ეს უკანასკნელი იბრუნვის III კანკლედობის საშუალო სქესის სახელის მსგავსად. გააჩნია მხოლოდ მრავლობითი რიცხვი.

unus, a, um იბრუნვის ნაცვალსახელური ზედსართავების მსგავსად.

duo, ae, o იბრუნვის ძირითადად I-II კანკლედობის სახელების მსგავსად, აქვს მხოლოდ მრავლობითი რიცხვი. მიცემითსა და მოქმედებითში ღებულობს -bus ბოლოკიდურს.

tres, tria იბრუნვის III კანკლედობის ხმოვანფუძიანი სახელების მსგავსად მრავლობით რიცხვში.

ducenti ae, a... nongenti, ae, a-ს ჩათვლით იბრუნვის I-II კანკლედობის ზედსართავი სახელების მსგავსად.

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | unus | una | unum | duo | duae | duo |
| Gen. | | unius | | duorum | duarum | duorum |
| Dat. | | uni | | duobus | duabus | duobus |
| Acc. | unum | unam | unum | duos | duas | duo |
| Abl. | uno | una | uno | duobus | duabus | duobus |

| | Plur. | |
|---|---|---|
| Nom. | tres tria | milia |
| Gen. | trium | milium |
| Dat. | tribus | milibus |
| Acc. | tres(tris) tria | milia |
| Abl. | tribus | milibus |

რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის I-II კანკლედობის ზედსართავი სახელების მსგავსად.

### რიცხვითი სახელის წარმოება და მისი შეთანხმება არსებით სახელთან

§ 67. რიცხვითი სახელები quattuor-იდან centum-მდე და mille უბრუნველი სახელებია. ისინი ვერ მართავენ არსებით სახელებს (გავლენას ვერ ახდენენ არსებითი სახელის ბრუნვაზე).

**Quinque homines** in horto ambulant.
ხუთი კაცი სეირნობს ბაღში.
Dedi libros **quinque hominibus**.
მივეცი წიგნები ხუთ კაცს.
**Mille homines** in foro erant.
ათასი კაცი იყო ფორუმზე.

Milia (Pluralis) იბრუნვის საშუალო სქესის მისედვით და მოითხოვს არსებით სახელს მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში.

tria milia **equitum** სამი ათასი ცხენოსანი

duo milia **discipulorum** ორი ათასი მოსწავლე

unus, duo, tres ducenti... nongenti ითანხმებს არსებით სახელს ბრუნვაში, რიცხვსა და სქესში. ასევე ითანხმებს არსებით სახელს რიგობითი რიცხვითი სახელიც.

duo homines ორი კაცი (სიტყვა-სიტყვით — ორი კაცები)

una femina ერთი ქალი

tres discipuli სამი მოსწავლე (სამი მოსწავლეები)

რთულ რიგობით რიცხვით სახელებში თითოეული რიცხვი (ერთეულები, ათეულები, ასეულები) გადმოცემულია რიგობითით.

annus millesimus nongentesimus octogesimus tertius

ათას ცხრაას ოთხმოცდასამი წელი

21-დან 99-ის ჩათვლით რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორგვარად გამოიხატება: ჯერ ათეული, შემდეგ ერთეული, ან ჯერ ერთეული, შემდეგ et(და), შემდეგ ათეული.

viginti unus ან unus et viginti

რთული რიცხვითი სახელი 8 და 9-ზე დაბოლოებული, ე. ი. 18,19, 28, 29, 38, 39 და ა. შ. იწარმოება მომდევნო ათეულიდან ორისა და ერთის გამოკლებით:

duodeviginti 18 (de დაკლების ნიშანია).

undetriginta 29

რაოდენობით რიცხვით სახელს 30-დან 90-მდე დაერთვის -ginta, ასეულებს 200-დან 900-მდე — centi. c თანხმოვანი n-ს შემდეგ მკღერი ხდება და გვაძლევს g-ს.

quingenti←quincenti 500

ზმნისართული რიცხვითი სახელი ხუთიდან მოყოლებული იწარმოება -ies სუფიქსის დართვით.

quinquies ხუთჯერ, ექვსჯერ

sexies ექვსჯერ

რიგობითი რიცხვითი სახელი ათასის ზემოთ იწარმოება ზმნისართული რიცხვითი სახელის მეშვეობით:

ter millesimus მესამიათასე

bis millesimus მეორიათასე

დაყოფითი რიცხვითი სახელი რაოდენობითის მნიშვნელობით იხმარება Pluralia tantum-ის სახელებთან:

sena castra ექვსი ბანაკი (და არა ექვს-ექვსი ბანაკი)

ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ არა terni, არამედ trini. trinae litterae სამი წერილი, მაგრამ ternae litterae სამ-სამი ასო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: singuli-ს ნაცვლად Pluralia tantum-თან იხმარება uni, ae, a.

unae litterae ერთი წერილი

რიცხვითი სახელები: sescenti (sesceni, sescenties), ზოგჯერ mille trecenti, ducenti, quingenti იხმარება „ბევრის“ მნიშვნელობით.

### წილადი რიცხვითი სახელი

§ 68. semis dimidium აღნიშნავს ნახევარს, sesqui ნიშნავს ერთნახევარს. sesqui იხმარება ისეთ წილადში, სადაც მრიცხველი მნიშვნელზე ერთით მეტია:

sesquioctavus = 9/8

წილადებში, სადაც მრიცხველი ერთის ტოლია, იხმარება pars.

dimidia pars = 1/2
tertia pars = 1/3
quinta pars = 1/5

თუ მრიცხველი ერთზე მეტია, მაშინ pars გამოიტოვება.

duae quintae = 2/5

თუ მრიცხველი ერთით ნაკლებია მნიშვნელზე, მნიშვნელი გამოიტოვება.

quattuor partes = 4/5 (ე. ი. ოთხი ნაწილი ხუთიდან)

### ნაცვალსახელი (Pronomen)

§ 69. ნაცვალსახელი, როგორც თვით ტერმინი მიუთითებს, ისეთი სიტყვაა, რომელიც სხვა სახელის (არსებითის, ზედსართავის, რიცხვითი სახელის) ნაცვლად იხმარება. არსებობს ნაცვალსახელთა რამდენიმე ჯგუფი:

1. პირის (Pronómina personalia)
2. კუთვნილებითი (Pronomina possesíva)
3. ჩვენებითი (Pronomina demonstratíva)
4. უკუქცევითი (Pronomen reflexivum)
5. ურთიერთობითი (Pronomina correlatíva)
6. მიმართებითი (Pronomina relatíva)
7. განუსაზღვრელობითი (Pronomina indefinita)
8. კითხვითი (Pronomina interrogatíva)
9. უარყოფითი (Pronomina negatíva)

### პირის ნაცვალსახელი (Pronomina personalia)

§ 70. პირის ნაცვალსახელებია: ego მე, tu შენ, nos ჩვენ, vos თქვენ

| | Sing. | | Plur. | |
|---|---|---|---|---|
| Nom. | ego | tu | nos | vos |
| Gen. | mei | tui | nostri / nostrum | vestri / vestrum |
| Dat. | mihi, mi | tibi | nobis | vobis |
| Acc. | me | te | nos | vos |
| Abl. | me | te | nobis | vobis |

მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში გვაქვს ორ-ორი ფორმა, რომელთაგან მეორე იხმარება ე. წ. Genetivus partitivus-ის მნიშვნელობით.

| | |
|---|---|
| qui nostrum? | რომელი ჩვენთაგანი? |
| nemo vestrum | არც ერთი თქვენთაგანი |

წინდებული cum „თან", „ურთ" მოქმედებითში დასმულ პირის ნაცვალსახელებთან იწერება ბოლოში და ამავე დროს სიტყვასთან მოუცილებლად, ისევე როგორც ქართული თანდებული.

| | |
|---|---|
| mecum | ჩემთან |
| vobiscum | თქვენთან |
| tecum | შენთან |
| nobiscum | ჩვენთან |

მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსსა და მოქმედებითში ზოგჯერ გაორკეცებული ფორმები იხმარება: meme, tete. გვხვდება აგრეთვე ego-ს გაძლიერებული ფორმა egomet „მე თვითონ".

### უკუქცევითი ნაცვალსახელი (Pronomen reflexivum)

§ 71. უკუქცევითი ნაცვალსახელი sui „თავი" იხმარება III პირის ნაცვალსახელის მაგიერ. მას არა აქვს სახელობითი ბრუნვა, ისევე როგორც რუსულ „себя"-ს. ორივე რიცხვში ერთნაირი ფორმები აქვს. რუსულისაგან განსხვავებით ეს ნაცვალსახელი მხოლოდ III პირთან მიმართებაში იხმარება, I და II პირებთან კი შესაბამისი პირის ნაცვალსახელები გამოიყენება.

| | |
|---|---|
| Nom. — | Acc. se |
| Gen. sui | Abl. se |
| Dat. sibi | |

| | |
|---|---|
| laudat se ის იქებს თავს, | laudant se ისინი იქებენ თავს. |
| laudo me მე ვიქებ თავს, | laudas te შენ იქებ თავს. |

cum წინდებული sui-ს se ფორმებთან ისევე იწერება, როგორც I-II პირის ნაცვალსახელებთან: secum მასთან, მათთან

აკუზატივუსსა და მოქმედებითში ხშირად გვხვდება გაორკეცებული ფორმა sese.

პირისა და უკუქცევითი ნაცვალსახელები ხშირად დაირთავენ -te, -met, -pte ნაწილაკებს, რომლებიც აძლიერებენ ნაცვალსახელის მნიშვნელობას:

tute, egomet, semet, vosmet, vobismet, mihipte

### კუთვნილებითი ნაცვალსახელი (Pronomina possesiva)

§ 72. კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირისა და უკუქცევითი ნაცვალსახელებისაგან არიან მიღებული:

| | |
|---|---|
| meus, a, um | ჩემი |
| tuus, a, um | შენი |
| noster, nostra, nostrum | ჩვენი |
| vester, vestra, vestrum | თქვენი |
| suus, a, um | მისი, მათი |

კუთვნილებითი ნაცვალსახელები იბრუნვიან I-II კანკლედობის ზედსართავი სახელების მსგავსად. მხოლოდ meus წოდებითში გვაძლევს mi-ს პირის ნაცვალსახელების მსგავსად კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც დაირთავენ გამაძლიერებელ ნაწილაკებს: -met და -pte-ს.

meapte, meamet, tuopte...

### ჩვენებითი ნაცვალსახელი (Pronomina demonstrativa)

§ 73. ჩვენებითი ნაცვალსახელი იხმარება არსებითი ან ზედსართავი სახელის ნაცვლად. იბრუნვის I-II კანკლედობის ზედსართავი სახელების მსგავსად, მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ნათესაობითში აქვს -ius, მიცემითში -i ბოლოკიდური.

საშუალო სქესის სახელს მოუდის -d ბოლოკიდური, მამრობითს -e, მდედრობითს -a. ზოგიერთ ნაცვალსახელს ემატება -ce (-c) ნაწილაკი.

| | |
|---|---|
| hic, haec, hoc | ეს |
| iste, ista, istud | ეგ |
| ille, illa, illud | ის |
| is, ea, id | ის |

ყველა ეს ნაცვალსახელი, განსაკუთრებით კი is, ea, id იხმარება III პირის ნაცვალსახელის მაგიერ.

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | is | ea | id | ii(ei), (i) | eae | ea |
| Gen. | eius | | | eorum | earum | eorum |
| Dat. | ei | | | iis (eis), (is) | | |
| Acc. | eum | eam | id | eos | eas | ea |
| Abl. | eo | ea | eo | iis(eis), (is) | | |

ნაცვალსახელი is, ea, id ორფუძიანია (i/e).

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | hic | haec | hoc | hi | hae | haec |
| Gen. | huius | | | horum | harum | horum |
| Dat. | huic | | | his | | |
| Acc. | hunc | hanc | hoc | hos | has | haec |
| Abl. | hoc | hac | hoc | his | | |

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | ille | illa | illud | illi | illae | illa |
| Gen. | illius | | | illorum | illarum | illorum |
| Dat. | illi | | | illis | | |
| Acc. | illum | illam | illud | illos | illas | illa |
| Abl. | illo | illa | illo | illis | | |

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | iste | ista | istud | isti | istae | ista |
| Gen. | istius | | | istorum | istarum | istorum |
| Dat. | isti | | | istis | | |
| Acc. | istum | istam | istud | istos | istas | ista |
| Abl. | isto | ista | isto | istis | | |

hic, haec, hoc ნაცვალსახელი -ce ნაწილაკის დართვით არის მიღებული (სადაც e ხმოვანი მოკვეცილია).

საშუალო სქესის hoc მიღებულია hodce-საგან

hodce → hocce → hoc

hunc, hanc მიღებულია humc, hamc ისაგან

### განსაზღვრებითი ნაცვალსახელი (Pronomina determinativa)

§ 74. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: ipse, ipsa, ipsum „იგი", თვით იგი", idem, eadem, idem „იგივე". ეს უკანასკნელი მიღებულია is, ea, id ნაცვალსახელზე -dem ნაწილაკის დართვით, რომელიც ბრუნების დროს უცვლელი რჩება. dem-ის წინ m ასიმილაციით გვაძლევს n-ს.

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | ipse | ipsa | ipsum | ipsi | ipsae | ipsa |
| Gen. | | ipsius | | ipsorum | ipsarum | ipsorum |
| Dat. | | ipsi | | | ipsis | |
| Acc. | ipsum | ipsam | ipsum | ipsos | ipsas | ipsa |
| Abl. | ipso | ipsa | ipso | | ipsis | |

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | idem | eadem | idem | eidem(iidem) | eaedem | eadem |
| Gen. | | eiusdem | | eorundem | earundem | eorundem |
| Dat. | | eisdem | | eisdem | (iisdem). | |
| Acc. | eundem | eandem | idem | eosdem | easdem | eadem |
| Abl. | eodem | eadem | eodem | eisdem (iisdem) | | |

### მიმართებითი ნაცვალსახელი (Pronomen relativum)

§ 75. ნაცვალსახელი qui, quae „ვინც“, რომელიც“ იხმარება ხან. არსებითი სახელის, ხან ზედსართავის მნიშვნელობით. სხვა ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით მამრობითი სქესის მხოლობითი რიცხვის აკუზატივუსის ფორმა quem III კანკლედობით აქვს ნაწარმოები. ამავე კანკლედობით აქვს გაფორმებული მრავლობითი რიცხვის მიცემითი და მოქმედებითი quibus.

| | Sing. | | | Plur. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Nom. | qui | quae | quod | qui | quae | quae |
| Gen. | | cuius | | quorum | quarum | quorum |
| Dat. | | cui | | | quibus | |
| Acc. | quem | quam | quod | quos | quas | quae |
| Abl. | quo | qua | quo | | quibus | |

cum წინდებული ამ ნაცვალსახელს, ისევე როგორც პირის ნაცვალსახელებს, დაერთვის ბოლოში:

quocum, quacum, quibuscum

### კითხვითი ნაცვალსახელი (Pronomina interrogativa)

§ 76. კითხვითი ნაცვალსახელებია: quis? „ვინ“? quid? „რა?“ qui, quae, quod? „რომელი?“ qui, quae, quod იბრუნვის მიმართებითი ნაცვალსახელის მსგავსად. ასევე იბრუნვის quis, quid. ამ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი არა აქვს.

Sing.

| | | |
|---|---|---|
| Nom. | quis | quid |
| Gen. | cuius | |
| Dat. | cui | |
| Acc. | quem | quid |
| Abl. | quo | |

### განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (Pronomina indefinita)

§ 77. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მიიღება მიმართებითი ან კითხვითი ნაცვალსახელისაგან:

ა) მახვილის მოცილებით: quis? „ვინ“ ? quid? „რა?“
quis „ვინმე“ quid „რამე“

ბ) გაორკეცებით: quisquis, quidquid „ვინც კი“, „ყოველი“

გ) ნაწილაკების დართვით: ali-(თავსართად), -dem, -quam, -que, -piam, -libet -vis, -cunque (ბოლოსართებად დაერთვის). ბრუნების დროს ნაწილაკი არ იცვლება.

განუსაზღვრელი ნაცვალსახელი გვევლინება არსებითი სახელის ან ზედსართავის როლში. მათ მხოლოდ საშუალო სქესის ფორმა განასხვავებთ. არსებითს აქვს quid, ზედსართავს — quod. თუმცა ზოგჯერ მამრობითი სქესის ფორმაც განსხვავებული აქვთ. არსებითს აქვს quis, ზედსართავს -qui.

| | |
|---|---|
| quis, qua, quid<br>qui, qua, quod<br>aliquis, aliqua, aliquid<br>aliqui, aliqua, aliquod | ვინმე, რამე, რომელიმე |
| quispiam, quaepiam, quidpiam<br>quispiam, quaepiam, quodpiam<br>quisquam, quidquam (quicquam)<br>quidam, quaedam, quoddam | ვიღაც, ერთი, ზოგიერთი |
| quisque, quaeque, quidque<br>quisque, quaeque, quodque | თითოეული, ყოველი |
| unusquisque, unaquique, unumquidque<br>unusquisque, unaquique, unumquodque | ყოველი ცალკე, თითოეული ცალ-ცალკე |
| quislibet, qualibet, quidlibet<br>quilibet, qualibet, quodlibet<br>quivis, quaevis, quidvis<br>quivis, quaevis, quodvis | ვინც გინდა, რომელიც გინდა, ყოველი |

ნაცვალსახელი quis, quid კავშირებთან: si „თუ", ne „რათა არ", nisi „თუ არ", num „ნუთუ" იხმარება aliquis, aliquid-ის ნაცვლად. მაგრამ თუ ასეთი კავშირების შემდეგ მაინც არის aliquis, aliquid, მაშინ იგი ასე უნდა ითარგმნოს: „თუმცა ვინმე" ...„საერთოდ ვინმე".

რთული განუსაზღვრელი ნაცვალსახელი შემდეგნაირად იბრუნვის: იცვლება მხოლოდ quis (qui), თავსართი ან ბოლოსართი კი უცვლელი რჩება: aliquis, alicuius, alicui და ა. შ.

ნაცვალსახელი unusquisque აბრუნებს ორივე წევრს ცალ-ცალკე: uniusquisque, uniuscuiusque, unicuique და ა. შ.

### უარყოფითი ნაცვალსახელი (Pronomina negativa)

§ 78. უარყოფითი ნაცვალსახელებია: nemo (*ne+hemo; hemo არქაული ფორმაა homo-სი), „არავინ" და nihil („ne+hilum; hilum „უარესად მცირე რამ". ამ სიტყვის მნიშვნელობა ძველთაგანვე არ არის ზუსტად დადგენილი) „არაფერი". უარყოფითი ნაცვალსახელი მხოლოდ მხოლობით რიცხვში გვხვდება.

| Sing. | |
|---|---|
| Nom. nemo | nihil, nil |
| Gen. nullius, néminis | núllius rei, nihili |
| Dat. nemini, nulli | nulli rei |
| Acc. neminem | nihil, nil, nihilum |
| Abl. nullo, nemine | nulla re, nihilo |

### ურთიერთობითი ნაცვალსახელი (Pronomina correlativa)

§ 79. ეს ისეთი ნაცვალსახელებია, რომლებიც ერთმანეთთან აზრობრივად არიან დაკავშირებულნი; როცა ერთი მათგანი შეიცავს კითხვას, მეორე კი პასუხს. ეს ნაცვალსახელები გრამატიკული მნიშვნელობით შეიძლება არსებითი სახელის, ან ზედსართავის ფუნქციის მატარებელი იყოს, ლოგიკური მნიშვნელობით კი — კითხვითი, ჩვენებითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი.

| interrogativa | indefinita | demonstrativa | relativa | negativa |
|---|---|---|---|---|
| quis? qui? ვინ? | aliquis, aliqui quispiam, quidam quisquam, quisque, quivis, quidlibet, quisquis ვინმე, ვილაც. ერთი, რომელიღაც, რომელიმე | hic, iste, ille, is idem ეს, ეგ, ის, იგივე | qui ვინც, რომელიც | nemo არავინ |
| ubi? სად? | alicubi, uspiam, usquam სადღაც, სადმე ubiquaque, ubique, ubivis, ubilibet, ubicumque სადაც კი, სადაც გინდა, ყველგან | ibi, იქ, ibidem — იქვე, hic აქ. istic, illic იქ alibi სხვაგან alias სხვა ადგილას utrobique ორივე მხარეს | ubi სადაც ubicunque, ubiubi სადაც კი | nusquam არსად |
| quo? საით? | aliquo საითკენღაც quovis სადღაც quolibet, quoquo საითკენაც კი | huc აქეთ eo, istuc, illuc იქით eodem იქვე | quo, quor sum სადაც | nusquam არსად quocumque სადაც კი |
| utro? რომელ მხარეს? (აქეთ თუ იქეთ?) | quoquam, quospiam სადმე | eodem იქვე, იქითკენვე utroque იქეთ და აქეთ | — | — |
| uter? რომელი? (ორიდან) | utervis, uterlibet ვინმე (ორიდან) | alter, uterque მეორე, ორივე | uter ის, ვინც (ორიდან) | neuter არც ერთი, არც მეორე |
| quantus? რა სიდიდის? | aliquantus საკმაოდ დიდი | tantus ასეთი, ასე დიდი | quantus რამხელაც, რამდენიც | — |
| qualis? როგორი? | — | talis ასეთი | qualis როგორიც | — |
| quot? რამდენი? | aliquot რამდენიმე | tot იმდენივე, ისე მეტი | quot რამდენიც | — |

### ურთიერთობითი ნაცვალსახელური ზმნისართი
### (Adverbia pronominalia correlativa)

§ 80. ნაცვალსახელური ზმნისართი ძირითადად ნაცვალსახელის ცალკეულ ბრუნვას წარმოადგენს (quo? „საით?", qua? „სად?", quam? „როგორ?"), ან მიღებულია სუფიქსების: -bi (ibi „იქ", alibi „სხვა ადგილას"), -inc(hinc „აქედან"), ან ნაწილაკების: -de (inde „აქედან", „შემდგომ") -iens (quotiens „რამდენჯერ") დართვით.

### ზმნა (Verbum)

§ 81. ზმნას აქვს პირიელი ანუ განსაზღვრული (Finitiva) და სახელადი — განუსაზღვრელი ფორმები (Indefinitiva).

ლათინური ზმნის კატეგორიებია: პირი I, II, III (Persona), რიცხვი: მხოლობითი (Numerus singularis) და მრავლობითი (Numerus piuralis), გვარი: მოქმედებითი (Genus activum) და ვნებითი (Genus passivum), კილო: თხრობითი (Modus indicativus), კავშირებითი (Modus coniunctivus) და ბრძანებითი (Modus imperativus).

თხრობითი კილო ზმნით გამოხატული მოქმედების (მომხდარის ან მოსახდენის) კონსტატაციაა; კავშირებითი კილო სასურველ, შესაძლებელ, აუცილებელ მოქმედებას აღნიშნავს; ბრძანებითი კილო გამოხატავს ბრძანებას ან თხოვნას.

მოქმედებითი გვარისაა ზმნა, თუ მას აქტიური ქვემდებარე ახლავს და შესაბამისი გრამატიკული ფორმითაა გამოხატული:

Magister discipulum laudat.

მასწავლებელი მოსწავლეს აქებს.

ვნებითი გვარისაა ზმნა, თუ მისი ქვემდებარე პასიურია (როცა ქვემდებარე არ არის მოქმედი, ან თვით განიცდის მოქმედებას).

Discipulus laudatur a magistro.

მოსწავლე იქება მასწავლებლისაგან.

ზოგჯერ ვნებითი გვარის ქვემდებარე თვით განიცდის მისგანვე გამოწვეულ მოქმედებას:

lavor ვბანაობ ე. ი. lavo me.

induor ვიცვამ

ასეთ შემთხვევაში ზმნას უკუქცევითობის მნიშვნელობა აქვს. ასეთებია ე. წ. მედიალური ზმნები.

ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი (Verba transitiva) და გარდაუვალი (Verba intransitiva).

გარდამავალი ზმნა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოქმედი პირიდან გადადის საგანზე, პირდაპირ ობიექტზე, ე. ი. აკუზატივუსში დასმულ სახელზე:

Lego librum.

ვკითხულობ წიგნს.

გარდაუვალ ზმნას არა აქვს პირდაპირი ობიექტი, რომელზედაც გადადის ქვემდებარის მოქმედება:

sto ვდგავარ

pugno ვიბრძვი

გარდამავალ ზმნას აქვს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები, გარდაუვალ ზმნას ვნებითი გვარის ფორმა შეიძლება ჰქონდეს მხოლობითი რიცხვის III პირში უპირო ზმნის მნიშვნელობით: pugnatur იბრძვიან.

ზოგიერთ ზმნას არა აქვს მოქმედებითი გვარის ფორმები, იუღლება მხოლოდ ვნებითში, მაგრამ მნიშვნელობა მოქმედებითი გვარისა აქვს. ასეთ ზმნებს დეპონენსები (Verba deponentia) ეწოდება. depono ნიშნავს „გადაგდებ". ეს ტერმინი ლათინური ენის გრამატიკოსებისაგან მომდინარეობს. ე. ი. ეს ისეთი ზმნებია, რომლებმაც, „გადადეს", არ გამოიყენეს მოქმედებითი გვარის ფორმები: arbitror ვფიქრობ, მიმაჩნია.

ზოგიერთ ზმნას ნაწილობრივ მოქმედებითი გვარის ფორმები აქვს, ნაწილობრივ — ვნებითისა. ესენია ე. წ. ნახევრად დეპონენსები (Verba semideponentia)

დრო (Tempus) ლათინურ ზმნას ექვსი აქვს, რომლებიც ორ ჯგუფად განიყოფებიან: უსრული მოქმედების გამომხატველი (Infectum) და დასრულებული მოქმედების გამომხატველი (Perfectum).

ინფექტუმის წრეში შედის: Praesens (აწმყო), Imperfectum (უწყვეტელი), Futurum I (მყოფადი I).

პერფექტუმის წრეს ეკუთვნის: Perfectum (ნამყო წყვეტილი), Plusquamperfectum (წინარეწარსული), Futurum II (მყოფადი II).

## სახელზმნა (Infinitivus)

§ 82. ინფინიტივუსი (Infinitivus) ლათინურ ენაში ექვსია:

1 Infinitivus praesentis activi laudare ქება[1]

აწმყო დროის მოქმედებითი გვარის ინფინიტივუსი.

2 Infinitivus praesentis passivi laudari

აწმყო დროის ვნებითი გვარის ინფინიტივუსი.

3 Infinitivus perfecti activi laudavisse

[1] სხვა ინფინიტივუსთა ქართულ შესატყვისობებზე იხილეთ შემდგომ

ნამყო დროის მოქმედებითი გვარის ინფინიტივუსი.
4 Infinitivus perfecti passivi laudatum (us) esse
ნამყო დროის ვნებითი გვარის ინფინიტივუსი.
5 Infinitivus futuri activi laudaturum (us) esse
მყოფადი დროის მოქმედებითი გვარის ინფინიტივუსი.
6 Infinitivus futuri passivi laudatum iri
მყოფადი დროის ვნებითი გვარის ინფინიტივუსი.

სახელზმნაა აგრეთვე სუპინუმი Supinum

laudatum — Supinum I „საქებად" laudatu — Supinum II „საქებად"

### მიმღეობა (Participium)

§ 83. მიმღეობა ოთხი სახისაა:

| | |
|---|---|
| 1 Participium, praesentis activi | laudans (laudantis) |
| აწმყო დროის მოქმედებითი გვარის მიმღეობა | მაქებარი |
| 2 Participium perfecti passivi | laudatus, a, um |
| ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობა | ნაქები |
| 3 Participium futuri activi | laudaturus, a, um |
| მყოფადი დროის მოქმედებითი გვარის მიმღეობა | შემქებარი, ვინც აპირებს შექებას |
| 4 Participium futuri passivi | laudandus, a, um |
| მყოფადი დროის ვნებითი გვარის მიმღეობა | შესაქები |

| laudaturus ero (eris, erit...) | მე უნდა (განზრახული მაქვს) შევაქო |
| laudaturus fui (fuisti, fuit...) | მე უნდა შემექო, მინდოდა შემექო |

laudaturus fueram (fueras, fuerat...) მე დავაპირე (განზრახული მქონდა) შემექო
laudaturus fuero (fueris, fuerit...) მე ვეცდები(განზრახული მაქვს)შევაქო

ეს არის ე. წ. coniugatio periphrastica activa. მყოფადი დროის ვნებითი გვარის მიმღეობითა და ყოფნა ზმნით ნაწარმოებ უღლებას კი უწოდებენ coniugatio periphrastica passiva-ს. იგი გამოხატავს აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას.

laudandus sum (es, est...) მე უნდა მაქონ, საჭიროა მაქონ
laudandus eram (eras, erat...) საჭირო იყო ჩემი შექება
laudandus ero (eris, erit...) მე უნდა შემაქონ
laudandus fui (fuisti, fuit...) მე უნდა შევექე (ვინმეს)
laudandus fueram (fueras, fuerat...) საჭირო იყო შევექე (ვინმეს)
laudandus fuero (fueris, fuerit...) მე უნდა (საჭიროა) შემაქონ

გარდამავალ ზმნებს ყველა ფორმა აქვს ვნებითი გვარის აღწერილობითი უღლებისა. გარდაუვალ ზმნებს კი მხოლოდ გერუნდივუმითა და ყოფნა ზმნის მხ. რიცხვის III პირის საშუალებით ნაწარმოები ფორმები აქვთ.

pugnandum est საჭიროა ბრძოლა
pugnandum erat
pugnandum fuit
pugnandum fuerat } საჭირო იყო ბრძოლა
pugnandum erit
pugnandum fuerit } საჭირო იქნება ბრძოლა

ვნებითი გვარის აღწერილობითი უღლება ხშირად გვხვდება ე. წ. Dativus personae-სთან. ეს არის მიცემითში დასმული სახელი, რომელსაც მიეწერება, რომლისთვისაც განკუთვნილია მოქმედება.

„Tria videnda sunt oratori: quid dicat et quo quidque loco et quomodo" (Cic.)

„სამი რამ უნდა გაითვალისწინოს ორატორმა (სამი რამ არის აუცილებლად გასათვალისწინებელი ორატორის მიერ): რა თქვას, სად და როგორ".

Mihi pugnandum est.

მე უნდა ვიბრძოლო (ჩემთვის აუცილებელია ბრძოლა)

აღწერილობითი უღლების ინფინიტივუსის ფორმები მეტწილად გამოიყენება შემდეგ კონსტრუქციებში: Accusativus cum infinitivo-სა და Nominativus cum infinitivo-ში, ხოლო კავშირებითის ფორმები —დამოკიდებულ წინადადებებში.

§ 122. დეპონენსები ისეთი ზმნებია, რომელთაც ვნებითი გვარის ფორმები აქვთ, მნიშვნელობა კი — მოქმედებითი გვარისა.

hortor, hortatus sum, hortari ვარწმუნებ

დეპონენსებს მოქმედებითი გვარის ზოგიერთი ფორმაც მოეპოვება. მაგ. Participium praesentis activi — hortans დამარწმუნებელი

Participium futuri activi — hortaturus ის, ვინაც უნდა დაარწმუნოს

Infinitivus futuri activi-hortaturus esse

Gerundium — hortandi

Supinum I — hortatum

დეპონენსების გერუნდიუმს ვნებითი გვარის მნიშვნელობა აქვს (როგორც ჩვეულებრივ ზმნებს): hortandus დასარწმუნებელი

ზოგიერთი დეპონენსის ნამყოს ვნებითი გვარის მიმღეობა მოქმედებითი გვარის მნიშვნელობითაც იხმარება და ვნებითი გვარის მნიშვნელობითაც.

comitor ვაცილებ, comitatus გამცილებელი და გასაცილებელი

populor ვაცარიელებ, populatus დამაცარიელებელი და დასაცარიელებელი

დ ე პ ო ნ ე ნ ს ე ბ ი:

I უღლება

| | |
|---|---|
| arbitror, arbitratus sum, arbitrari | ვფიქრობ, მიმაჩნია |
| conor, conatus sum, conari | ვცდილობ |
| for, fatus sum, fari | ვლაპარაკობ |
| gratulor, gratulatus sum, gratulari | ვულოცავ |
| hortor, hortatus sum, hortari | ვარწმუნებ, ვურჩევ |
| imitor, imitatus sum, imitari | ვბაძავ |
| moror, moratus sum, morari | ვაყოვნებ |
| admiror, admiratus sum, admirari | მიკვირს |
| opinor, opinatus sum, opinari | ვვარაუდობ |
| populor, populatus sum, populari | ვარბევ |
| venor, venatus sum, venari | ვნადირობ |

II უღლება

| | |
|---|---|
| fateor, fassus sum, fateri | ვაღიარებ |
| medeor, mederi | ვუწამლებ |
| mereor, meritus sum, mereri | ვიმსახურებ |
| misereor, miseritus sum, misereri | მებრალება, ვიბრალებ |

| | |
|---|---|
| polliceor, pollictus sum, polliceri | ვპირდები |
| reor, ratus sum, reri | მგონია |
| tueor, tuitus sum, tueri | ვუვრეტ |
| vereor, veritus sum, vereri | მეშინია |

## III უღლება

| | |
|---|---|
| adipiscor, adeptus sum, adipisci | ვაღწევ |
| gradior, gressus sum, gradi | მივაბიჯებ |
| labor, lapsus sum, labi | ვვარდები |
| loquor, locutus sum, loqui | ველაპარაკობ |
| morior, mortuus sum, mori | ვკვდები |
| nascor, natus sum, nasci | ვიბადები |
| obliviscor, oblitus sum, oblivisci | ვივიწყებ |
| patior, passus sum, pati | ვითმენ |
| proficiscor, profectus sum, proficisci | მივემგზავრები |
| queror, questus sum, queri | ვჩივი |
| reminiscor —, reminisci | მოვიგონებ |
| sequor, secutus sum, sequi | მივყვები, მივდევ |
| utor, usus sum, uti | ვსარგებლობ |

## IV უღლება

| | |
|---|---|
| largior, largitus sum, largiri | უხვად გავცემ |
| mentior, mentitus sum, mentiri | ვცრუობ |
| metior, mensus sum, metiri | ვზომავ |
| ordior, orsus sum, ordiri | ვიწყებ |
| orior, ortus sum, oriri | ამოვდივარ |
| partior, partitus sum, partiri | ვყოფ |
| potior, potitus sum, potiri | დავეუფლები |

### უღლების საერთო ცხრილი

| | Praesens indicativi | Praesens coniunctivi |
|---|---|---|
| Sing. | imitor ვბაძავ | imiter ვბაძავდე |
| | imitaris | imiteris |
| | imitatur | imitetur |
| Plur. | imitamur | imitemur |
| | imitamini | imitemini |
| | imitantur | imitentur |

| Imperfectum indicativi | Imperfectum coniunctivi | Futurum I |
|---|---|---|
| Sing. imitabar ვბაძავდი | imitarer მიმებაძა | imitabor მივბაძავ |
| imitabaris | imitareris | imitaberis |
| imitabatur | imitaretur | imitabitur |
| Plur. imitabamur | imitaremur | imitabimur |
| imitabamini | imitaremini | imitabimini |
| imitabantur | imitarentur | imitabuntur |

| Perfectum indicativi | Perfectum coniunctivi |
|---|---|
| Sing. imitatus, a, um sum მივბაძე | imitatus, a, um sim მიმებაძა |
| " " es | " " sis |
| " " est | " " sit |
| Plur. imitati, ae, a sumus | imitati, ae, a simus |
| " " estis | " " sitis |
| " " sunt | " " sint |

| Plusquamperfectum indicativi | Plusquamperfectum coniunctivi |
|---|---|
| Sing. imitatus, a, um eram მიმიბაძავს | imitatus, a, um essem მიმებაძოს |
| " " eras | " " esses |
| " " erat | " " esset |
| Plur. imitati, ae, a eramus | imitati, ae, a essemus |
| " " eratis | " " essetis |
| " erant | " " essent |

Futurum II

Sing. imitatus, a, um ero მივბაძავ
" " eris
" " erit
Plur. imitati, ae, a erimus
" " erimus
" erunt

Imperativus praesentis —Sing. II imitare! მიბაძე!
Plur, II imitamini! მიბაძეთ!

Infinitivus praesentis — imitari
Infinitivus perfecti — imitatus, a, um esse } მიბაძვა
Infinitivus futuri — imitaturus, a, um esse

Participium praesentis — imitans მიმბაძავი

Participium perfecti — imitatus, a, um ვინც მიბაძა
Participium futuri imitaturus, a, um ვინც უნდა მიბაძოს
Supinum I imitatum } მისაბაძად
Supinum II imitatu }
Gerundivum — imitandus, a, um მისაბაძი

Gerundium

Gen. imitandi მიბაძვის
Dat. imitando მიბაძვას
Acc. ad imitandum მისაბაძად
Abl. imitando მიბაძვით

### ნახევრადდეპონენსები (Verba semideponentia)

§ 123. ზოგიერთ ზმნას ინფექტუმის წრეში მოქმედებითი გვარის ფორმები აქვს, პერფექტუმის წრეში კი — ვნებითისა, ან პირიქით. ასეთ ზმნებს ნახევრადდეპონენსებს უწოდებენ.

audeo, aussus sum, audére ვბედავ
gaudeo, gavissus sum, gaudére მიხარია
soleo, solitus sum, solére ჩვეულებად მაქვს
fido, fisus sum, fídere ვენდობი
revertor, reverti, reverti ვბრუნდები
confido, confisus sum, confídere ვენდობი
diffido, diffisus sum, diffídere არ ვენდობი

### უღლების თავისებურებანი

§ 124. -v სუფიქსით ნაწარმოები ზმნების ნაწილი პერფექტუმში -vi, -ve მარცვლებს ამოაგდებს (s და r თანხმოვნების წინ).

ornavisti → ornasti შეამკე
ornavero → ornaro შევამკობ
ornaveram → ornaram შემემკია
ornaverim → ornarim შემემკო
ornavisse → ornasse შემკობა

ზოგიერთი ზმნა, რომელსაც პერფექტუმის ფუძე -s სუფიქსით აქვს ნაწარმოები, -is მარცვალს კარგავს და იმარტივებს ფუძეს:

misisti → misti გაგზავნე
clausisti → clausti ჩაჰკეტე
dixisti → dixti თქვი
scripsistis → scripstis დაწერეთ

ზოგიერთ ზმნას მყოფადში არქაული -so/-sso მაწარმოებლები აქვს. ამ ზმნებს მყოფადის ჩვეულებრივი ფორმებიც აქვთ.

dico, dícere ვამბობ
facio, fácere ვაკეთებ
amo, amáre მიყვარს
servo, serváre ვიხსნი
capio, cápere ვიჭერ

Futurum

| | | | |
|---|---|---|---|
| Sing. | dixo | Plur. | diximus |
| | dixis | | dixitis |
| | dixit | | dixint |

კლასიკურ ლათინურში ასეთი მყოფადი უკვე არქაიზმად ითვლებოდა და თუ მას ადრე Futurum I-ის მნიშვნელობა ჰქონდა, შემდგომ Futurum II-ის მნიშვნელობა მიიღო.

არქაულად აწარმოებენ კავშირებით კილოს შემდეგი ზმნები:

dico, dícere ვამბობ
levo, leváre ვამსუბუქებ
occupo, occupáre ვიპყრობ
facio, fácere ვაკეთებ
loco, locáre ვათავსებ
dixim, dixis, dixit....

ზ მ ნ ე ბ ი: sum „ვარ", volo „მსურს", nolo „არ მსურს", malo „ძალიან მინდა" და ნაწილობრივ edo „ვჭამ" — კავშირებით კილოს -i სუფიქსით აწარმოებენ (იხ. თავისებური ზმნები).

კავშირებით კილოში ჩვეულებრივი ფორმების გვერდით არქაული ფორმები აქვთ ზმნებს: do „ვაძლევ" და tango „ვეხები".

duim—dem tagim—tangam

### თავისებური ზმნები (Verba anomalia)

§ 125. თავისებური ზმნები ინფექტუმის წრეში ზოგ ფორმას თავისებურად აწარმოებენ (თემატური ხმოვნების დაურთველად).

| | | | |
|---|---|---|---|
| sum, fui, esse | ვარ | nolo, nolui, nolle | არ მინდა |
| fero, tuli, latum, ferre | მოვაქვს | edo, edi, esum, edere | ვჭამ |
| volo, volui, velle | მინდა | do, dedi, datum, dare | ვაძლევ |
| malo, malui, malle | ძალიან მინდა | fio, factus sum, fieri | ვიქმნები |

თავისებურია esse „ყოფნა“ ზმნით ნაწარმოები რთული ზმნები:

| | |
|---|---|
| possum, potui, posse | შემიძლია |
| absum, afui, abesse | შორს ვარ, არ ვარ |
| adsum, adfui, adesse | ვარ, ვეხმარები |
| desum, defui, deesse | ვაკლივარ, არ ვარ |
| intersum, interfui, interesse | რაღაცაში ვარ, ვმონაწილეობ |
| interest | განსხვავდება, საგულისხმოა |
| praesum, praefui, praeesse | წინ ვარ, ვწინამძღოლობ |
| prosum, profui, prodesse | სარგებლობა მომაქვს |
| subsum, ——— subesse | ქვეშ ვარ |
| subest (დროის შესახებ) | ახლოვდება, დგება |
| obsum, obfui, obesse | წინააღმდეგი ვარ |
| supersum, superfui, superesse | რჩება, ზედმეტი რჩება |

possum მიღებულია pot ←potis „შემძლე“ და esse ზმნისაგან. pot ასიმილაციით s თანხმოვნის წინ გვაძლევს pos. *potsum → possum.

posse მიღებულია potesse-საგან. პერფექტუმის ფუძე potu შეიძლება *potere-საგან მომდინარეობდეს.

| | Praes. ind. | Praes. con. | Imperf. ind. | Imperf. con. | Fut. I. |
|---|---|---|---|---|---|
| Sing. | possum | possim | poteram | possem | potero |
| | potes | possis | poteras | posses | poteris |
| | potest | possit | poterat | posset | poterit |
| Plur. | possumus | possimus | poteramus | possemus | poterimus |
| | potestis | possitis | poteratis | possetis | poteritis |
| | possunt | possint | poterant | possent | poterint |

| | Perf. ind. | Perf. con. | Plusquam. ind. | Plusquam. con. | Fut. II |
|---|---|---|---|---|---|
| Sing. | potui | potuerim | potueram | potuissem | potuero |
| | potuisti | potueris | potueras | potuisses | potueris |
| | potuit | potuerit | potuerat | potuisset | potuerit |
| Plur. | potuimus | potuerimus | potueramus | potuissemus | potuerimus |
| | potuistis | potueritis | potueratis | potuissetis | potueritis |
| | potuerunt | potuerint | potuerant | potuissent | potuerint |

| | | |
|---|---|---|
| Infinitivus | praesentis | posse |
| Infinitivus | perfecti | potuisse |
| Participium | praesentis | potens |

prosum ←prodsum ზმნის უღლების დროს პრევერბი prod უცვლელი რჩება ხმოვნის წინ, თანხმოვნის წინ d ამოვარდება.

| | Praes. ind. | Praes. con. | Imperf. ind. | Imperf. con. | Fut. I |
|---|---|---|---|---|---|
| Sing. | prosum | prosim | proderam | prodessem | prodero |
| | prodes | prosis | proderas | prodesses | proderis |
| | prodest | prosit | proderat | prodesset | proderit |
| Plur. | prossumus | prosimus | proderamus | prodessemus | proderimus |
| | prodestis | prositis | proderatis | prodessetis | proderitis |
| | prossunt | prosint | proderant | prodessent | proderint |

§ 128 volo volui velle მინდა

malo, malui, malle ძალიან მინდა

nolo, nolui, nolle არ მინდა

volo ზმნა ინფექტუმის წრეში ფორმებს აწარმოებს vel/vol ფუძისაგან. vol თხრობით კილოშია გამოყენებული, vel კი — კავშირებითსა და ინფინიტივუსში.

მხ. რიცივის II პირის ფორმა vis, როგორც ვარაუდობენ, ან 1-ს ჩავარდნით არის მიღებული *vols → vois → veis → vis, ან სხვა ფუძისაგან vi (შდრ. invitus „არმოსურნე").

nolo მიღებულია non volo-საგან. მხ. რიცხვის II, III პირში და მრ. რიცხვის II პირში შეურწყმელი ფორმები იხმარება: non vis, non vult-non vultis. თუმცა არქაულ ლათინურში შერწყმული ფორმებიც გვხვდება nevis და nevolt.

malo მიღებულია magis volo — საგან.

კავშირებითი კილო ამ ზმნებს -i სუფიქსით აქვთ ნაწარმოები (გავიხსენოთ sim, duim). ინფინიტივუსის -se ასიმილაციის შედეგად გვაძლევს -le-ს. *velse → velle. ასევეა უწყვეტლის კავშირებითშიც: *velsem → →vellem. si vis „თუ გსურს" შეიძლება შეირწყას და მივიღებთ sis. ასევე შეიძლება შეირწყას si vultis → sultis.

| | praes. ind. | | | Praes, con. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Sing. | volo | malo | nolo | velim | malim | nolim |
| | vis | mavis | non vis | velis | malis | nolis |
| | vult | mavult | non vult | velit | malit | nolit |
| Plur. | volumus | malumus | nolumus | velimus | malimus | nolimus |
| | vultis | mavultis | non vultis | velitis | malitis | nolitis |
| | volunt | malunt | nolunt | velint | malint | nolint |

ამ ფორმებთან ერთად გვხვდება არქაული ფორმებიც:

mavolo, mavolunt, mavelim, mavellem.

| | Imperf. ind. | | | Imperf. con. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Sing. | volebam | malebam | nolebam | vellem | mallem | nollem |
| | volebas | malebas | nolebas | velles | malles | nolles |
| | volebat | malebat | nolebat | vellet | mallet | nollet |
| Plur. | volebamus | malebamus | nolebamus | vellemus | mallemus | nollemus |
| | volebatis | malebatis | nolebatis | velletis | malletis | nolletis |
| | volebant | malebant | nolebant | vellent | mallent | nollent |

Fut. I

| | | | |
|---|---|---|---|
| Sing. | volam | malam | nolam |
| | voles | males | noles |
| | volet | malet | nolet |
| Plur. | volemus | malemus | nolemus |
| | voletis | maletis | noletis |
| | volent | malent | nolent |

Infinitivus praesentis —velle, malle, nolle
Participium praesentis —volens, — nolens
Imperativus praesentis —noli, nolite, —
Imperativus futuri —nolito, nolito; nolitote, nolunto
Gerundium volendi, volendo, ad volendum, volendo
malendi, malendo, ad malendum, malendo,
nolendi, nolendo, ad nolendum, nolendo

malo-სა და volo-ს არა აქვს ბრძანებითის ფორმები. პერფექტუმის წრეში სამივე ზმნას წესიერი უღლება აქვს.

§ 127. eo, ii (ivi), itum, ire —მივდივარ

ამ ზმნის ფუძე არის i, რომელიც a, o, u-ს წინ e ხმოვანში მონაცვლეობს.

| | Praes, ind. | Praes. con. | Imperf. ind. | Imperf. con. | Fut. I |
|---|---|---|---|---|---|
| Sing. | eo | eam | ibam | irem | ibo |
| | is | eas | ibas | ires | ibis |
| | it | eat | ibat | iret | ibit |
| Plur. | imus | eamus | ibamus | iremus | ibimus |
| | itis | eatis | ibatis | iretis | ibitis |
| | eunt | eant | ibant | irent | ibunt |

| | Perf. ind. | Perf. con. | Plusquam. ind. | Plusquam. con. | Fut. II |
|---|---|---|---|---|---|
| Sing. | ii | ierim | ieram | issem | iero |
| | isti | ieris | ieras | isses | ieris |
| | iit | ierit | ierat | isset | ierit |
| Plur. | iimus | ierimus | ieramus | issemus | ierimus |
| | istis | ieritis | ieratis | issetis | ieritis |
| | ierunt | ierint | ierant | issent | ierint |

Infinitivus praesentis — ire
Infinitivus perfecti — isse
Infinitivus futuri — iturus, -a, um esse
Imperativus praesentis — i, ite
Imperativus futuri — ito. ito; itote, eunto
Participium praesentis — iens (euntis)
Supinum I, II — itum, itu
Gerundium — eundi, eundo, ad eundum, eundo

eo-თი ნაწარმოები რთული ზმნები:

| | |
|---|---|
| abeo, abii, abitum, abire | მივდივარ |
| adeo, adii, aditum, adire | ვუახლოვდები |
| exeo, exii, exitum, exire | გავდივარ |
| ineo, inii, initum, inire | შევდივარ |
| intereo, interii, interitum interire | ვიღუპები |
| pereo, perii, peritum, perire | ვიღუპები |
| prodeo, prodii, proditum, prodire | სარგებლობა მომაქვს |
| redeo, redii, reditum, redire | ვბრუნდები |
| transeo, transii, transitum, transire | გადავდივარ |

### § 128. edo, edi, esum, edere (ან esse) ჭამა.

ინფექტუმის წრეში პარალელური ფორმები აქვს (თემატურად და ათემატურად ნაწარმოები). ათემატური უღლებისას -s(-se) და -t (-tis) დაბოლოებების წინ ed გადადის -es-ში. აწმყოს კავშირებითს -i სუფიქსითაც აწარმოებს და -a-თიც. აწმყოს მხ. რიცხვის II პირი შემდეგნაირად არის მიღებული: eds→ ess→es

| | Praes. ind. | Praes. con. | Imperf. ind. | Imperf, con. |
|---|---|---|---|---|
| Sing. | edo | edim, edam | edebam | essem, ederem |
| | es, edis | edis, edas | edebas | esses, ederes |
| | est, edit | edit, edat | edebat | esset, ederet |
| Plur. | edimus | edimus, edamus | edebamus | essemus, ederemus |
| | estis, editis | editis, edatis | edebatis | essetis, ederetis |
| | edunt | edint, edant | edebant | essent, ederent |

Fut. I

| | | |
|---|---|---|
| Sing. | edam | Plur. edemus |
| | edes | edetis |
| | edet | edent |

Infinitivus praesentis — esse, edere
Imperativus praesentis Sing. II es! ede! Plur. II este! edite!
Imperativus futuri Sing. II esto! edito! Plur. II estote! editote!
III esto, edito III edunto
Supinum I-II esum, esu
Participium praesentis edens (edentis)
Gerundium edendi, edendo, ad edendum, edendo
Praesens passivi Sing. III estur
Imperfectum coniunctivi Sing. III essetur

დანარჩენი ფორმები III უღლების თანხმოვანფუძიანი ზმნების მსგავსად აქვს ნაწარმოები.

**§ 129. queo, quivi (quii), quitum quire შემიძლია, nequeo, nequivi (nequii), nequitum, nequire** არ შემიძლია

nequeo მიღებულია უარყოფითი neque ნაწილაკისა და eo ზმნის შეერთებით. queo კი შეცდომით გააზრებული იქნა, როგორც ne queo (ne უარყოფითი ნაწილაკი და queo ვითომცდა ზმნა).

| | Praes. ind. | | Praes. con. | |
|---|---|---|---|---|
| Sing. | queo | nequeo | queam | nequeam |
| | — | nequis | queas | nequeas |
| | — | nequit | queat | nequeat |
| Plur. | quimus | nequimus | queamus | nequeamus |
| | — | nequitis | queatis | nequeatis |
| | queunt | nequeunt | queant | nequeant |

| | Imperf. ind. | Imperf. con. |
|---|---|---|
| Sing. | queo-s არა აქვს nequibam | queo-s არა აქვს nequirem |
| | nequibas | nequires |
| | nequibat | nequiret |
| Plur. | nequibamus | nequiremus |
| | nequibatis | nequiretis |
| | nequibant | nequirent |

| | |
|---|---|
| Futurum I | არა აქვს |
| Infinitivus praesentis | quire, nequire |
| Infinitivus perfecti | quivisse, nequivisse |
| Participium praesentis | quiens, nequiens |
| Participium perfecti | quitum, nequitum |

### § 130. do, dedi, datum, dare ვაძლევ

ეს ერთადერთი a ფუძიანი ზმნაა, რომელსაც იხფექტუმის ფუძე a მოკლეზე უთავდება. მხოლოდ ორ ფორმაში აქვს გრძელი a. აწმყო დროის მხ. რიცხვის II პირში das და აწმყო დროის მხ რიცხვის II პირის ბრძანებითში da. do-თი ნაწარმოებ რთულ ზმნებში a გადადის e-ში. ეს ზმნები III ა უღლებას მიეკუთვნებიან.

trado, tradidi, traditum, trádere გადავცე
condo, condidi, conditum, cóndere ვაარსებ

თუმცა ორმარცვლიანი პრეევრბით ნაწარმოები ზმნები მოკლე a-ს ინარჩუნებენ და I უღლებაში რჩებიან:

circumdo, circumdedi, circumdatum, circumdáre გარს ვერტყმი

### 131. fio, factus sum, fieri ვხდები, ვიქმნები

fio ნახევრად დეპონენსია. იუღლება IV ჯგუფის ზმნების მსგავსად. მხოლოდ infinitivus praesentis არის fieri. (გვხვდება არქაული ფორმა fiere). პერფექტუმის წრეში იუღლება ისევე როგორც facio პერფექტუმის წრის ენებით გვარში.

| | Praes. ind. | Praes. con. | Imperf. ind. | Imperf. con. | Fut. I |
|---|---|---|---|---|---|
| Sing. | fio | fiam | fiebam | fierem | fiam |
| | fis | fias | fiebas | fieres | fies |
| | fit | fiat | fiebat | fieret | fiet |
| Plur. | fimus | fiamus | fiebamus | fieremus | fiemus |
| | fitis | fiatis | fiebatis | fieretis | fietis |
| | fiunt | fiant | fiebant | fierent | fient |

| | |
|---|---|
| Infinitivus praesentis | fieri |
| Infinitivus perfecti | factus, a, um esse |
| Infinitivus futuri activi | facturus, a, um esse ან fore |
| Infinitivus futuri passivi | factum iri |
| Imperativus praesentis | Sing, II —fi Plur. fite |
| Participium perfecti | factus, a, um |
| Participium futuri | facturus, a, um |

§ 132. fero, tuli, latum, ferre ზოგადად. ამ ზმნას ინფექტუმისა და პერფექტუმის დროებში სუპლეტური ფუძეები აქვს. ნაწილი ფორმებისა თემატურად აქვს ნაწარმოები, ნაწილი — ათემატურად.

tuli მომდინარეობს tetuli-საგან, latum კი *tlatum-საგან ამ ფუძეთ ამოსავალი არის ზმნა tollo „აღება", „აყვანა".

| | Praes. ind. act. | Praes. ind. pass. | Praes. con. act. | Praes. con. pass. |
|---|---|---|---|---|
| Sing. | fero | feror | feram | ferar |
| | fers | ferris | feras | feraris |
| | fert | fertur | ferat | feratur |
| Plur. | ferimus | ferimur | feramus | feramur |
| | fertis | ferimini | feratis | feramini |
| | ferunt | feruntur | ferant | ferantur |

| | Imperf. ind. act. | Imperf. ind. pass. | Imperf. con. act. | Imperf. con. pass. |
|---|---|---|---|---|
| Sing. | ferebam | ferebar | ferrem | ferrer |
| | ferebas | ferebaris | ferres | ferreris |
| | ferebat | ferebatur | ferret | ferretur |
| Plur. | ferebamus | ferebamur | ferremus | ferremur |
| | ferebatis | ferebamini | ferretis | ferremini |
| | ferebant | ferebantur | ferrent | ferrentur |

Infinitivus praesentis activi — ferre
Infinitivus praesentis passivi — ferri
Infinitivus perfecti activi — tulisse
Infinitivus perfecti passivi — latus, a, um esse
Infinitivus futuri activi — laturus, a, um esse
Infinitivus futuri passivi — latum iri
Imperativus praesentis activi — Sing, II fer! Plur. II ferte!
Imperativus praesentis passivi Sing. II ferre! Plur. II ferimini!
Imparativus futuri activi Sing. II ferto! III ferto!
Plur. II fertote! III ferunto!
Imperativus futuri passivi Sing. II ferto! III fertor!
Plur. II——
III feruntor
Participium prasentis activi — ferens (ferentis)
Participium perfecti passivi — latus, a, um
Participium futuri activi — laturus, a, um
Participium futuri passivi — ferendus, a, um
Supinum I-II — latum, latu
Gerundium — ferendi, ferendo, ad ferendum, ferendo

პერფექტუმის წრეში fero ჩვეულებრივ იუღლება.

fero ზმნით ნაწარმოები რთული ზმნები:

| | |
|---|---|
| adfero, attuli, allatum, adferre | მომაქვს |
| antefero, antetuli, antelatum, anteferre | წინ მიმაქვს |
| aufero, abstuli. ablatum. auferre | მიმაქვს, წავიღებ, |
| confero, contuli, collatum, conferre | თავს ვუყრი |
| defero, detuli. delatum. deferre | ჩამომაქვს. გამაქვს |
| differo, distuli, dilatum, differre | დამაქვს. განსხვავდები |
| effero, extuli, elatum. efferre | გამომაქვს |
| infero, intuli, illatum. inferre | შემომაქვს |
| offero, obtuli, oblatum. offerre | წარვუდგენ. ვუბოძებ |
| refero, retuli. relatum, referre | უკან მიმაქვს |
| suffero ( sustuli, sublatum. sufferre ( | ავიტან |
| tollo ) tollere ) | |

### დრონაკლი და ფორმნაკლი ზმნები (Verba defectiva)

§ 133. დრონაკლი ზმნებია: coepi „დავიწყე", odi „მძულს", memini „მახსოვს", novi „გავიგე", „ვიცი". ამ ზმნებს მხოლოდ პერფექტუმის წრის დროები აქვთ: memini-ს, novi-სა და odi-ს აწმყო დროის მნიშვნელობა აქვთ. memini-ს აქვს მყოფადის ბრძანებითიც — memento! გახსოვდეს! mementote! გახსოვდეთ!

დრონაკლი ზმნებია აგრეთვე inquam „ვამბობ". aio „ვამბობ", for „ვლაპარაკობ", quaeso, „ვეძებ", „ვთხოვ".

aio ვამბობ

| | Praes. ind. | Praes. con. | Imperf. ind. | Imperf. con. |
|---|---|---|---|---|
| Sing. | aio | —— | aiebam | —— |
| | ais | aias | aiebas | —— |
| | ait | aiat | aiebat | aieret |
| Plur. | —— | —— | aiebamus | —— |
| | —— | —— | aiebatis | —— |
| | aiunt | aiant | aiebant | —— |

| | Perf. ind. |
|---|---|
| Sing. | —— |
| | —— |
| | ait |
| Plur. | —— |
| | —— |
| | aierunt |

| | |
|---|---|
| Imperativus praesentis | Sing. II ai! |
| Infinitivus praesentis | aire |
| Participium praesentis | aiens |

quaeso ან quaesso, quaesumus ან quaessumus არქაული ფორმებია quaero „ვეძებ“ ზმნისა.

for „ვლაპარაკობ“. ამ ზმნას მხოლოდ რამდენიმე ფორმა აქვს:

Praesens indicativi Sing. II faris, III fatur, Plur. III fantur
Futurum sing. I fabor, III fabitur
Praesens coniunctivi Sing. I farer
Perfectum coniunctivi Plur. III fati, ae, a, sint
Imperativus praesentis Sing. II fare!

| | |
|---|---|
| Infinitivus praesentis | fari, farier |
| Participium praesentis | fans |
| Participium perfecti | fatus, a, um |
| Participium futuri passivi | fandus, a, um |
| Supinum II | fatu |
| Gerundium | fandi, fando |

ave! avete! „გამარჯობა“! „გამარჯობათ“! ამ ფორმების გარდა გვხვდება კიდევ avelo, avere და მოგვიანებით aveo, averem, avebo.

cedo, cette „აბა“, „მოიტა“. cedo, როგორც ჩანს, ჩვენებითი ნაწილაკის ce-სა და do ზმნისაგან არის მიღებული. cette კი cedte-საგან უნდა მომდინარეობდეს. *cedate *cedite *cedte → cette

inquam „ვამბობ“ არქაული ფორმაა კავშირებითი კილოსი. შემდგომ მას თხრობითი კილოს მნიშვნელობა მიეცა.

| | Praes. ind. | Praes. con. | Imperf. ind. | Futurum | Perfectum ind. |
|---|---|---|---|---|---|
| Sing. | inquam | —— | —— | —— | inquii |
| | inquis | —— | —— | inquies | inquisti |
| | inquit | inquiat | inquiebat | inquiet | inquit |
| Plur. | inquimus | —— | —— | —— | —— |
| | inquitis | —— | —— | —— | —— |
| | inquiunt | —— | —— | —— | —— |

Imperativus praesentis Sing. II inque!
Imperativus futuri sing. II inquito!
Participium praesentis inquiens

## უპირო ზმნები (Verba impersonalia)

§ 134. უპირო ზმნებს მხ. რიცხვის III პირის ფორმა და ინფინიტივუსი აქვთ. უპირო ზმნები სამ ჯგუფად იყოფიან:

1. ზმნები, რომლებიც ბუნების მოვლენებს ასახავენ. ასეთ ზმნებს მხ. რიცხვის III პირის გარდა სხვა ფორმებიც გააჩნია. მაგრამ მხ. რიცხვის III პირის ფორმას უპირო ზმნის მნიშვნელობა აქვს:

| | |
|---|---|
| advesperascit, advesperavit, advesperáscere | ბინდდება |
| dilucescit, diluxit, dilucéscere | ნათდება |
| fulget, fulsit, fulgére | ელავს |
| lucet, luxit, lucére | ნათდება |
| ninguit, ninxit, ningúere | თოვს |
| pluit, pluit, plúere | წვიმს |
| tonat, tonuit, tonáre | ჰქუხს, ქუხს |

2. ზმნები, რომელთაც მხოლოდ მხ. რიცხვის III პირის ფორმა აქვთ:

decet, decuit, decére შეჰფერის
dedecit, dedecuit, dedecére არ შეჰფერის
libet, libuit, libére სასურველია, mihi libet მნებავს, მინდა
licet, licuit, licére ნებადართულია, დაე, იყოს
miseret, —, miserére მეცოდება, საბრალოა
oportet, oportuit, oportére საჭიროა
paenitet, paenituit, paenitére დასანანია, paenitet me არ მსიამოვნებს
piget, piguit, pigére საწყენია, piget me მწყინს
pudet, puduit, pudere სირცხვილია
refert, retulit, referre საგულისხმოა
taedet, taeduit, taedére საძულველია

3. ზმნები, რომლებსაც პირველ ფორმებში სხვა მნიშვნელობა აქვთ, უპირო ფორმებში კი — სხვა:

accedit, accessit, accédere accedit huc (eo ან eodem) ამას თან ერთვის
accidit, accidit, accídere ხდება
apparet, apparuit, apparére ცხადია, ნათელია
conducit, conduxit, condúcere სასარგებლოა
constat, constitit, constáre ცნობილია, დადგენილია
expedit, expedivit, expedíre სასარგებლოა, ხელსაყრელია
evenit, evenit, eveníre მოხდა, ხდება
fallit, fefellit, fállere დაფარულია, არ არის ნათელი
fit, factum est, fieri ხდება
fugit, fugit, fúgere გარბის, ეფარება

| | |
|---|---|
| interest, interfuit, interesse | გამოირჩევა, განსხვავდება |
| iuvat, iuvat, iuváre | სასიამოვნოა |
| liquet, licuit, liquere | ცხადია, აშკარაა |
| patet, patuit, patére | ცხადია, ნათელია |
| placet, placuit, placére | ნებავს, მოსაწონია |
| praestat, praestitit, praestáre | უმჯობესია |
| praeterit, praeteriit, praeteríre | არ არის ცნობილი |

4. ვნებითი გვარის მხ. რიცხვის III პირი, განსაკუთრებით გარდაუვალი ზმნებისა, შეიძლება უპირო ზმნის მნიშვნელობით იხმარებოდეს: pugnatur, pugnatum est იბრძვიან, itur, itum est მიდიან.

## წინდებული (Praepositiónes)

**135.** წინდებული ლათინურ ენაში გვხვდება აკუზატივუსთან და მოქმედებითთან.

აკუზატივუსის წინდებულებია:

ad-კენ, -თან, მახლობლად, -მდე, -თვის
adversus წინააღმდეგ, პირიქით
ante წინ, -მდე
apud თან, -ში, ახლო
circa ახლოს, გარშემო
circiter მახლობლად
circum ახლოს, გარშემო, მახლობლად
cis აქეთა მხარეს, აქეთ, განმავლობაში
clanculum ფარულად
contra წინააღმდეგ
erga -დმი, აღნიშნავს დამოკიდებულებას ვინმეს მიმართ
extra გარეთ, გარდა, უ-ოდ
in (კითხვაზე „საითკენ?“) -ში, -ზე, მიმართ, წინააღმდეგ
infra ქვემოთ, ქვეშ, დაბლა, უფრო გვიან, უფრო მცირე
inter შორის, შუა
intra შიგნით, განმავლობაში
iuxta ახლოს, მახლობლად.
ob ამის გამო, წინ
penes -თან
per ზე, გავლით, განმავლობაში, შემწეობით, წყალობით
post შემდეგ, უკან, იქით
praeter ახლოს, გვერდზე, გარდა
prope ახლოს, მახლობლად

propter ახლოს, გამო, მიზეზით
secundum შემდეგ, კვალდაკვალ, გასწვრივ
sub (კითხვაზე საით?) ქვეშ, -თან, მახლობლად
subter ქვეშ
super ზემოთ, -ზე, წინ, -მდე
supra ზემოთ, -ზე, წინ, -მდე
trans გადაღმა, იქეთ
ultra იქით
versus -კენ

მოქმედებითის წინდებულები:

a. ab. abs -გან, მიერ
absque უ-ოდ, გარეშე
clam წინაშე, წინ, თვალწინ
coram წინაშე, -თან დასწრებით
cum -თან, ურთ
de -გან, მიხედვით, გამო, შესახებ
e. ex -გან
in (კითხვაზე სად?) -ში, -ზე, მიმართ. წინააღმდეგ
palam წინ, წინაშე
prae წინ
pro წინ, -თვის, მაგიერ, სახით, მიხედვით, კვალობაზე
sine უ-ოდ
sub (კითხვაზე „სად?“) ქვეშ, -თან
super ზემოთ. -ზე. შესახებ
tenus -მდე

ნათესაობით ბრუნვასთან წინდებულების მნიშვნელობით იხმარება: causa gratia, ასევე ergo — „მიზეზით“, „გამო“, „წყალობით“. ჩვეულებრივ, ისინი სიტყვას მოსდევენ.

timoris causa შიშის გამო, exempli gratia მაგალითისათვის, victoriae ergo გამარჯვების გულისათვის.

### ჯავშირი (Coniunctiónes)

§ 136. კავშირები წინადადებებს ან წინადადების წევრებს აერთებენ. კავშირები შეიძლება ჯგუფებად იყოფიან:

1. მაერთებელი (Copulativae)

et. que. ac. atque და que ნაწერება დასაკავშირებელი სიტყვების შემდეგ. სიტყვასთან მოუცილებლად

Senatus populusque Romanus.

სენატი და რომაელი ხალხი.

que აერთებს სიტყვებს, ამასთანავე, მათ შინაგან კავშირზედაც მიუთითებს.

etiam აგრეთვე, -ც
nec, neque არც
ne... quidem არც კი, -ც, კი
quoque აგრეთვე

2. მაცალკევებელი (Disiunctīvae)

aut. vel ან
sive, seu ან
se ან, თუ

3. მაპირისპირებელი (Adversatīvae)

sed მაგრამ, არამედ
at, verum { მაგრამ, ხოლო
vero მაგრამ, -ღა
autem მაგრამ, ხოლო, კი
tamen მაინც, ამასთანავე

4. მიზეზობრივი (Causāles)

nam, enim { ვინაიდან, ხომ

5. დასკვნითი (Conclusīvae)

itaque ამრიგად, ამიტომ
igitur მაშ, ამგვარად
quare, quam, ob rem ამიტომ, ამის გამო
proinde ამის გამო, ამიტომ

6. დათმობითი (Concessīvae)

quidem კი, -ც
ut... ita რადგანაც, თუმცა, მაგრამ

### შორისდებული (Interiectiones)

§ 137. ლათინურ ენაში შორისდებული დამოუკიდებლადაც იხმარება და სიტყვასთან ერთადაც. შორისდებული გვხვდება სახელობითში, ნათესაობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში დასმულ სახელთან. ზოგჯერ Dativus commodi-სთანაც დაისმის.

heu! ვაი!
hem! დახე!
st! ჩუ!

heu me miserum (acc.)! ვაი, მე ბედშავს!
o mihi (dat. comm.) nuntii beati! ო, სასიამოვნო უწყება ჩემთვის!
o vir fortis (nom.)! ო, მამაცი ვაჟკაცი!
o mi Furni (voc.)! ო, ჩემო ფურნიუს!

ზოგიერთი შორისდებული მიღებულია ზმნისაგან ან სახელისაგან, ან სხვადასხვა სიტყვის შეკავშირებით. მათ დაკარგული აქვთ პირველადი მნიშვნელობა და შორისდებულებად აღიქმებიან.

age! ჰო! აბა! ეგრე! კეთილი! ago, agĕre მიმყავს, ვეწევი
sophos! ყოჩაღ! sophos(-us), i m ბრძენი

ფიცის ფორმულები:

meherc(u)le(s)! hercle! { ჰერკულესს ვფიცავ!

edepol pol { ecce + deus + Pollux პოლუქსს ვფიცავ!

ecastor! ecce + Castor კასტორს ვფიცავ!

### სიტყვათწარმოება (Derivatio et compositio)

§ 138. სიტყვა შეიძლება იყოს: მარტივი (Primitiva), მხოლოდ ერთი ფუძით წარმოდგენილი. ნაწარმოები (Derivata), აფიქსების დართვით მიღებული და რთული (Composita), სხვადასხვა სიტყვის შეერთებით ნაწარმოები. მარტივია: do, dare ვაძლევ
bonus, a, um კეთილი
ნაწარმოებია donum, i n საჩუქარი
bonitas, atis f სიკეთე
რთულია:

ა) სახელისა და ზმნისაგან ნაწარმოები:
iudex მსაჯული, ius „სამართალი", dico „ვსჯი"
naufragium ხომალდის მსხვრევა, navis „ხომალდი", frango „ვამსხვრევ"

ბ) არსებითი სახელებისაგან, არსებითისა და ზედსართავისაგან, არსებითისა და რიცხვითი სახელისაგან ნაწარმოები:
magnanimus დიდსულოვანი, magnus „დიდი", animus „სული"
manupretium საზღაური, ჯილდო, manus, „ხელი", pretium „ფასი"
triumvir ტრიუმვირი tres „სამი", vir „კაცი"

გ) თავსართისა და სახელისაგან ნაწარმოები:
praenomen სახელი prae + nomen „სახელი"
proconsul პროკონსული pro + consul „კონსული"

დ) თავსართისა და ზმნისაგან ნაწარმოები:
colloquor ვსაუბრობ cum + loquor „ვლაპარაკობ“
induco მომყავს in-+-duco „მიმყავს“
ე) ზმნისართისა და ზმნისაგან ნაწარმოები:
benefacio კეთილ საქმეს ვაკეთებ, bene „კარგად“ facio“ ვაკეთებ“
satisfacio ვაკმაყოფილებ, ბოდიშს ვიხდი, satis „საკმაოდ“, facio
3) ზმნებისგან ნაწარმოები:
calefacio გავათბობ, დავანთებ, caleo „თბილი ვარ“, facio

### ნაწარმოები სახელები (Substantiva derivata)

§ 130. ზმნისაგან ნაწარმოები სახელები (Substantiva verbalia) -tor(-sor) სუფიქსით იწარმოებიან მამრობითი სქესის სახელები, რომლებიც მოქმედ პირს აღნიშნავენ (Nomina agentis). მდედრობითი სქესის სახელებს აწარმოებს -trix.

orator ორატორი ← oro ვლაპარაკობ
mercator ვაჭარი ← mercor ვყიდულობ
censor ცენზორი ← censeo ვაფასებ
genetrix მშობელი ← gigno ვშობ

tio (-sio) სუფიქსი აწარმოებს მდედრობითი სქესის განყენებულ სახელებს.

motio მოძრაობა ← moveo ვამოძრავებ
repetitio განმეორება ← repeto ვიმეორებ

- tus(-sus) სუფიქსი IV კანკლედობის მამრობითი სქესის სახელებს აწარმოებს და მოქმედების შედეგზე მიუთითებს.

sensus გრძნობა ← sentio ვგრძნობ
adventus მოსვლა ← advenio მოვდივარ

-tura (-sura) I კანკლედობის სახელებს აწარმოებს. ეს სახელებიც მოქმედების შედეგს აღნიშნავენ.

pictura სურათი ← pingo ვხატავ

-or სუფიქსი III კანკლედობის მამრობითი სქესის სახელებს აწარმოებს და გამოხატავს ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

clamor ყვირილი ← clamo ვყვირი
amor სიყვარული ← amo მიყვარს

-men, -mentum, -culum (-clum), -ulum, -brum, -trum აწარმოებენ საშუალო სქესის სახელებს, რომლებიც მოქმედების შედეგის ან მოქმედების იარაღის გამომხატველია.

alimentum საზრდო ←alo ვასაზრდოებ
semen თესლი ← sero ვთესავ
poculum თასი ← poto ვსვამ
claustrum კლიტე ← claudo ვკეტავ
cribrum საცერი ← cerno ვცრი

ium სუფიქსით ნაწარმოები სახელები მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველია.

| | | |
|---|---|---|
| colloquium | საუბარი ← colloquor | ვსაუბრობ |
| gaudium | სიხარული ← gaudeo | მიხარია |

**§ 140. სახელისაგან ნაწარმოები არსებითი სახელები (Substantiva nominalia)** -ia, -tia სუფიქსები I კანკლედობის სახელებს აწარმოებენ, -tas. -tudo, -tus კი — III კანკლედობისას. ასეთი სახელები საგნის თვისებებს გამოხატავენ (Nomina qualitatis)

audacia გამბედაობა ← audax გამბედავი
iustitia სამართლიანობა ← iustus სამართლიანი
celeritas სისწრაფე ← celer სწრაფი
multitudo სიმრავლე ← multus მრავალი
senectus სიბერე ← senex მოხუცი

-arium, -um, -ile, -ina (-inum) -ით ნაწარმოები სახელები მოქმედების ადგილს აღნიშნავენ (Nomina loci).

rosarium ვარდნარი ← rosa ვარდი
vinetum ზვარი ← vinea ვაზი
tonsrina სადალაქო ← tonsor დალაქი
equile საჯინიბო ← equus ცხენი

-culus, -cula, -culum; -ulus, -ula, -ulum; -ellus, -ella, -ellum; -illus, -illa, -illum კნინობით სახელებს აწარმოებენ.

bestiola მხეცი (პატარა) ← bestia მხეცი
libellus წიგნი, წიგნაკი ← liber წიგნი
dammula ბეკეკა ← damma გარეული თხა
navicula ნავი (პატარა) ← navis ნავი, ხომალდი

-arius, -tor სუფიქსებით ნაწარმოები სახელები მოქმედ პირს აღნიშნავენ.

gladiator გლადიატორი ← gladius მახვილი
viator მგზავრი ← via გზა
sicarius მკვლელი ← sica ხანჯალი, მკვლელობა

-ium, -atus თანამდებობის, პროფესიის აღმნიშვნელი სუფიქსებია.

hospitium სტუმრობა, სტუმართმოყვარეობა, სასტუმრო ← hospes სტუმარი, peditatus ფეხოსანი ლაშქარი ← pedes ფეხოსანი მეომარი, senatus სენატი ← senex მოხუცი

-des, -ides სუფიქსი (მამრობითი სქესისათვის) და -is (მდედრობითი სქესისათვის) აღნიშნავს „ძეს", „ასულს", „შთამომავალს".

Aeneades, ae ენეასის ძე ← Aeneas ენეასი
Priamides, ae პრიამოსის ძე ← Priamus პრიამოსი
Atlantis, idos ატლასის ასული ← Atlas ატლასი

§ 141. ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები (Adiectiva verbalia)

-bundus, a, um სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავებს აწმყოს მოქმედებითი გვარის მიმღეობის მნიშვნელობა აქვთ.

errabundus გზააბნეული ← erro ვხეტიალობ
moribundus მომაკვდავი ← morior ვკვდები

-idus, a, um და -cundus, a, um სუფიქსები საგნის თვისებას გამოხატავენ, -ax, -ulus, a, um მოჭარბებულ (უმეტესად უარყოფით) თვისებაზე მიუთითებს.

pavidus მშიშარა ← paveo ვთრთი (შიშისაგან)
nitidus მბრწყინავი ← niteo ვბრწყინავ
iucundus სასიამოვნო ← iuvo ვასიამოვნებ
bibulus მსმელი, ლოთი ← bibo ვსვამ
edax ღორმუცელა ← edo ვჭამ
loquax ყბედი ← loquor ვლაპარაკობ

-ilis, e -bilis, e სუფიქსებით ნაწარმოები ზედსართავი სახელებიც თვისების გამომხატველნი არიან.

| | |
|---|---|
| fragilis მტვრევადი, სუსტი | frango ვამსხვრევ |
| mobilis მოძრავი | moveo ვამოძრავებ |
| amabilis საყვარელი | amo მიყვარს |

§ 142. **სახელისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები (Adiectivа nominalia).** -eus, a, um სუფიქსი აღნიშნავს მასალას, რისგანაც არის საგანი დამზადებული.

| | |
|---|---|
| aureus ოქროსი | aurum ოქრო |
| laureus დაფნისა | laurus დაფნა |

-ius, a, um; -ticus, a, um; -icus, a, um; -icius, a, um; -nus, a, um, -inus, a, um, -lis, -ris კუთვნილების გამომხატველი სუფიქსებია, ზოგჯერ თვისებას აღნიშნავენ.

patrius მამისეული ← pater მამა
rusticus სოფლური ← rus სოფელი
bucolicus მწყემსური ← bucolus მწყემსი
pastoricius მწყემსური ← pastor მწყემსი
nocturnus ღამისა ← nox ღამე
equinus ცხენისა ← equus ცხენი
iuvenalis ახალგაზრდული ← iuvenis ახალგაზრდა
vulgaris ხალხური ← vulgus ხალხი

-ensis, e სადაურობისა და კუთვნილებას გამომხატველია.

Atheniensis ათენელი ←Athenae ათენი

Carthageniensis კართაგენელი ←Carthago კართაგენი

-ester,-estis ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სუფიქსებია.

caelestis ციური ←caelum ცა

campester მინდვრისა ←campus მინდორი

-tus, a, um; -osus, a, um; -lentus, a, um საგნის ნიშანს ან სიუხვეს გამოხატავს.

umbrosus ჩრდილიანი ←umbra ჩრდილი

violentus ძლიერი ←vis ძალა

barbatus წვეროსანი ←barba წვერი

-as, -anus, a, um ასევე -icus, a, um; -inus, a, um სადაურობის გამომხატველი სუფიქსებია.

Romanus რომაელი ←Roma რომი

Italicus იტალიელი ←Italia იტალია

Latinus ლათინური ←Latium ლატიუმი

Arpinas არპინელი ←Arpinum ქ. არპინუმი

### ნაწარმოები ზმნები (Verba derivata)

§ 143. -sco სუფიქსი III უღლების ზმნებს აწარმოებს და მოქმედების საწყისს აღნიშნავს (Verba incohativa)

adolesco ვიზრდები ←alo ვასაზრდოებ

calesco ვთბები ←caleo თბილი ვარ

-to (-so) -ito სუფიქსები I უღლების ზმნების მაწარმოებლებია. აღნიშნავენ განმეორებით, გაძლიერებულ მოქმედებას (Verba frequentativa sive intensiva).

canto ვმღერი (ხშირად) ←cano ვმღერი

clamito ყვირილით ვეძახი ←clamo ვყვირი

-turio (-surio) სუფიქსი IV უღლების ზმნებს აწარმოებს, -esso კი—III უღლების ზმნებს და მოქმედების სურვილს გამოხატავს (Verba desiderativa).

esurio მშია ←edo ვჭამ

facesso ვცდილობ ვაკეთო, გულმოდგინედ ვაკეთებ ←facio ვაკეთებ

### პრეფიქსებით ნაწარმოები ზმნები

a-, ab-, abs — აღნიშნავს მოცილებას, მოშორებას.

abdo ვაშორებ ←ab+do (ვაძლევ)

de- აღნიშნავს მოძრაობას, მოცილებას ზემოდან ქვემოთ.

despecto ვუცქერი ზევიდან ქვევით ← de+specto (ვუცქერი)
demoveo მოვიშორებ ← de+moveo (ვამოძრავებ)

-e,- ex- აღნიშნავს გამოცალკავებას, გამორიცხვას.
extraho გამოვათრევ ex+traho (მივათრევ)
evenio გამოვდივარ e+venio (მივდივარ)

in - გამოხატავს მოძრაობას ან საგნისაკენ მიმართულ მოქმედებას.
induco მომყავს, შემყავს in+duco (მიმყავს)
infigo ჩავარჭობ in + figo (ვარჭობ)

ad- გამოხატავს მიახლოებას, მიერთებას.
advoco ვეძახი, ვუხმობ ad+voco (ვეძახი)
advolo მოვფრინავ ad+volo (ვფრინავ)
appono მიგადგამ, მივაწყობ ad+pono (ვაწყობ)

ob - საწინააღმდეგო მოქმედების აღმნიშვნელია.
obsto ვეწინააღმდეგები, წინ ვუდგები ob+sto (ვდგავარ)
obverto მივმართავ რისამე წინააღმდეგ ob+verto (ვატრიალებ)

con-(-co) პრეფიქსი კრებითობის მნიშვნელობას აძლევს ზმნას.
confero ერთ ადგილას მიმაქვს con+fero (მიმაქვს)
convolo მივფრინავ (ვინმესთან ერთად) con+volo (ვფრენ)

pro-, prae- მიუთითებს მიმართულებას წინ.
produco წინ მიმყავს pro+duco (მიმყავს)
praepono წინ ვდგამ prae+pono (ვდგამ)

tra-, trans- აღნიშნავს რაღაცის გადალახვას.
transcurro გადავირბენ trans+curro (მივრბივარ)
traduco გადამყავს tra+duco (მიმყავს)

se-, -sed- მიუთითებს განცალკევებას, მოშორებას.
seduco განზე გამყავს se+duco (მიმყავს)
discedo ვშორდები dis+cedo (მივდივარ)

per- აღნიშნავს მოქმედების დასრულებას.
perfacio ვამთავრებ per+facio (ვაკეთებ)

re- აღნიშნავს განმეორებით ან უკუმოქმედებას.
reduco უკან მიმყავს re+duco (მიმყავს)
rescribo პასუხს ვწერ re+scribo (ვწერ)

# სინტაქსი

## მარტივი წინადადება

### ქვეშდებარე და შემასმენელი

§ 144. ქვეშდებარე (Subiectum) შეიძლება იყოს სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნა ცვალსახელი) ან ინფინიტივუსი.

**Puer** venit.

ბიჭი მიდის.

**Caecus** non iudicat de colore.

ბრმა ფერზე ვერ იმსჯელებს.

**Tres** faciunt collegium (Digest.)

სამნი კოლეგიას ქმნიან.

**Qui** seminat mala, metet mala.

ვინც ბოროტებას თესავს, ბოროტებასვე მოიმკის.

**Errare** humanum est (Sen.)

შეცდომა ადამიანისათვის დამახასიათებელია.

შემასმენელი (Praedicatum) შეიძლება გამოიხატოს ზმნის პირიანი ფორმით ან სახელადი ნაწილითა და ყოფნა ზმნის მეშვეობით.

Magister **docet**.

მასწავლებელი ასწავლის.

Scientia **potentia est**.

ცოდნა ძალაა.

თუ ყოფნა ზმნა დამხმარე ზმნის მნიშვნელობითაა ნახმარი, ხშირად გამოიტოვება.

Salus populi suprema lex (Cic) (est გამოტოვებულია). ხალხის ხსნა (ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა) უმაღლესი კანონია.

§ 145. ზმნური შემასმენელი უთანხმდება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში.

Charta non erubescit (Cic.).

ქაღალდი არ წითლდება.

Inter arma tacent Musae.

ომის დროს მუზები დუმან.

შემასმენლის სახელადი ნაწილი, თუ̈ის ზედსართავი, ნაცვალსახელი, მიმღეობა ან ე. წ. Substantivum mobile არის (არსებითი სახელი, რომელიც მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმებს მხოლოდ ბოლოკიდურებით განასხვავებს. magister და magistra „მასწავლებელი", genitor და genetrix „მშობელი"), უთანხმდება ქვემდებარეს სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში. თუ სახელადი ნაწილი არსებითი სახელია, მაშინ მხოლოდ ბრუნვაში უთანხმდება.

Alea **iacta** est (Caes.).

წილი ნაყარია.

Modestia puellis necessaria est.

კდემამოსილება ქალიშვილისათვის აუცილებელია.

Historia est magistra vitae (Cic.)

ისტორია ცხოვრების მასწავლებელია.

თუ სახელადი ნაწილისა და ქვემდებარის შეთანხმება სქესსა და რიცხვში არ შეიძლება, ზმნური ნაწილი, უმეტეს წილად, მასთან ახლოს მდგომ წევრს უთანხმდება.

Gens universa **Veneti appellati sunt**. (Liv.)

მთელს ტომს ვენეტები ეწოდება.

თუ ქვემდებარე ინფინიტივუსია, ხოლო სახელადი ნაწილი ზედსართავი, მა შინ ეს უკანასკნელი მხოლობითი რიცხვის საშუალო სქესის ფორმითაა წარმოდგენილი.

**Errare humanum** est, **stultum** est in errore **perseverare**.

შეცდომა ადამიანისათვის დამახასიათებელია, სისულელეა შეცდომის აკვიატება.

თუ ქვემდებარე ცოცხალი არსების გამომხატველი კრებითი სახელია, მაშინ ზმნური ნაწილი შეიძლება მხოლობით რიცხვშიც დაისვას და მრავლობითშიც. ასეთ შეთანხმებას ეწოდება აზრობრივი შეთანხმება (Constructio ad sensum).

Cetera classis **fugerunt**.

დანარჩენი ფლოტი უკუიქცა.

Magna pars **vulnerati** aut **occisi sunt** (Sall.).

ნაწილი დაიჭრა ან მოკვდა.

თუ ქვემდებარე მამრობითი ან მდედრობითი სქესის სახელია, ხოლო სახელადი ნაწილი ზედსართავი, ეს უკანასკნელი. უმრავლეს შემთხვევაში მხ. რიცხვის საშუალო სქესის ფორმით არის წარმოდგენილი.

**Turpe** senex miles, **turpe** senilis amor (Ov.).

სამარცხვინოა მოხუცი მეომარი, სამარცხვინოა მოხუცის ტრფობა.

თუ ქვემდებარე ჩვენებითი, მიმართებითი ან კითხვითი ნაცვალსახელია, სახელადი ნაწილი მას უთანხმდება სქესსა და რიცხვში.

Haec morum vitia sunt, non senectutis (Cic.)

ეს ხასიათის ნაკლია და არა სიბერისა.

### შემასმენლის შეთანხმება რამდენიმე ქვემდებარესთან

§ 146. როცა ქვემდებარე რამდენიმე წინადადებაშია და სხვადასხვა პირს აღნიშნავს, შემასმენელი დაისმის მრ. რიცხვის პირველ, მეორე ან მესამე პირში, ისე რომ, უპირატესობა ეძლევა პირველ პირს, თუ პირველი არ არის, მეორე პირს. შეიძლება შემასმენელი მასთან ახლოს მდგომ ქვემდებარეს შეუთანხმდეს.

Errastis et **tu**, et nonnulli collegae tui (Cic.)

ცდები შენცა და ზოგიერთი შენი ამხანაგიც.

Haec neque **ego**, neque tu **fecimus** (Ter.).

ეს არც მე და არც შენ არ გაგვიკეთებია.

Et **tu**, et omnes **homines** sciunt (Cic.).

შენცა და ყველა ადამიანმა იცის.

როცა III პირის რამდენიმე ქვემდებარეა წინადადებაში, შემასმენელი ან მრავლობით რიცხვში დგას, ან უთანხმდება მასთან ახლოს მდგომ ქვემდებარეს და მხოლობით რიცხვშია. როდესაც ქვემდებარეები სხვადასხვა სქესისაა. სახელადი ნაწილი მამრობით სქესში დაისმის, თუ იგი ცოცხალ პირს აღნიშნავს, და საშუალო სქესში, თუ განყენებულ საგანს გამოხატავს.

Brutus et Cassius **necati erant**.

ბრუტუსი და კასიუსი მოკლულ იქნენ.

Orgetorigis filia atque unus e filiis **captus est** (Caes.).

ორგეტორიქსის ქალიშვილი და ერთ-ერთი ვაჟიშვილი ტყვედ წაიყვანეს.

Divitiae **et** honores **caduca sunt**.

სიმდიდრე და პატივი წარმავალია (დასაცემადაა. განწირული).

### ქვემდებარის გამოტოვება

§ 147. თუ ქვემდებარე I—II პირის ნაცვალსახელია, ჩვეულებრივ, გამოიტოვება, თუ მას ლოგიკური მახვილი არ ეცემა.

Veni, vidi, vici (Caes.).
მიველ, ვნახე, გავიმარჯვე.
Si vos valetis, bene est, ego valeo.
თუ თქვენ კარგად ხართ, კარგია, მეც კარგად ვარ (პირადი წერილის დასაწყისი).

### შემასმენლის გამოტოვება

§ 148. შემასმენელი ხშირად გამოიტოვება ანდაზებში, ხატოვან გამოთქმებში, განსაკუთრებით მაშინ, თუ შემასმენელი ყოფნა ზმნის მხ. რიცხვის III პირის ფორმაა.

Ex ungue leonem (cognoscimus გამოტოვებულია).
ლომს ბრჭყალებით (შევიცნობთ).
Mens sana in corpore sano (Iuv.). (est გამოტოვებულია).
ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.

### დამატება (Obiectum)

§ 149. დამატება ორგვარია: პირდაპირი (Obiectum directum), რომელიც განიცდის მოქმედებას და ირიბი (Obiectum indirectum), რომელსაც მიემართება მოქმედება.

პირდაპირი დამატება მხოლოდ გარდამავალ ზმნებს აქვთ. პირდაპირი დამატება შეიძლება იყოს უწინდებულო აკუზატივუსში დასმული სახელი (არსებითი, ზედსართავი, ნაცვალსახელი) ან ინფინიტივუსი.

Aquila non captat **muscas**.
არწივი **ბუზებს** არ იჭერს.
Lebor **omnia** vincit (Verg.).
შრომა **ყველაფერს** ძლევს.
Nosce **te ipsum**.
შეიცან **თავი შენი**.
Desine **flere**.
**შეწყვიტე ტირილი**.

ირიბი დამატება დგას მიცემით ბრუნვაში

Libri mali saepe **liberis** nocent.
ცუდი წიგნები ხშირად ენებს **ბავშვებს**.

### განსაზღვრება (Attributum)

#### შეთანხმებული განსაზღვრება

§ 150. ზედსართავი სახელით, ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელითა და მიძღეობით გამოხატული განსაზღვრება უთანხმდება საზღვრულს სქეს-

ში, რიცხვსა და ბრუნვაში. შეთანხმებული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, საზღვრულის შემდეგ დგას, თუმცა, შეიძლება მოსდევდეს მას.

homo beatus ნეტარი კაცი
femina beata ნეტარი ქალი
tempus beatus ნეტარი დრო
patria nostra ჩვენი სამშობლო

### შ ე უ თ ა ნ ხ მ ე ბ ე ლ ი  გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა

§ 151. არსებითი სახელით გამოხატული განსაზღვრება დგას ნათესაობით ბრუნვაში და ჩვეულებრივ, მოსდევს საზღვრულს.

domus patris მამის სახლი

### პ რ ე დ ი კ ა ტ უ ლ ი  გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა

§ 152. პრედიკატულია განსაზღვრება, რომელიც ფორმით რომელიმე სახელის მსაზღვრელად გვევლინება, სემანტიკურად კი შემასმენელს უკავშირდება. პრედიკატულ განსაზღვრებად ხშირად გვხვდება შემდეგი არსებითი სახელები, ზედსართავები და მიმღეობები:

assiduus მჯდომარე
bibens მსმელი
censor ცენზორი
consul კონსული
dux სარდალი
frequens ხშირი, უხვი
imperator იმპერატორი
improvisus მოულოდნელი
infans ბავშვი
inferior უფრო დაბალი, უმცროსი
invitus უხალისო
iuvenis ჭაბუკი
laetus მხიარული,
maestus მწუხარე
medius შუა
occultus ფარული
postremus უკანასკნელი, უკიდურესი
primus პირველი
princeps პრინცეპსი, პირველი
puer ბიჭი
raucus ხრინწიანი, ყიყინა
rarus იშვიათი
repentinus უცაბედი
salvus ჯანსაღი
senex მოხუცი
superior უფრო მაღალი
tacitus მდუმარე
tardus ნელი
tutus უსაფრთხო
unus ერთი
victor გამარჯვებული
vir კაცი
vivus ცოცხალი
voluntarius მოხალისე

Cato **senex** litteras Graecas didicit,
კატონმა **მოხუცებულებაში** ისწავლა ბერძნული ენა.
Senatus **frequens** convenit (Cic.).
სენატი **სრულად** შეიკრიბა.

Socrates venenum laetus et libens hausit (Sen.).
სოკრატემ შხამი მხიარულად და ხალისიანად შესვა.
Hannibal princeps in proelium ibat, ultimus excedebat (Liv.).
ჰანიბალი პირველი მიდიოდა ბრძოლაში და უკანასკნელი ტოვებდა მას.

## ჩართული განსაზღვრება (Appositio)

§ 153. ჩართულია განსაზღვრება, რომელიც არსებითი სახელითაა გადმოცემული და უთანხმდება საზღვრულს ბრუნვაში.
Nos autem, fortes viri... (Cic.)
ჩვენ კი, მამაცნი ვაქაცნი...

### გაარსებითებული ზედსართავი სახელი

§ 154. ზოგიერთი ზედსართავი სახელი არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება, საშუალო სქესის მხ. რიცხვის ფორმა ძირითადად განყენებულ სახელებს აღნიშნავს, მრავლობითი რიცხვის ფორმა — თვისებას.

| | |
|---|---|
| bonum, i n სიკეთე | bonus, a, um კეთილი |
| dubium, i n ეჭვი | dubius, a, um საეჭვო |
| falsum, i n სიყალბე | falsus, a, um ყალბი |
| malum, i n ბოროტება | malus, a, um ბოროტი |
| omnia, ium n ყველაფერი | omnis, e ყოველი |
| publicum, i n სახელმწიფო ქონება | publicus, a, um საბალხო |
| tutum, i n უსაფრთხოება | tutus, a, um უსაფრთხო |
| verum, i n ჭეშმარიტება | verus, au um ჭეშმარიტი |

ზოგიერთი მამრობითი სქესის ზედსართავი Pluralia tantum-ში არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება.

annales ანალები
circenses საცირკო სანახაობა
divites მდიდრები
docti სწავლულნი
maiores წინაპრები
paupertes ღატაკნი
probi ღირსეულნი
saeculares საიუბილეო თამაშობანი, სიმღერები

Non omnia possumus omnes. ყველას ყველაფერი როდი შეგვიძლია.

§ 155. ლათინურ ენაში ნორმად ითვლება წინადადების წევრთა შემდეგი თანმიმდევრობა: ქვემდებარე, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება, გარემოება, შემასმენელი. განსაზღვრება საზღვრულის შემდეგ მოდის. ეს არის ე. წ. პირდაპირი წყობა.

Senatus haec intellegit, consul videt, hic tamen vivit (Cic.).

სენატი ამას ხვდება, კონსული ხედავს, ის კი მაინც ცოცხლობს.

არაპირდაპირი წყობის დროს კი ეს თანამიმდევრობა დარღვეულია. წინადადების ნებისმიერი წევრი, თუ მას ლოგიკური მახვილი მოუდის, შეიძლება წინ გადმოვიდეს, ზოგჯერ კი ბოლოში.

ლათინური ენისათვის, ჩვეულებრივ, ისევე როგორც ქართულისათვის, თავისუფალი — არაპირდაპირი წყობაა დამახასიათებელი. ეს იმით არის განპირობებული, რომ ლათინური ენა სინთეზური ენაა და სიტყვა მორფოლოგიური საშუალებებით ახერხებს სინტაქსური ფუნქციის გამოხატვას. არ არის აუცილებელი წინადადების წევრებს მკაცრად განსაზღვრული ადგილი ეჭიროთ წინადადებაში (როგორც ინგლისურში, გერმანულსა და ფრანგულში).

Decrevit quondam senatus (Cic.).

გადაწყვიტა ოდესღაც სენატმა.

## ბრუნვათა ფუნქციები

### Nominativus

§ 156. ნომინატივუსი ქვემდებარის ბრუნვაა. ამდენად იგი ქართულში სამ ბრუნვას შეეფარდება: სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელობითი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ბრუნვაცაა (Nominativus praedicati).

**Festinatio** est iudicorum **noverca.**

აჩქარება სასამართლო ძიების დროს დედინაცვალია.

(ორი სახელობითი—festinatio „აჩქარება“ და noverca „დედინაცვალი“).

**Helvetii** reliquos Gallos virtute praecedunt (Caes.).

ჰელვეციელები სიმამაცით სჯობნიან დანარჩენ გალებს. (ქვემდებარე „ჰელვეციელები“ ქართულად სახელობითით გადმოიცა).

**Romani** Ciceronem patrem patriae nominaverunt.

რომაელებმა ციცერონს სამშობლოს მამა უწოდეს.

(ქვემდებარეა „რომაელებმა“. გადმოიცა ქართული მოთხრობითი ბრუნვით).

**Helvetii** iam angustias et fines Sequanorum suas copias traduxerant et in Haeduorum fines pervenerant (Caes.).

ჰელვეციელებს უკვე გადაუყვანიათ თავიანთი ლაშქარი სეკვანების ვიწრო საზღვარზე და ჰედუების საზღვარს მიახლოებიან.
(ქვემდებარეა „ჰელვეციელებს“, გადმოიცა ქართული მიცემითი ბრუნვით).

ორმაგ სახელობითს მოითხოვენ შემდეგი ზმნები: sum „ვარ“, fio, evado, existo „ვხდები“, maneo, permaneo „ვრჩები“, nascor „ვიბადები“, morior, pereo „ვკვდები“, videor „ვჩანვარ“.

Nemo nascitur artifex.

შემოქმედად არავინ იბადება.

ქართულად ერთი სახელობითი სახელობითითვე გადმოიცა, მეორე კი — ვითარებითი ბრუნვით. videor და sum ზმნებთან ქართულშიც ორმაგ სახელობითი ვვაქვს.

Infantes sumus et senes videmur.

ბავშვები ვართ და მოხუცები ვჩანვართ.

ორმაგი სახელობითი გვაქვს ვნებითი გვარის შემდეგ ზმნებთანაც:
appello, dico, nomino, voco ვუწოდებ
duco, existimo, habeo, iudico, numero, puto ვფიქრობ, მიმაჩნია
creo, declaro, designo, eligo, lego ავირჩევ

Consules creati sunt L. Valerius et M. Horatius (Liv.).

კონსულებად აირჩიეს ლუციუს ვალერიუსი და მარკუს ჰორაციუსი.

Socrates omnium sapientissimus oraculo Appollinis iudicatus est (Cic).

აპოლონის ორაკულმა სოკრატე ყველაზე ბრძენ ადამიანად აღიარა.

## Genetivus

§ 157. გენეტივუსი ძირითადად მსაზღვრელის ბრუნვაა. იგი შეიძლება სემანტიკურად სახელს (Genetivus adnominalis) ან ზმნას (Genetivus adverbialis) უკავშირდებოდეს.

## Genetivus adnominalis

§ 158. **Genetivus possessivus**. კუთვნილების ნათესაობითი გამოხატავს კუთვნილებას და უპასუხებს კითხვებზე: ვისი? რისი?

Veritatis simplex oratio est (Sen.).

ჭეშმარიტების სიტყვა უბრალოა.

Ciceronis oratio.

ციცერონის სიტყვა.

ზედსართავი სახელები: proprius „საკუთარი“, communis „საერთო“, sacer „წმინდა“ მოითხოვენ Genetivus possessivus-ს.

Virtus hominis propria est.

სიქველე ადამიანის თვისებაა.

Genetivus possessivus-ი ზოგჯერ „ყოფნა“ ზმნასთანაც იხმარება. ასეთ შემთხვევაში იგი მოვალეობას, თვისებას, ჩვეულებას გამოხატავს (გადმოიცემა ინფინიტივუსით) და მიეწერება ნათესაობითში დასმულ სახელს. ასეთ ნათესაობითს „ხასიათის ნათესაობითი“ Genetivus characteristicus ეწოდება.

**Cuiusve hominis** est errare (Cic.).

შეცდომა ყოველი ადამიანის თვისებაა.

როდესაც ზემოდასახელებული თვისება, ჩვეულება პირის ნაცვალსახელს მიეწერება, მის ნაცვლად კუთვნილებითი ნაცვალსახელის საშუალო სქესის ფორმა გამოიყენება.

Non est mentiri **meum** (Ter.).

| მე ტყუილი არ მჩვევია. |

§ 159. **Genetivus subiectivus**. „სუბიექტის ნათესაობითი“ არის ნათესაობითში დასმული ლოგიკური ქვემდებარე, რომელსაც მიეწერება მოქმედება, ან მოქმედების შედეგი.

Mulcet aures **avium** cantus.

ფრინველთა გალობა სმენას ატკბობს.

§ 160. **Genetivus obiectivus**. „ობიექტის ნათესაობითი“ გამოხატავს მოქმედებას, რომელზედაც ვრცელდება გამონათქვამში მოხსენებული აქტი.

ზოგჯერ ერთი და იგივე გამონათქვამი, თუ მას კონტექსტის გარეშე ავიღებთ, შეიძლება „სუბიექტის ნათესაობითადაც“ გავიგოთ და „ობიექტის ნათესაობითადაც“.

amor patris-pater amat

| მამის სიყვარული — მამას უყვარს. ე. ი. „სუბიექტის ნათესაობითი“

amor patris-patrem amant

| მამის სიყვარული-მამა უყვართ ე. ი. „ობიექტის ნათესაობითი“

„ობიექტის ნათესაობითი“ დაისმის ზოგიერთ ზედსართავ სახელთან: |

| | |
|---|---|
| avidus ხარბი | insolens უჩვეულო |
| compos მფლობელი | insuetus მიუჩვეველი |
| conscius მცოდნე | memor მეხსიერი, მხსომებელი |
| cupidus მოტრფიალე | particeps მონაწილე |
| expers მოკლებული | peritus გამოცდილი |
| ignarus უცოდინარი | plenus სავსე |
| immemor დამვიწყებელი | prudens მცოდნე |
| imperitus გამოუცდელი | similis მსგავსი |
| inanis ცარიელი | studiosus მეცადინე |

„ობიექტის ნათესაობითი“ ზოგიერთ ზმნასთანაც დაისმის:

egeo მჭირდება — reminiscor მახსოვს
memini მახსოვს, ვიგონებ! — obliviscor ვივიწყებ

„ობიექტის ნათესაობითი“ შემდეგ სახელებთანაც გვხვდება:

desiderium სურვილი — metus შიში
expugnatio დაპყრობა — mutatio შეცვლა
fuga გაქცევა — oblivio დავიწყება
imitatio მიბაძვა — odium სიძულვილი

Omnis ars imitatio est naturae (Sen.).
ყოველი ხელოვნება ბუნების მიბაძვაა.
Conscia mens recti famae mendacia ridet (Ov.).
სიმართლის მცოდნე გონება დასცინის ჭორის სიცრუეს.

პირის ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაში იხმარება Genetivus obiectivus-ის, ხოლო კუთვნილებითი ნაცვალსახელი — Genetivus possessivus-ის მნიშვნელობით.

amor tui შენი სიყვარული, შენდამი სიყვარული
amor tuus შენი სიყვარული (ვინმესადმი)

§ 161. **Genetivus qualitatis** „თვისების ნათესაობითი“ არის ნათესაობითში დასმული საზღვრული და მასთან შეთანხმებული მსაზღვრელი, რომლებიც გამოხატავენ პირის, საგნის თვისებას, ხასიათს, წარმომავლობას, ზომას:

Vir **acri ingenii**.
| მახვილი ჭკუის კაცი.

§ 162. **Genetivus quantitatis** და **Genetivus generis**—„რაოდენობის ნათესაობითი“ და „წარმომავლობის ნათესაობითი“ სიტყვათშეთანხმებაა, რომელთაგან ერთი არის არსებითი სახელი, გაარსებითებული ზედსართავი (საშუალო სქესის ფორმით წარმოდგენილი) ან ზმნისართი, მეორე კი — ნათესაობითში დასმული სახელი. ასეთი ნათესაობითი აღნიშნავს რაოდენობას, ზომას, წარმომავლობას.

multitudo **hominum**
| ადამიანთა სიმრავლე
| quid **novi**?
რა არის **ახალი** ?

Athenis ex aede Minervae grande **auri pondus** ablatum est (Cic.)
ათენში, მინერვას ტაძრიდან დიდი **რაოდენობის ოქრო** გაიტაცეს.
Undique ad inferos **tantundem viae** est (Cic.).
საიქიომდე (მანძილი) **გზისა** ყოველი მხრიდან **ერთი და იგივეა**.

§ 163. **Genetivus partitivus** „ნაწილობითი ანუ გამოყოფითი ნათესაობითი“ აღნიშნავს მთელს, რომლიდანაც აღებულია რაღაც ერთეული, ნაწილი. ასეთი ნათესაობითი უმეტესად იხმარება აღმატებითი ხარისხის ზედსართავ სახელთან, რაოდენობით რიცხვით სახელთან, კითხვითსა და განუსაზღვრელ ნაცვალსახელებთან.

Gallia est omnis divisa in partes tres, **quarum** unam incolunt Belgae (Caes.).

მთელი გალია სამ ნაწილადაა გაყოფილი, **რომელთაგან** ერთში ცხოვრობენ ბელგები,

Unum genus est **eorum**... (Cic.).
ერთი ჯგუფი **იმათთაგანია**...

§ 164. **Genetivus explicativus** „განმარტებითი ნათესაობითი“, **Genetivus limitationis** „განსაზღვრებითი ნათესაობითი“, **Genetivus relationis** „მიმართებითი ნათესაობითი“.

ყველა ეს ნათესაობითი იხმარება არსებით სახელთან ან ზედსართავთან ერთად და განმარტავს, აზუსტებს აზრს. ქართულად გადმოიცემა ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვით.

| | |
|---|---|
| aequalis aevi | nomen poetae |
| ასაკით ტოლი | პოეტის სახელი |
| aeger timoris | |
| შიშით შეპყრობილი | |

## Genetivus adverbialis

§ 165. **Genetivus memoriae** „ხსოვნის ნათესაობითი“ აღნიშნავს პირს ან საგანს, რომელიც ახსოვთ ან არ ახსოვთ. ასეთი ნათესაობითი იხმარება შემდეგ ზმნებთან ან გამონათქვამებთან:

memini მახსოვს
reminiscor ვიგონებ
admoneo ვარწმუნებ, შევაგონებ
obliviscor ვივიწყებ
venit mihi in mentem მომაფიქრდა, აზრად მომივიდა
Nemo **felicitatis suae** obliviscitur (Sen.).
არავის ავიწყდება **თავისი ბედნიერება**.
Animus meminit **praeteritorum** (Cic.).
სულს ახსოვს **წარსული**.
Venit mihi **Platonis** in mentem (Cic.).
(უეცრად) **პლატონი** მომაგონდა.

§ 166. **Genetivus pretii** „ღირებულების ნათესაობითი“ იძლევა საგნის შეფასებას, ღირებულებას და იხმარება შემდეგ ზმნებთან:

aestimo, facio, puto, pendo ვაფასებ
sumo, redimo ვიყიდი, ოყარით ვიღებ
vendo ვყიდი
conduco, loco, colloco ვქირაობ

ასეთ ზმნებთან ხშირად იხმარება ზედსართავები: tanti, quanti, pluris, minoris.

Omnes **unius** aestimemus **assis** (Cat.).
ყოველივე **ერთ ასად** (ფულის ერთეული) შევაფასოთ.
Homines sua **parvi** pendere, aliena cupere solent (Sall.).
ადამიანებს სჩვევიათ, თავისი **მცირედ** დააფასონ, სხვისი კი ისურვონ.

§ 167. **Genetivus criminis** „ბრალდების ნათესაობითი“ დაისმის შემდეგ ზმნებთან:

accuso, arguo, insimulo, reum facio ვადანაშაულებ
convinco, coarguo ვამხილებ
damno, condemno ვსჯი
absolvo, libero ვათავისუფლებ
Miltiades **proditionis** est **accusatus** (Nep.).
მილტიადე **ღალატში** დაადანაშაულეს.

§ 168. **Genetivus affectus** „აფექტის ნათესაობითი“ ზოგიერთ უპირო ზმნასთან იხმარება და გამოხატავს გრძნობას. ის პირი ან საგანი, რომელიც განიცდის (რაღაც) გრძნობას, აკუზატივუსში დგას:

piget საწყენია
pudet სირცხვილია
paenitet დასანანია
miseret საბრალოა
taedet საზიზღარია
Me non solum piget **stultitiae meae**, sed etiam pudet.
მე არა მხოლოდ მწყინს ჩემი **სიხულელე**, არამედ მრცხვენია კიდეც.

§ 169. **Genetivus ზმნა interest-თან**

ეს ნათესაობითი აღნიშნავს საგანს, პირს, რომლისთვისაც საჭიროა, აუცილებელია რაღაც.

Interest **omnium** recte facere (Cic.).
**ყველასათვის** საჭიროა პატიოსნება (პატიოსნად მოქცევა).

## Dativus

§ 170. **Dativus obiecti indirecti** — ირიბი დამატების მიცემითი

ირიბი დამატება ლათინურ ენაში დგას მიცემით ბრუნვაში. იგი იხ-

მარება ისეთ ზმნებთან, რომლებიც გამოხატავენ „თქმას“, „მიცემას“, „ბოძებას“, „ზიანის მიყენებას,“ „დავალებას“, „დამორჩილებას“.

Orgetorix **persuasit Helvetiis** (Caes.)...

ორგეტორიქსმა **დაარწმუნა ჰელვეციელები.**

ირიბი დამატების მიცემითი გვხვდება ავრეთვე ზოგიერთ ზედსართავ სახელთან და ზმნისართთან:

| | | | |
|---|---|---|---|
| communis | საერთო | iniquus | არათანაბარი |
| contrarius | საწინააღმდეგო, მტრული | inutilis | არასასარგებლო |
| adversus, infestus | | necessarius | აუცილებელი |
| dissimilis | განსხვავებული | par | თანაბარი |
| fidus | ერთგული | propinquus | ახლო მდებარე |
| finitimus | მეზობელი | similis | მსგავსი |
| idoneus, aptus | ხელსაყრელი | utilis | სასარგებლო |
| opportunus | | | |
| infidus | ორგული, არასანდო | | |
| ingratus | არასასიამოვნო | | |

**Par** levibus ventis volucrique **simillima somno** (OV.).

მსუბუქი ნიავის დარი და ფრთამალი სიზმრის **მსგავსი.**

მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტს მოითხოვენ შემდეგი ზმნებიც:

| | |
|---|---|
| faveo ხელს ვუწყობ | parco ვიწყალებ |
| irascor ვჯავრობ | persuadeo ვარწმუნებ |
| medeor ვშველი, ვწამლობ | supplicio ვევედრები |
| nubo ვთხოვდები | studeo ვმეცადინეობ |
| obtrecto ვეწინააღმდეგები, ვავნებ | vaco ვთავისუფლდები |

Bonis nocet, qui malis **parcit** (Sen.).

კეთილებს ზიანს აყენებს, ვინც ბოროტებს იწყალებს.

მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს მოითხოვენ ad-, ante-, cum-(co-, con-), in-, inter-, ob-, post-, prae-, sub-, super- — პრეფიქსებით ნაწარმოები რთული ზმნებიც.

Pedibus timor **addidit** alas (Verg.).

შიში ფრთებს ასხამს ფეხებს.

ზოგიერთი ზმნა სხვადასხვა ბრუნვაში მოითხოვს სახელს და განსხვავებული მნიშვნელობითაც იხმარება:

caveo alicui (dat.) ვუფრთხილდები ვინმეს
caveo aliquem (acc.) ვერიდები
metuo, timeo alicui (dat.) ვშიშობ ვინმეს გამო
metuo, timeo aliquem (acc.) მეშინია ვინმესი
consulo alicui (dat.) ვზრუნავ ვინმეზე
consulo aliquem (acc.) ვეკითხები

**Multos** timere debet, **quem** multi timent (Syr.).

ბევრის უნდა ეშინოდეს მას, ვისიც ბევრს ეშინია.

**Huic puero** metuit (Cic.).

ამ ყმაწვილს უფრთხილდებიან.

§ 171. **Dativus commodi (incommodi)** „სარგებლობის (ზიანის) მიცემითი“ აღნიშნავს პირს ან საგანს, რომლის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხდება მოქმედება:

Quiquid discis, **tibi** discis (Petr.).

რასაც სწავლობ, **შენთვის** სწავლობ.

Nocentem qui defendit, **sibi** crimen parit (Syr.).

ვინც დამნაშავეს მფარველობს, **თავისთავს** დანაშაულს **უმზადებს**.

§ 172. **Dativus finalis** „მიზნის მიცემითი“ გამოხატავს მიზანს და მიუგებს კითხვებზე- „რატომ?“ „რა მიზნით?“

Dies **colloquio** dictus est (Caes.).

დათქვეს დღე **მოსალაპარაკებლად**.

§ 173. **dativus duplex** „ორმაგი მიცემითი“ შედგება Dativus finali-სა და Dativus commodi-საგან. გვხვდება შემდეგ ზმნებთან:

| | |
|---|---|
| constituo ვნიშნავ, მოვაწყობ | mitto ვგზავნი |
| deligo ამოვირჩევ | relinquo ვტოვებ |
| do ვაძლევ | sum ვარ, გამოსადეგი ვარ |
| duco ვთვლი | tribuo ვაძლევ, ვანიჭებ |
| eligo ავირჩევ | verto მივმართავ |
| | venio მივდივარ |

Pausanias venit **Atticis auxilio** (Nep.).

პავსანია გაემართა **ატიკის მცხოვრებთა დასახმარებლად**.

Equitatui, quem **auxilio Caesari Haedui| miserant, Dumnorix praeerat (Caes.)**.

ცხენოსანთა ჯარს, რომელიც ჰედუებმა გაუგზავნეს **კეისარს დასახმარებლად**, დუმნორიქსი მეთაურობდა.

§ 174. **Dativus ethicus** „ეთიკის მიცემითი“ არის პირის ნაცვალსახელის (უფრო ხშირად I პირის ნაცვალსახელის) მიცემითი ბრუნვა და იგი გამოხატავს ამ პირის დამოკიდებულებას ზმნით გადმოცემული მოქმედებისადმი.

Cur perdis adolescentem **nobis**? (Ter.).

რატომ გვიღუპავ ახალგაზრდებს? (ჩვენ)

Tu **mihi** istius audaciam defendis? (Cic.).

შენ მის თავხედობას იცავ **ჩემთან**?

Dativus ethicus უმეტესად კითხვით და ბრძანებით წინადადებებში გვხვდება.

§ 175. **Dativus auctoris** „მოქმედი პირის მიცემითი“ დაისმის ვნებითი გვარის ზმნებთან და აღნიშნავს მოქმედ პირს:

**Mihi** res tota provisa est (Cic.).

**მე** ყველაფერი გავითვალისწინე.

Barbarus hic ego sum, quia non intel|egor ulli (Ov).

მე აქ ბარბაროსი მქვია, რადგან **არავის** ესმის ჩემი.

§ 176. **Dativus relationis** „მიმართების მიცემითი" მნიშვნელობით უახლოვდება Dativus ethicus-ს. მიუგებს კითხვაზე: „ვისთვის?"

Quintia formosa est **multis** (Cat.).

კვინტია ლამაზი არის **ბევრისათვის**.

Qui ceteris deus, **sibi** certe homo est (Min.).

ვინც **სხვებისთვის** ღმერთია, თავისთვის მხოლოდ ადამიანია.

§ 177. **Dativus possessivus** „კუთვნილების მიცემითი" დაისმის „ყოფნა" ზმნასთან და გამოხატავს პირს ან საგანს, რომელსაც ეკუთვნის საგანი, ნივთი.

An nescis longas **regibus** esse manus? (Ov.).

არ იცი, რომ **მეფეებს** გრძელი ხელები აქვთ? (მეფეებისათვის ხელები გრძელია?)

Natura est **omnibus** una (Iuv.).

ბუნება **ყველასთვის** ერთია.

Sulmo **mihi** patria est (Ov.).

სულმო **ჩემი** სამშობლოა.

„კუთვნილების მიცემითი" მიუგებს კითხვაზე: „რა ეკუთვნის პიროვნებას"?.ᵏ„კუთვნილების ნათესაობითი" კი ყურადღებას ამახვილებს პიროვნებაზე, რომელსაც ეკუთვნის საკანი, ნივთი. იგი მიუგებს კითხვაზე: „ვის ეკუთვნის საგანი?"

**Patris** domus est — Genetivus possessivus.

**მამის** არის სახლი (ვისია სახლი?)

**Patri** domus est — Dativus possessivus.

მამას აქვს სახლი (რა აქვს მამას?)

## Accusativus

§ 178. **Accusativus obiecti** „დამატების აკუზატივუსი" არის პირდაპირი დამატების ბრუნვა. იგი იხმარება გარდამავალ ზმნებთან.

**Arma virumque** cano (Verg.).

**იარაღსა და ვაჟკაცს** ვუმღერი.

§ 179. **Accusativus-ი აფექტის გამომხატველ, რთულ და უპირო ზმნებთან.** ზოგიერთი ზმნა, რომელიც გრძნობას გამოხატავს (Verbum affectuum) ხან გარდამავალ, ხანაც კი გარდაუვალ ზმნად გვევლინება:

doleo ვწუხვარ, მტკივა, მაწუხებს

horreo, reformido ვშიშობ, მაშინებს

miror, admiror მიკვირს, მაოცებს, გაკვირვებული ვარ

rideo ვიცინი, დავცინი

Quis non **doluit** rei publicae casum? (Cic.).

ვის არ აწუხებს სახელმწიფოს ბედი?

Cui dolet, meminit (Cic.)

ვისაც სტკივა, მას ახსოვს.

ლათინურ გარდამავალ ზმნას ზოგჯერ ქართულად გარდაუვალი ზმნა შეესატყვისება. ე. ი. ლათინურში ზმნა აკუზატივუსში შეიწყობს ობიექტს, ქართულში — მიცემითში.

imitor (aliquem) ვბაძავ მას (მივბაძე მას)

sequor (aliquem) მივდევ მას (მივდიე მას)

iuvo (aliquem) ვეხმარები მას (მივეხმარე მას)

tango (aliquem) ვეხები მას (შევეხე მას)

ulciscor(aliquem) შურს ვიძიებ მასზე (შური ვიძიე მასზე)

აკუზატივუს ბუნებას მოითხოვს ლათინურ ენაში ზოგიერთი უპირო ზმნა:

decet შეჰფერის

dedecet არ შეჰფერის

miseret საბრალოა

paenitet me სინანულს მგვრის, მაწუხებს

piget საწყენია

pudet სამარცხვინოა

ბევრი გარდაუვალი ზმნა circum-, praeter-, trans-, ad-, per-, in-, sub- პრეფიქსების დართვით გარდამავალი ხდება.

Caesar Rhenum transire constituit (Caes.).

კეისარმა გადაწყვიტა რეინის გადალახვა.

eo — გარდაუვალია, transeo — გარდამავალი.

საშუალო სქესის ნაცვალსახელი, ასევე ზედსართავი სახელი, რომლებიც რაოდენობას გამოხატავენ, აკუზატივუსში შეეწყობიან ზმნას:

hoc gaudeo.

ეს მახარებს.

Multa te admonui.

ბევრი რამ მოგაგონე.

§ 180. **Accusativus duplex** „ორმაგი აკუზატივუსი". ორმაგ აკუზატივუსს მოითხოვენ ზმნები, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა: „ვუწოდებ" „ვთვლი", „ვირჩევ", „მიმაჩნია" და მისთ. ერთი აკუზატივუსი პირდაპირი ობიექტის ბრუნვაა, მეორე — პრედიკატის. პასიურ კონსტრუქციაში იგი ორმაგი სახელობითით შეიცვლება.

Homines caecos reddit cupiditas (Cic.).

ვნება ადამიანებს ბრმად აქცევს.

Senatus Catilinam et Manlium hostes iudicat (Cic.)

სენატი კატილინასა და მანლიუსს მტრებად აღიარებს.

ზოგიერთი ზმნა ორმაგ აკუზატივუსს მოითხოვს და ორივე დამატების ბრუნვაა. ერთი მათგანი არის პირის გამომხატველი აკუზატივუსი, მეორე კი — საგნის. ასეთი ზმნებია:

doceo ვასწავლი (ვინმეს რაიმეს)
posco, flagito მოვითხოვ (ვინმესგან რაიმეს)
rogo ვეკითხები (ვინმეს აზრს)

Racilius me sententiam rogavit (Cic.).
რაკილიუსმა **მე აზრი** მკითხა.

§ 181. **Accusativus extensivus temporis** „დროის ხანგრძლიობის აკუზატივუსი" მიუთითებს დროის მონაკვეთზე, რომლის განმავლობაში მოხდა ან ხდება მოქმედება.

Servius Tullius regnavit annos quattuor et quadraginta (Liv.).
სერვიუს ტულიუსმა იმეფა 44 **წელიწადი**.

Ludi per decem dies facti sunt (Cic.)
თამაშობანი **ათი დღის** მანძილზე ტარდებოდა.

§ 182. **Accusativus loci** „ადგილის აკუზატივუსი" აღნიშნავს განვლილ მანძილს და იხმარება მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან.

Caesar circiter milia passuum quattuor progressus (Caes.).
კეისარმა თითქმის ოთხი **ათასი** მილი გაიარა.

§ 183. **Accusativus directionis** „მიმართულების აკუზატივუსი" მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან იხმარება, მიუთითებს მიმართულებას და მიუგებს კითხვაზე: „საითკენ?"

Aeschines se Rhodum contulit (Cic.)
ესქინე **როდოსისაკენ** გაეშურა.

§ 184. **Accusativus limitationis** „განსაზღვრების აკუზატივუსი". ამ აკუზატივუსს უწოდებენ Accusativus Graecus-საც, რადგან იგი ბერძნული კონსტრუქციის ანალოგიით არის მიღებული.

იგი იხმარება ზედსართავთან ან მიმღეობასთან და განმარტავს მასში გადმოცემულ აზრს.

**Os humerosque** deo similis (Verg.).
**სახითა და მხრებით** ღმერთების დარი.

§ 185. **Accusativus adverbialis** „ზმნისართული აკუზატივუსი" გვხვდება ზედსართავისა და ნაცვალსახელის საშუალო სქესის ფორმასთან და ზმნისართის მნიშვნელობით იხმარება.

Suebi **maximam partem** lacte atque pecore vivunt (Caes.)
სვებები **უმეტეს წილად** რძითა და ხორცით იკვებებიან.

§ 186. **Accusativus exclamationis** „შეძახილის აკუზატივუსი" იხმარება ემოციების გადმოსაცემად, შეძახილის დროს. მას ხშირად ახლავს შორისდებული.

O tempora, o mores! (Cic.).
ვაი, (რა) დროს! (რა) ზნეს (შეევსწარით)!
O me miserum! (Cic.)
ვაი, მე ბედშავს!

## Ablativus

§ 187. ლათინურ აბლატივუსში თავი მოიყარა სამმა ბრუნვამ: Ablativus გამოცალკევებითი, Instrumentalis იარაღობითი და Locativus ადგილობითი. ამიტომ ამ ბრუნვას მრავალნაირი მნიშვნელობა აქვს. **Ablativus separationis** „დაშორების აბლატივუსი" ჰაღნიშნავს საგანს, რომელსაც შორდება ვინმე ან რაიმე. ხშირად დაისმის მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან:

| | |
|---|---|
| arceo, prohibeo, excludo, intercludo | ვაძევებ, ვიშორებ |
| absterreo | ვაგდებ, ვაშფოთებ |
| cedo, abeo, exeo, egredior | გამოვდივარ, ვეცლები |
| differo, discrepo | ვაშორებ, ვფანტავ |
| libero | ვათავისუფლებ |
| moveo | გამომყავს, ვაცილებ |
| educo | გამომყავს |
| pello | ვდევნი |
| seiungo, separo | ვაცალკევებ, გამოვყოფ |

თუ დაშორების მოქმედებითი პირს აღნიშნავს, იგი a(ab) წინდებულით იხმარება, ხოლო თუ საგანს — წარმოდგენილია უწინდებულოდ ან a, de, ex წინდებულიანი ფორმით.

ეს მოქმედებითი შემდეგ ზედსართავებთანაც იხმარება:

alienus სხვისი
liber თავისუფალი
vacuus ცარიელი, თავისუფალი
tutus უსაფრთხო

Germani suas copias castris eduxerunt (Caes.).
გერმანელებმა თავიანთი ლაშქარი **ბანაკებიდან** გამოიყვანეს.
Homo sum, humani nil a me alienum puto(Ter.).
ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური უცხო არ არის **ჩემთვის**.

§ 188. **Ablativus originis** „წარმომავლობის აბლატივუსი" დაისმის მიმღეობებთან: natus, ortus, creatus, genitus „წარმოშობილი"

Plerique Belgae sunt orti **ab Germanis** (Caes.).
ბელგების უმრავლესობა **გერმანელებისაგან** არის წარმოშობილი.
Fortes creantur **fortibus** et **bonis** (Hor.)!
მამაცები **მამაცებისა** და **კეთილშობილებისაგან** წარმოიშვებიან.

§ 189. **Ablativus auctoris** „მოქმედი პირის აბლატივუსი“ არის ლოგიკური ქვემდებარის ბრუნვა, რომელიც იხმარება ვნებითი გვარის ზმნებთან, ან ვნებითი გვარის მნიშვნელობის მქონე გარდაუვალ ზმნებთან. ეს აბლატივუსი სულიერ არსებითს გამოხატავს და დგას a, ab წინდებულიან მოქმედებითში. ქართულად იგი მიერ, -გან თანდებულიანი ფორმით ითარგმნება. უფრო ხშირად კი აქტიური კონსტრუქციით გადმოიცემა მთელი წინადადება. ე. ი. ზმნა მოქმედებით გვარში დგება და ლოგიკური ქვემდებარე — სახელობით ბრუნვაში.

Piso Aquitanus, cuius avus in civitate sua regnum obtinebat, amicus ab senatu nostro appellatus (est) (Caes.).

პიზო აქვიტანელი, რომლის პაპას თავის სახელმწიფოში ძალაუფლება ეპყრა, ჩვენი სენატის მიერ მეგობრად იწოდებოდა.

Non semper viator **a latrone**, nonnumquam etiam latro **a viatore** occiditur (Cic.).

ყოველთვის **ყაჩაღი** კი არ კლავს მოგზაურს, ხანდახან **მოგზაურიც** კლავს ყაჩაღს.

§ 190. **Ablativus comparationis** „შედარების აბლატივუსი“ იხმარება შედარებითი ხარისხის ზედსართავებთან და ზმნისართთან, მაშინ როდესაც quam — „ვიდრე“ კავშირი გამოტოვებულია.

Ex eius lingua **melle** dulcior fluebat oratio (Cic.).

მისი ენიდან **თაფლზე** უტკბესი სიტყვა ამოდიოდა.

Vilius argentum est **auro**, **virtutibus** aurum (Hor.).

ვერცხლი **ოქროზე** იაფია, ოქრო — **სიქველეზე**.

§ 191. **Ablativus instrumenti** „**იარაღობითი აბლატივუსი**“ აღნიშნავს იარაღს, რომლის მეშვეობითაც ხდება მოქმედება. თუ „იარაღი“, „საშუალება“ სულიერი არსების გამომხატველია, მაშინ per წინდებულიანი აკუზატივუსი გამოიყენება.

Paritur pax **bello** (Nep.)

**ზავი ომით** იბადება.

(Icarus) flavam modo pollice ceram mollibat **lusuque suo** mirabile patris impediebat opus (Ov.)

(იკაროსი) ოქროსფერ ცვილს **თითით** ალბობდა და მამას უცხაურ საქმეში ხელს უშლიდა **თავისი** **სიცელქით**.

Per **exploratores** Caesar certior factus est (Caes.)

**მზვერავების წყალობით** კეისარმა მყისვე შეიტყო (ყოველივე).

არის შემთხვევები, როცა per წინდებულიანი ბრალდებითი განყენებულ არსებით სახელთანაც გვხვდება.

Ea res est Helvetiis **per indicium** enuntiata (Caes.).

ეს ვითარება ჰელვეციელებმა **ამბად** გაიგეს.

ზმნა afficio „მივაყენებ“ მოითხოვს „იარაღობით მოქმედებითს“, ამავე დროს სხვადასხვა სახელთან სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს.

| | |
|---|---|
| afficio aliquem beneficio | ვწყალობ ვინმეს, სიკეთეს ვუკეთებ |
| afficio aliquem gaudio | ვახარებ ვინმეს |
| afficio aliquem dolore | ვამწუხრებ ვინმეს |
| afficio aliquem morte | სიკვდილით ვსჯი ვინმეს |
| afficio aliquem praemiis | ვაჯილდოებ ვინმეს |
| afficio aliquem iniuria | ვაწყენინებ ვინმეს |
| afficio aliquem honore | პატივს ვცემ ვინმეს |
| afficio aliquem poena | დავსჯი ვინმეს |

„იარაღობით აბლატივუსს“ მოითხოვენ შემდეგი ზედსართავებიც:

dignus ღირსი, ღირსეული
fretus მინდობილი
indignus უღირსი
praeditus აღჭურვილი
dignus laude ქების ღირსი
dignus memoria ხსოვნის ღირსი
fretus ferro et animis (თავისი) სიმამაცისა და ხმლის მოიმედე
indignus poena სასჯელის არა ღირსი
praeditus virtute კეთილშობილი
praeditus crudelitate მკაცრი, უმოწყალო

§ 192. **Ablativus copiae** „სიუხვის აბლატივუსი“ დაისმის ზმნებთან და ზედსართავებთან, რომლებიც სიუხვეს აღნიშნავენ.

Sol mundum omnem **sua luce** complet (Cic.)
მზე მთელ სამყაროს ავსებს **თავისი შუქით.**

Plenus **annis** abiit, plenus **honoribus** (Plin.)
გარდაიცვალა **წლებით** დამძიმებული და **პატივით** სავსე.

§ 193. **Ablativus pretii** „შეფასების აბლატივუსი“ დაისმის „ყიდვის“ აღმნიშვნელ ზმნებთან და მიუგებს კითხვებზე: „რამდენად?“, „როგორ?“, „რა ფასად?“

emo. redimo ვყიდულობ
vendo ვყიდი
consto. sto ღირვარ
conduco ვქირაობ
loco. colloco ვაქირავებ
aestimo ვაფასებ

Multo **sanguine** et **vulneribus** ea Poenis victoria stetit (Liv.)
მრავალი **სისხლისა** და **ჭრილობის** ფასად დაუჯდათ ეს გამარჯვება ქართაგენელებს.

გამოთქმებთან: quanti „რამდენად“, tanti „ამდენად“, „ამ ფასად“, pluris „ძვირად“, minoris „იაფად“ დაისმის Genetivus pretii:

**Quanti** oryza empta est? **Parvo.** (Hor.)

რა ღირდა (რა ფასადაა ნაყიდი) ბრინჯი? იაფი.

§ 194. **Ablativus causae** „მიზეზის აბლატივუსი“ იხმარება:

1. გარდაუვალ ზმნებთან, რომელთაც ვნებითი გვარის მნიშვნელობა აქვთ. pereo ვიღუპები

2. გრძნობის გამომხატველ ზმნებთან (Verba affectuum):

gaudeo მიხარია

doleo, maereo { ვწუხვარ

glorior ვტრაბახობ, ვიკვეხნი, ვამაყობ

3. ვნებითი გვარის ზმნებთან, განსაკუთრებით ვნებითი გვარის მიმღეობებთან:

| | |
|---|---|
| ductus, motus, permotus | აღელვებული, აშოძრავებული |
| perteritus | შეშინებული |
| inflammatus | დანთებული |

4. ზოგიერთ ზედსართავთან:

| | |
|---|---|
| maestus | მწუხარე |
| laetus | მხიარული |
| contentus | კმაყოფილი |

5. მიზეზის მოქმედებითი იხმარება შემდეგ გამოთქმებთან:

| | |
|---|---|
| more | ჩვეულების თანახმად |
| mea, tua, sua sponte | ჩემი, შენი, თავისი ნებით |
| iussu | ბრძანებით |
| quare | რატომ |
| ea re, eo | იმიტომ |
| hortatu, monitu | შეგონებით |
| casu | შემთხვევით |

Helvetii **sua victoria** gloriantur (Caes.)

ჰელვეციელები **თავისი გამარჯვებით** ამაყობენ.

Aurea prima satas est aetas, quae vindice nullo
**sponte sua**, sine lege fidem rectumque colebat (Ov.)

პირველად იყო ოქროს ხანა, არცა მცველი, არცა კანონი,
**თავისთავად** პატივში იყო სიმართლე, ნდობა.

§ 195. **Ablativus limitationis** „**განსაზღვრების აბლატივუსი**“ მიუთითებს რა ნიშნით გამოირჩევა საგანი. იგი დაისმის არსებითთან, ზედსართავთან და ზმნასთან.

Hi omnes **lingua, institutis, legibus** inter se differunt (Caes.)

ისინი ყველანი ერთმანეთისაგან განირჩევიან **ენით, ჩვეულებებით, კანონებით.**

**Doctrina** Graecia nos et omni litterarum **genere** superabat (Cic.)

საბერძნეთი ჩვენ გვჯობნის **მეცნიერებითა** და ლიტერატურის **ყველა დარგით.**

**§ 196. Ablativus mensurae** „ზომის **აბლატივუსი**“ აღნიშნავს ზომას, რაოდენობას, რითაც ერთი საგანი სჯობნის მეორეს. დაისმის შედარებითი ხარისხის ზედსართავთან და ზმნისართთან. ასეთი მოქმედებითი იხმარება შემდეგ ზმნებთან:

| | |
|---|---|
| absum, disto | შორს ვარ |
| malo | მეტი მსურს, ვამჯობინებ |
| supero, praesto | ვჯობნი |
| antepono | ვამჯობინებ |

ზმნისართებთან:

| | |
|---|---|
| ante | წინათ, წინ, ადრე |
| post | შემდეგ, იმის შემდეგ |
| infra | ქვემოთ, ქვეშ |

Ablativus mensurae-ს მნიშვნელობით იხმარება გამოთქმები: multo „ბევრად“, paulo „მცირედ“, nihilo „არაფრად“, dimidio „ნახევრად“.

Gravior **multo** poena videtur, quae a miti viro constituitur (Sen).

სასჯელი **ბევრად** მძიმეა, თუ იგი მოწყალე ადამიანის მიერ არის გამოტანილი.

**Tanto brevius tempus, quanto felicius** est (Plin.)

**მით უფრო მოკლეა დრო, რაც უფრო ბედნიერია** (ბედნიერად გატარებულია).

**§ 197. Ablativus sociativus** „**თანხლების აბლატივუსი**“ დაისმის. მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან და აღნიშნავს თანმხლებ პირს, საგანს. უმეტესად cum წინდებულიანი ფორმით იხმარება.

Is civitati persuasit, ut de finibus suis **cum omnibus copiis** exirent (Caes).

მან დაარწმუნა მოქალაქენი, რათა თავიანთი საზღვრებიდან **მთელი ლაშქრით** გამოსულიყვნენ.

**§ 198. Ablativus modi** „ვითარების **აბლატივუსი**“ მიუთითებს, როგორ ხდება მოქმედება. იგი იხმარება ზმნისართის მნიშვნელობის მქონე არსებით სახელთან, რომელსაც განსაზღვრება ახლავს. ისეთ არსებითთან, რომელსაც განსაზღვრება არ ახლავს, cum ან per წინდებულიანი მოქმედებითი იხმარება.

| | | | |
|---|---|---|---|
| merito | დამსახურებულად | silentio | მდუმარედ |
| iure | სამართლიანად | casu | შემთხვევით |
| vi | ძალით | aequo animo | გულგრილად |
| cursu | სირბილით | {hac mente | ამ განზრახვით |
| modo | ამგვარად | {eo consilio | |

Qua ex parte homines bellandi cupidi magno dolore afficiebantur (Caes.)

ამას კი ომს მოწყურებული ხალხი, დიდი ტკივილით განიცდიდა.

§ 199. **Ablativus qualitatis** „თვისების აბლატივუსი“ იხმარება განსაზღვრებასთან ერთად და აღნიშნავს საგნის ან პირის თვისებას, ხასიათს.

Agesilaus statura fuit humili et corpore exiguo (Nep.).

აგესილაუსი დაბალი ტანისა და სუსტი აგებულების იყო.

§ 200. **Ablativus loci** „ადგილის აბლატივუსი“ აღნიშნავს ადგილს, მიუგებს კითხვაზე: „სად?“ და იხმარება უმეტესად in წინდებულით.

უწინდებულო მოქმედებითი კი იხმარება ქალაქის სახელებთან (I-II კანკლედობაში Pluralia tantum-ის სახელებთან, III კანკლედობაში კი — მხოლობითი რიცხვის ფორმით).

Athenis ათენში

Carthagine კართაგენში

ასევე იხმარება ადგილის მოქმედებითი გამოთქმაში: terra marique „ზღვასა და ხმელეთზე“ და სიტყვებთან: locus „ადგილი“. totus „მთელი“, omnis „ყველა“.

idoneo loco მოხერხებულ ადგილას

toto mundo მთელ სამყაროში

omnibus oppidis ყველა ქალაქში

ქალაქის სახელები დაისმის მოქმედებით ბრუნვაში, თუ უპასუხებს კითხვაზე: „საიდან?“

Romā რომიდან

Corinthō კორინთოდან

Athenis ათენიდან

§ 201. I-II კანკლედობით ბრუნებადი ქალაქის სახელები დაისმის ნათესაობითში, თუ უპასუხებს კითხვაზე: „სად?“

Romae რომში

Corinthi კორინთოში

კითხვაზე: „საითკენ? ქალაქის სახელები დაისმის აკუზატივუსში

Romam რომისაკენ

Corinthum კორინთოსაკენ

§ 202. ქალაქის სახელების მსგავსად უწინდებულოდ იხმარება ნათესაობითში, აკუზატივუსსა და აბლატივუსში სიტყვები: domus „სახლი“, rus „სოფელი“, humus „მიწა“. domi შინ, domo შინიდან, domum შინისკენ. ruri სოფელში, rure სოფლიდან, rus სოფლისაკენ და ა. შ.

Ablativus loci და Genetivus loci ასრულებენ Locativus-ის ფუნქციას, რომელიც არქაულ ლათინურში არსებობდა. იგი ფორმით ემთხვეოდა მხ. რიცხვში I, II კანკლედობის ნათესაობითსა და III კანკლედობის აბლატივუსს, მრავლობით რიცხვში კი ყველა კანკლედობის აბლატივუსს.

§ 203. **Ablativus prosecutivus** „მიდევნების აბლატივუსი“ მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან იხმარება და მიუგებს კითხვაზე: „რა გზით? „რომელი გზით?

Erant omnino itinera duo, quibus itineribus domo exire possent (Caes.).

სულ ორი გზა იყო, **რომლითაც (რომელი გზითაც)** შინ დაბრუნება შეიძლებოდა.

§ 204. **Ablativus temporis** „დროის აბლატივუსი“ დროის გარემოების ფუნქციას ასრულებს. იგი მიუგებს კითხვებზე: „როდის?“ რა დროის მანძილზე?“ ასეთი აბლატივუსი უწინდებულოდ დაისმის ისეთ სიტყვებთან. რომლებიც დროს აღნიშნავენ, ან რომლებსაც განსაზღვრება ახლავს, ან კიდევ თუ მიუგებენ კითხვებზე: „რა ხნის მანძილზე?“ სხვა შემთხვევაში in წინდებულიანი აბლატივუსი დაისმის.

Hieme mare calidius (Plin.).

**ზამთრობით** ზღვა უფრო თბილია.

Solis occasu suas copias Ariovistus in castra reduxit (Caes.).

მზის **ჩასვლისას** არიოვისტუსმა თავისი ლაშქარი ბანაკში დააბრუნა.

### ზმნის სინტაქსური ფუნქციები

§ 205. გვარი. მოქმედებითი გვარი გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც სუბიექტი ასრულებს, ან სუბიექტის მეოხებით (ბრძანებით, სურვილით) სრულდება. ამ უკანასკნელს კაუზატივურ მოქმედებითს (Activum causativum) უწოდებენ.

Darius pontem fecit in Histro flumine (Nep.).

დარიოსმა მდინარე ჰისტროსზე ხიდი ააგო (ბრძანა ხიდის აგება).

ვნებითი გვარი ლათინურ ენაში ხშირად იხმარება. იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც სუბიექტი განიცდის (იხ. § 67)

### ზმნის დროები

#### Praesens აწმყო

§ 206. აწმყო დროის თხრობითი კილო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც უბნობის მომენტში ხდება, ან ისეთ მოქმედებას, რომელიც მუდმივად მიმდინარე პროცესია. ზოგჯერ აწმყო საგნის მდგომარეობას გამოხატავს.

Discipulus scribit.

მოსწავლე წერს (ახლა)

Bonis nocet, qui malis parcit (Sen.).

ვინც ბოროტებს იწყალებს, კეთილებს ზიანს აყენებს.

ზოგჯერ აწმყო დრო წარსულ მოქმედებასაც ასახავს. ამით თხრობა უფრო ცხოველი და ხატოვანი ხდება.

Roma interim crescit, duplicatur civium numerus, Caelius additur urbi mons (Liv.).

რომი კი ამასობაში ძლიერდება, მოქალაქეთა რიცხვი ორჯერ იზრდება, ქალაქს უერთდება კელიუსის ბორცვი.

## Imperfectum უწყვეტელი

§ 207. უწყვეტლის თხრობითი კილო გამოხატავს განგრძობით ან განმეორებით მოქმედებას. იგი იხმარება ნამყო დროსთან (Perfectum), განმარტავს იმ ვითარებას, რაც ნამყო დროით არის გადმოცემული; ან აღწერს ხალხთა ჩვეულებებს, ადგილმდებარეობას. ზოგჯერ გამოხატავს მოქმედებას, რაც ნამყო დროით გადმოცემულ მოქმედებას უსწრებს წინ.

Ut Romae consules, sic Carthagine quotannis annui bini reges creabantur (Nep.).

როგორც რომში, ასევე კართაგენში, ყოველწლიურად ორ-ორ მეფეს ირჩევდნენ.

Ver erat aeternum, placidique tepentibus auris
Mulcebant Zephyri natos sine semine flores,
Mox etiam fluges tellus inarata ferebat,
Nec renovatus ager gravidis canebat aristis,
Flumuna iam lactis, iam flumina nectaris ibant,
Flavaque de viridi stillabant ilice mella,
Postquam Saturno tenebrosa in tartara misso
Sub Iove mundus erat, subiit argentea plores.

Ov. Met. I

იყო მარადიული გაზაფხული, ნაზი ზეფირი საამო ქროლვით
ესალბუნებოდა უთესლოდ აღმოცენებულ ყვავილებს.
ყამირი მიწა მოსავალს მყისვე იძლეოდა.
მოედინებოდა აქეთ რძის, იქით ნექტარის მდინარე,
უხნავი ყანა მძიმე თავთავებით ოქროსფრად ღელავდა.
ყვითელი თაფლი მოწვეთავდა მწვანე მუხიდან,
შემდგომ კი, როცა წუვდიად ტარტაროსში სატურნუსი ჩააგდეს,
და იუპიტერი დაეუფლა სამყაროს, დადგა ვერცხლის საუკუნე.

ზოგჯერ უწყვეტელი გამოხატავს მოქმედების საწყისს, მცდელობას, სურვილს (Imperfectum de conatu):

Quid est, Catilina. Num dubitas id me imperante facere, quod iam tua sponte faciebas (Cic.).

რა არის, კატილინა, რატომ ყოყმანობ შეასრულო ჩემი ბრძანება, რაც შენ შენივე ნებით გინდოდა გაგეკეთებინა.

## Perfectum ნამყო

§ 208. Perfectum historicum „ისტორიული ნამყო“ წარსულში მომხდარ ფაქტს გადმოსცემს, ისე რომ არ მიუთითებს მის ხანგრძლიობაზე.

His Caesar ita **respondit** (Caes.).

მათ კეისარმა ასე მიუგო.

Nox nulla **intercessit, interfectus est** propter quasdam sedetionum suspiciones C. Gracchus (Cic.).

ერთ ღამესაც არ **გაუვლია, მოკლეს** გაიუს გრაკხუსი, რაღაც შეთქმულებაში ეჭვმიტანილი.

**Perfectum praesens sive logicum** „ნამყო ახლანდელი“ გამოხატავს წარსულში მომხდარ მოქმედებას, რომლის შედეგი ახლანდელ დროში გვაქვს. ასეთ ნამყოს ხშირად ასლავს სიტყვები: iam „უკვე“, nunc „ახლა“.

Iamque opus **exegi** (Ov.).

**უკვე დავასრულე** ნაშრომი.

## Plusquamperfectum წინარეწარსული
(თურმეობითი)

§ 209. წინარეწარსული ძირითადად დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება. იხმარება წარსულში მომხდარი ფაქტის გადმოსაცემად, რომელიც წინ უსწრებს სხვა წარსულ დროს.

Exclusi eos, quos tu ad me salutatem **miseras** (Cic.).

არ მივიღე ისინი, ვინც შენ სალმის მოსახსენებლად **გამომიგზავნე**.

წინარეწარსული დამოუკიდებლადაც იხმარება. ზოგჯერ იგი აღნიშნავს მდგომარეობას, რომელიც სხვა წარსული დროის მოქმედების თანადროულია ან გამოხატავს ადრე მომხდარი მოქმედების შედეგს. ამიტომ იგი შინაარსით უწყვეტელს უახლოვდება.

უწყვეტლის მნიშვნელობით იხმარება შემდეგი ზმნების წინარეწარსული: novi „ვიცი“, memini „მახსოვს“, odi „მძულს“, consuevi „ჩვეულებად მაქვს“.

Helvetii iam per angustias et fines Sequanorum suas copias **traduxerant** et in Haeduorum fines **pervenerant** eorumque agros populabantur (caes.).

ჰელვეციელებს უკვე **გადაუყვანიათ** თავიანთი ლაშქარი სეკვანელთა საზღვრებზე, ხეობებზე, ჰედუელების ქვეყანაში **მისულან** და მათ მინდვრებს არბევდნენ.

Effodiuntur opes, irritamenta malorum,
Iamque nocens ferrum ferroque nocentius aurum
**Prodierat** (Ov. Met.).
იღებენ მადანს, ბოროტების იარაღს,
უკვე **მოპოვებულია** მავნე რკინა და რკინაზე მავნე ოქრო.

## Futurum მყოფადი

§ 210. მყოფადი I გამოხატავს მომავალ მოქმედებას. იგი დამოუკიდებელ წინადადებაშიც გვხვდება და დაქვემდებარებულშიც. ზოგჯერ მას ბრძანებითის მნიშვნელობაც აქვს.

Magno me metu **liberabis**, dummodo inter me atque te murus intersit. Nobiscum versari iam diutius non potes: **non feram, non patiar, non sinam** (Cic.).

დიდ საფრთხეს **ამაცილებ**, თუ ჩემსა და შენს შორის კედელი იქნება. ჩვენთან შენ უკვე ვეღარ იტრიალებ: ამას **ვერ ავიტან, ვერ მოვითმენ, ვერ დავუშვებ**.

მყოფადი II ძირითადად დაქვემდებარებულ წინადადებაში გვხვდება და აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებს სხვა მომავალ დროს:

Quodsi se **eiecerit** secumque suos **eduxerit** et eodem ceteros undique collectos naufragos **aggregaverit**, **exstinguetur** atque **delebitur** non modo iam adulta rei publicae pestis, verum etiam stirps ac semen malorum omnium (Cic.).

ხოლო უკეთუ იგი **გაჯვეცლება**, თან **წაიყვანს** თავის თანამზრახველთ და იქ **შეუერთდება** ყოველი მხრიდან თავმოყრილ დანარჩენ გაკოტრებულებს, სახელმწიფო არამც თუ ამ დიდ ჭირს, არამედ ყოველი ბოროტების თესლსა და ძირკვს **აღმოფხვრის**.

## Modus coniunctivus კავშირებითი კილო

§ 211. კავშირებითი კილო დამოუკიდებელ წინადადებაში გამოხატავს სურვილს, ბრძანებას, ნატვრას, შესაძლებელ მოქმედებას.

**Coniunctivus adhortativus** „**წაქეზების კავშირებითი**“ დაისმის მხ. და მრ. რიცხვის I პირში. იგი მოუწოდებს მოქმედებისაკენ I პირსა და სხვებს.

**Vivamus**, mea Lesbia atque **amemus** (Cat.).

**ვიცხოვროთ**, ჩემო ლესბია და **გვიყვარდეს ერთმანეთი**.

**Gaudeamus** igitur...

**მაშ ვიხაროთ**...

**Coniunctivus iussivus** „**ბრძანების კავშირებითი**“ გამოხატავს ბრძანებას, დაისმის აწმყოს III პირში. უარყოფის დროს დაისმის კავშირი ne.

Suum quisque **noscat** ingenium (Cic.).

ყველამ თავისი შესაძლებლობანი იცოდეს.

**Coniunctivus prohibitivus** „**წინააღმდეგობის კავშირებითი**“ გამოხატავს აკრძალვას. უმეტესად დაისმის მხ. და მრ. რიცხვის II პირთან, აწმყოს ან ნამყოს კავშირებითში. უარყოფითი ნაწილაკია ne.

Neminem cito laudaveris, neminem cito accusaveris (sen.).
სწრაფად ნურც ვინმეს შეაქებ, ნურც აძაგებ.

**Coniunctivus optativus** „ნატვრის კავშირებითი", გამოხატავს სურვილს. Praesens და Perfectum coniunctivi გამოხატავს ისეთ სასურველ მოქმედებას, რომელიც რეალურად შესრულდება თუ არა, არ ვიცით. Plusquamperfectum coniunctivi გამოხატავს სინანულს სასურველი მოქმედების შეუსრულებლობის გამო წარსულში, ხოლო Imperfectum coniunctivi — ახლანდელ დროში. უარყოფითი ნაწილაკია ne.

**Vivat** academia!

**Vivant** professores!

**Vivat** membrum quodlibet!

**Vivant** membra quaelibet!

Semper sint in flore! (Gaudeamus)

**გაუმარჯოს** აკადემიას!

**გაუმარჯოს** პროფესორებს!

**გაუმარჯოს** ყველა ჩვენთაგანს!

**გაუმარჯოს** ყველას ერთად!

დაე, **იხარონ**!

Compressos utinam Symplegades **elisissent**

Nostraque **adhaerent** ossibus ossa tuis.

Aut nos Scylla rapax canibus **misisset** edendos (Ov.

„ო, ნეტავ სიმპლეგადებს! **მოვესრისეთ** და უკანვე **გამოვერიყეთ**,

ჩვენი ძვლები ერთმანეთს შერთვოდა (ნეტავ),

ან გაუმაძღარ სკილას მაინც **ჩავენთქეთ** ძაღლების დასაგლეჯად".

**Coniunctivus potentialis** „შესაძლებლობის კავშირებითი" იხმარება შესაძლებელი მოქმედების გამოსახატავად. უარყოფითი ნაწილაკია non. Praesens ან Perfectum coniunctivi დაისმის მომავალი დროის აღსანიშნავად, წარსულისათვის კი — Imperfectum coniunctivi იმპერფექტუმი უმეტესად თხრობით წინადადებაში II პირთან, კითხვითში კი III პირთან დაისმის.

Hoc non dubitans **dixerim** (Cic.)

ამას უყოყმანოდ **ვიტყოდი** (ამის თქმა შემიძლია).

Vix veri simile fortasse **videatur** (Cic.).

ეს, მე მგონია, სიმართლეს არ უნდა **ჰგავდეს**.

Haud facile **discerneres** (Liv.).

ძნელი იყო **გაგერჩია**.

Quis **putaret**?

ვინ **იფიქრებდა**?

**Coniunctivus concessivus** „დათმობის კავშირებითი" გამოხატავს რაიმე აზრის დაშვებას, პირობითობას. ასეთ კავშირებითთან ხშირად დაისმის:

licet. ut „თუმცა", ვთქვათ", „დავუშვათ", „თუნდაც", „დაე". უარყოფის გამოსახატავად — ნაწილაკი ne. Praesens coniunctivi ახლანდელი დროის გამოსახატავად იხმარება, Perfectum coniunctivi კი — წარსულისა.

Ut culpent alii, tibi me laudare necesse est (Ov.)

სხვებმა, დაე, დამადანაშაულონ, შენ უნდა შემაქო.

Malus civis Carbo fuit. Fuerit aliis, tibi quando esse coepit? (Cic.).

ცუდი მოქალაქე იყო კარბო. სხვებისათვის ვთქვათ და იყო, შენთვის როდის შეიქნა ასეთი?

Coniunctivus dubitativus „ყოყმანის კავშირებითი" გამოხატავს ყოყმანს. ახლანდელი დროის გადმოსაცემად Praesens coniunctivi გამოიყენება, წარსულისათვის — Imperfectum coniunctivi. უარყოფითი ნაწილაკია non.

Quid agam, iudices? (Cic.).

რა ვქნა, მსაჯულებო?

Quid agerem, iudices? (Cic.).

რა უნდა მექნა, მსაჯულებო?

## რთული წინადადების ზმნა

### კავშირებითი კილო დამოკიდებულ წინადადებაში

§ 212. დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი შეიძლება გადმოცემულ იქნას თხრობითი ან კავშირებითი კილოს ზმნით.

თუ რომელ დროში უნდა დაისვას კავშირებითი კილო დამოკიდებულ წინადადებაში, ამას მმართველი წინადადების ზმნა განსაზღვრავს. აქ ყურადღება ექცევა მმართველი და დამოკიდებული წინადადებების ზმნების დროთა თანაფარდობას. როდის ხდება მოქმედება ორსავე წინადადებაში: ა) მოქმედება მმართველსა და დამოკიდებულ წინადადებებში თანადროულია, ბ) დამოკიდებული წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედება წინ უსწრებს მმართველი წინადადების ზმნით გამოხატულ მოქმედებას, თუ 3) დამოკიდებული წინადადების მოქმედება შემდეგ ხდება, ე. ი. გვიანდროულია.

ზმნის დროები ლათინურ ენაში ორ ჯგუფად იყოფა: მთავარი დროები: Praesens, Futurum I, II (აქვე შემოდის Imperativus) და ისტორიული დროები: Imperfectum, Plusquamperfectum, Perfectum (ისტორიულ დროს მიეკუთვნება აგრეთვე Praesens historicum).

დამოკიდებული წინადადების კავშირებითი კილოთი გადმოცემული ზმნის დამოკიდებულებას მმართველი წინადადების ზმნასთან ეწოდება

„დროთა თანამიმდევრობა“ Consecutio temporum, რომელიც შემდეგი სქემით შეიძლება გამოიხატოს.

**Consecutio temporum**

| მმართველი წინადადების ზმნის დრო | დამოკიდებული წინადადების ზმნის დრო | | |
|---|---|---|---|
| | თანადროულობა | წინადროულობა | გვიანდროულობა |
| ერთ-ერთი მთავარი დრო: Praesens, Futurum I, II, Imperativus | Praesens con. | Perfectum con. | -urus sim |
| ერთ-ერთი ისტორიული დრო: Imperfectum, Perfectum, Plusquamperfectum, Praesens historicum | Imperfectum con. | Plusquamperfectum con. | -urus essem |

ე. ი. თუ მმართველ წინადადებაში ერთ-ერთი მთავარი დროა, დამოკიდებულ წინადადებაში თანადროულობის შემთხვევაში იქნება Praesens coniunctivi, წინადროულობის დროს Perfectum coniunctivi და გვიანდროულობის შემთხვევაში -urus sim. თუ მმართველ წინადადებაში ერთ-ერთი ისტორიული დროა და დამოკიდებული წინადადების მოქმედება თანადროულია, ზმნა იქნება Imperfectum coniunctivi-ში, თუ წინადროულია, Plusquamperfectum coniunctivi-ში და თუ გვიანდროულია -urus essem.

### მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
### Ut (ne) finale

§ 213. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მმართველ წინადადებას ut „რომ“, „რათა„ ან ne „რათა არ“, „რომ არ“ კავშირებით. ასეთ წინადადებას Ut (ne) finale ეწოდება. ზმნა Ut finale-ში კავშირებით კილოში დგას და ექვემდებარება Consecutio temporum-ის წესს. თუ მმართველ წინადადებაში მთავარი დროა, დამოკიდებულში იქნება Praesens coniunctivi, თუ ისტორიული დროა, Imperfectum coniunctivi ე. ი. Ut finale-ში მხოლოდ თანადროულობის შემთხვევა გვაქვს. ასეთი წინადადება მიუგებს კითხვებზე: რატომ? რა მიზნით?

Cur non mitto meos tibi, Pontiliane, libellos?
Ne mihi tu mittas, Pontiliane, tuos (Mart.).
რატომ არ გიგზავნი, პონტილიანე, ჩემს წიგნებს?
იმიტომ, რომ შენ, პონტილიანე, შენი წიგნები არ **გამომიგზავნო.**

Caesar ad T. Sextium legatum misit, ut cohortes ex castris celeriter educeret (Caes.).

კეისარმა ლეგატ ტ. სექსტიუსს კაცები მიუგზავნა, რათა სასწრაფოდ გამოეყვანა კოჰორტები ბანაკიდან.

### დამატებითი დამოკიდებული წინადადება

§ 214. Ut finale-ს ძალიან ჰგავს Ut (ne) obiectivum, რომელიც ასევე ut ან ne კავშირით უერთდება მმართველ წინადადებას. იგი მიუგებს კითხვებზე: რაზე? რის შესახებ? Ut obiectivum-ის მმართველ წინადადების ზმნები გამოხატავენ „ფიქრს", „გრძნობას", „რჩევას", „ზრუნვას" და მისთ.

Dumnorix a Sequanis impetrat, ut per fines suos Helvetiis ire patiantur (Caes.).

დუმნორიქსმა სეკვანელებისაგან მოითხოვა, რომ თავიანთ საზღვარზე გაეტარებინათ ჰელვეციელები.

Decrevit quondam senatus, ut L. Opimius consul videret, ne quid res publica detrimenti caperet (Cic.).

დაადგინა ერთხელ სენატმა, რომ კონსულ ლ. ოპიმიუსს ეზრუნა, რათა სახელმწიფოს ზიანი არ მოსვლოდა.

ut videret — ut obiectivum

ut caperet — ut finale

თუ Ut finale-სა და Ut obiectivum-ში არის უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნისართი, ut-ის ნაცვლად იხმარება ne, ხოლო უარყოფითი ნაცვალსახელის ან ზმნისართის ნაცვლად შესაბამისი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი.

ut nemo = ne quis

ut nihil = ne quid

ut nullus = ne ullus

ut nunquam = ne unquam

Ut finale-ში ut is-ის ნაცვლად დაისმის qui,

Helvetii ad eum legatos mittunt, qui (= ut ii) dicerent sibi esse in animo iter per provinciam facere (Caes.).

ჰელვეციელებმა მასთან მოციქულები გაგზავნეს, რათა მათ ეთქვათ, რომ განზრახული აქვთ პროვინციაზე გაიარონ.

### დამატებითი დამოკიდებული წინადადება Verba timendi-სთან

§ 215. თუ მმართველ წინადადებაში არის „შიშის" გამომხატველი ზმნა (timeo, metuo, vereor „მეშინია", „ვშიშობ"), მასთან დაკავშირებული წინადადება გამოხატავს შიშს, ვაითუ მოქმედება შესრულ-

დეს ან შიშს იმისას, ვაითუ მოქმედება არ მოხდეს. პირველ შემთხვევაში გამოიყენება კავშირი ne, მეორე შემთხვევაში კი — ne non (იშვიათად ut).

Timeo, ut sustineas (Cic.).

ვშიშობ, ვაითუ ვერ აიტანო.

მთქმელს სურს მოხდეს ეს ფაქტი, მაგრამ შიშობს, იქნება არ შესრულდეს).

Bomilcar metuebat, ne ad supplicium traderetur (Sall).

ბომილკარს შიში ჰქონდა, დასასჯელად არ გადაეცათ.

(ბომილკარს ეშინოდა, არ უნდოდა ეს ფაქტი მომხდარიყო).

### დამატებითი დამოკიდებული წინადადება Verba impediendi-სთან

§ 216. თუ მმართველი წინადადების ზმნა გამოხატავს წინააღმდეგობას (impedio, prohibeo, obsto „ხელს ვუშლი“, „ვეწინააღმდეგები“), დამატებითი დამოკიდებული წინადადება მმართველს უკავშირდება კავშირებით: ne, quominus (= ut eo minus), quin. თუ მმართველ წინადადებაში ზმნასთან არის უარყოფითი სიტყვა, გამოიყენება quin კავშირი ან quominus.

impedit ira animum, ne possit cernere verum (Dion.)

რისხვა ხელს უშლის სულს, შეძლოს ჭეშმარიტების შეცნობა.

Aetas non impedit, quominus agri colendi studia teneamus usque ad ultimum tempus senectutis (Cic).

ასაკი არ გვიშლის ხელს, რომ მიწათმოქმედებას ღრმა მოხუცებულებამდე ვეწეოდეთ.

თუ დამოკიდებულ წინადადებაში არის გამოთქმა dubium non est, non dubito „ეჭვი არ არის“, „არ ვეჭვობ“, ასეთი წინადადება მმართველს quin კავშირით დაუკავშირდება.

Illi non dubitant, quin ea vera sint, quae defendunt (Cic.).

ისინი არ ეჭვობენ, რასაც იცავენ, ის ჭეშმარიტია.

### შედეგობითი დამოკიდებული წინადადება Ut consecutivum

§ 217. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება მმართველს უკავშირდება ut ან ut non კავშირით. ut— „რომ“, „ასე რომ“, „ამგვარად“, ut non—„რომ არ“, „რომ ვერ“.

ut კავშირს მმართველ წინადადებაში შეიძლება შეეფარდებოდეს ჩვენებითი ნაცვალსახელური ზედსართავები: talis, tantus, is „ასეთი“ ან ზმნისართები: sic, ita, adeo „ისე, იმგვარად“. პირველ შემთხვევაში წინადადება განსაზღვრებითი იქნება, მეორე შემთხვევაში კი — ვითარების გარემოებითი.

Tantus enim illorum temporum dolor inustus est civitati, ut iam ista non modo homines, sed ne pecudes quidem mihi passurae esse videantur (Cic.).

ვინაიდან დროის უბედურება ისე მწვავედ განიცდეს მოქალაქეებმა, რომ ახლა ამას, ვფიქრობ, ადამიანები კი არა, პირუტყვებიც ვეღარ მოითმენენ.

Tanta vis probitatis est, ut eam in hoste etiam diligamus (Cic.).

ღირსებას ისეთი ძალა აქვს, რომ ამას (თვისებას) მტერშიც კი ვაფასებთ.

Ut consecutivum-ში, ჩვეულებრივ, Praesens coniunctivi ან Imperfectum coniunctivi-ია გამოყენებული, მაგრამ ხშირად, როცა მმართველ წინადადებაში ისტორიული დროა, Ut consecutivum-ში ისეთ დროში დგას ზმნა, როგორიც მოსალოდნელია დამოუკიდებელ წინადადებაში. ე. ი. Praesens ან perfectum coniunctivi.

Atticum praecipue dilexit Cicero, ut ne frater quidem ei Quintus carior fuerit (Nep.).

ციცერონს ატიკა ისე ძალიან უყვარდა, რომ ძმა კვინტუსიც არ იყო მისთვის უფრო ძვირფასი.

წყვეტილებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება დაუკავშირდეს მმართველ წინადადებას qui, quae, quod კავშირებით, ასეთ შემთხვევაში qui = ut is. ასეთ დამოკიდებულში ზმნა კავშირებით კილოში დგას.

Exegi monumentum... quod non imber edax,
Non Aquilo impotens possit diruere (Hor.).

ძეგლი ავიგე, რომელსაც ვერც კოკისპირული წვიმა,
ვერც ძლიერი აქვილონი ვერ დაანგრევს.
(ძეგლი ავიგე ისეთი, რომ მას...)

### განმარტებითი დამოკიდებული წინადადება Ut explicativum

§ 218. Ut explicativum განმარტავს მმართველ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. ut „რომ„ კავშირით უერთდება მმართველ წინადადებას. კავშირებითი კილო consecutio temporum-ის წესით დაისმის. Ut explicativum იხმარება მხ. რ. III პირში დასმულ ზმნებთან (რომელთაც ასეთ შემთხვევაში უპირო ზმნის მნიშვნელობა აქვთ), ან ზოგიერთ გამონათქვამთან:

est, fit, evenit, accidit ხდება
mos est, consuetudo est ჩვეულებაა
lex est კანონია

Est mos hominum ut nolint eundem pluribus rebus excellere (Cic.).

ადამიანებს ჩვევიათ, რომ არ სურთ ერთი და იგივე პიროვნება გამორჩეული იყოს ყველა საქმეში.

Ut explicativum-ს შეიძლება ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებაც ეწოდოს, რადგან იგი მმართველი წინადადების ქვემდებარედ გვევლინება.

### Quod explicativum

§ 219. ესეც განმარტებითი დამოკიდებული წინადადების სახეა, რომელიც quod კავშირით უერთდება მმართველ წინადადებას. Quod explicativum მაშინ გვაქვს, თუ მმართველი წინადადების ზმნებს: evenit, accidit, fit „ხდება", facio „ვაკეთებ"-თან ახლავს ზმნისართები: bene „კარგად", male „ცუდად", commode „სათანადოდ", „კარგად", iucunde „სასიამოვნოდ", perincommode „ძალზე უდროოდ". ეს ზმნისართები მმართველ წინადადებაში გამოთქმული აზრის გარკვეულ შეფასებას იძლევიან. ზმნა Quod explicativum-ში თხრობით კილოშია. Quod შეიძლება ასე ითარგმნოს: „რომ", „რაც შეეხება მას, რომ".

Quod „რაც შეეხება მას, რომ"-ად მაშინ შეიძლება ვთარგმნოთ, თუ იგი წინადადების პირველი წევრია.

**Facis iucunde, quod** non solum plurimas epistulas meas, verum etiam longissimas flagitas (Plin.).

**სასიამოვნოდ მიმაჩნია, რომ** არა მხოლოდ ბევრ, არამედ გრძელ წერილებსაც მოითხოვ ჩემგან.

### დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები
### Cum temporale

§ 220. Cum temporale მიუთითებს, როგორი მიმართებაა მმართველსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის დროის თვალსაზრისით. იგი ერთჯერად მოქმედებას აღნიშნავს და მიუგებს კითხვაზე: „როდის?" მმართველ წინადადებას უკავშირდება cum (quum) „როდესაც" კავშირით. ზმნა დამოკიდებულ წინადადებაში დგას აწმყოს ან მყოფადის თხრობით კილოში, იშვიათად წარსულ დროებში.

Romam **cum venero**, quae perspexero, scribam ad te (Cic.).
**როდესაც** რომში **ჩავალ**, რასაც ვნახავ, მოგწერ.
**Cum** Caesar in Galliam **venit**, alterius factionis principes erant Aedui, alterius Sequani (Caes.).
როდესაც კეისარი გალიაში **მივიდა**, ერთი პარტიის მეთაური ედუები იყვნენ, მეორესი კი — სეკვანები.

## Cum iterativum

§ 221. Cum iterativum მრავალგზის მოქმედებას აღნიშნავს. ზმნა თხრობით კილოში დგას. თუ მმართველისა და დამოკიდებული წინადადების მოქმედება თანადროულია, ორსავე წინადადებაში ზმნა ერთსა და იმავე დროის თხრობით კილოშია.

თუ დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედება წინ უსწრებს მმართველი წინადადების ზმნის მოქმედებას და მმართველ წინადადებაში არის Praesens indicativi, დამოკიდებულ წინადადებაში იქნება Perfectum indicativi. თუ მმართველ წინადადებაში არის Imperfectum indicativi, დამოკიდებულში იქნება Plusquamperfectum indicativi. თუ მმართველ წინადადებაში არის Futurum I, დამოკიდებულში იქნება Futurum II. Poetarum libros delectationis causa, cum est otium, legere soleo (Cic.).

პოეტების თხზულებებს გასართობად, როცა კი დრო მაქვს, ვკითხულობ ხოლმე.

Galli, cum superaverunt, animalia capta immolant (Cic.).

გალები. როცა იმარჯვებენ, ნადაელად წამოყვანილ ცხოველებს მსხვერპლად სწირავენ.

კლასიკურ ხანაში იშვიათად, შემდგომ პერიოდში უფრო ხშირად, Cum iterativum-ში შეინიშნება Imperfectum და Plusquamperfectum indicativi-ს ნაცვლად Imperfectum და Plusquamperfectum coniunctivi-ს ხმარება.

## Cum explicativum sive coincidens

§ 222. Cum explicativum განმარტავს მმართველი წინადადების ზმნის მოქმედებას. იგი აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ემთხვევა მმართველი წინადადების ზმნის მოქმედებას, როგორც დროის მიხედვით, ასევე აზრობრივად. ზმნა Cum explicativum-ში თხრობით კილოში დგას.

Loco ille (Catilina) motus est, cum est ex urbe depulsus (Cic.).

მოვაშორეთ ამ ადგილს (კატილინა), როცა იგი ქალაქიდან გავაძევეთ.

Sine dubio perdidimus hominem magnificeque vicimus, cum illum ex occultis insidiis in apertum latrocinium coniecimus (Cic.).

უეჭველია, გავანადგურეთ და ბრწყინვალედ გავიმარჯვეთ მასზე, როცა ფარული მტრობიდან აშკარა ყაჩაღობისაკენ ვუბიძგეთ.

## Cum inversum

§ 223. Cum inversum გრამატიკულად დამოკიდებული წინადადებაა, შინაარსით კი მმართველი. ამიტომ ეწოდება მას Cum inversum „შებრუნებული“. ზმნა ასეთ წინადადებაში Perfectum ან Praesens historicum

—შია და ყოველთვის მოსდევს ფორმობრივად მმართველ წინადადებას. cum კავშირი შეიძლება ითარგმნოს ასე: „როცა“, „რომ“, „უეცრად“.. ასეთი წინადადება მოულოდნელობის ნიუანსს ატარებს.

Galli iam facere noctu apparabant, cum matres familiae repente in publicum procurrerunt (Caes,).

გალები ემზადებოდნენ ღამით ამის მოსაწყობად. რომ უეცრად დიასახლისები მოედანზე გამოვარდნენ.

## Cum historicum

§ 224. Cum temporale-საგან განსხვავებით Cum historicum წარსულ მოქმედებას გადმოსცემს, ამასთანავე მიუთითებს შინაგან კავშირზე მმართველი და დამოკიდებული წინადადებების მოქმედებებს შორის. დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედება აუცილებელი პირობაა, რომ მმართველი წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედება მოხდეს.

თუ მოქმედება თანადროულია, დამოკიდებულში ზმნა Imperfectum coniunctivi-შია, ხოლო თუ დამოკიდებული წინადადების მოქმედება წინ ეწყრებს მმართველი წინადადების მოქმედებას, ზმნა დამოკიდებულ წინადადებაში დგას Plusquamperfectum coniunctivi-ში.

Caesar, cum id nuntiatum esset, maturat ab urbe proficisci (Caes,). კეისარმა, როცა ეს შეიტყო, დააჩქარა ქალაქიდან გასვლა.

Qui cum ad flumen Ligerin venissent, paucos dies ibi morati neque flumen transire ausi domum revertuntur (Caes.).

როდესაც ისინი მდინარე ლიგერთან მივიდნენ, ცოტა ხანს დაყოვნდნენ იქ. ვერც მდინარეზე გადასვლა გაბედეს და ვერც შინ დაბრუნება.

### დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

§ 225. ზოგიერთი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მმართველ წინადადებას შემდეგი კავშირებით უერთდება: postquam „მას შემდეგ რაც“, ut, ubi, simul ac, simul atque, simul ut, simul, cum primum. ubi primum „როგორც კი“, dum, antequam, priusquam „სანამ“. ასეთ წინადადებაში ზმნა თხრობით კილოშია.

Postquam, ut, ubi, simul, ubi primum კავშირებთან ზმნა Perfectum-ში დაისმის.

Dum, donec, antequam, priusquam კავშირებთან ზმნა შეიძლება იყოს თხრობით კილოშიც და კავშირებითშიც. Praesens, Perfectum, Futurum II-ის თხრობითი კილო მიუთითებს რეალურ მოქმედებას, კავშირებითი კი — სასურველ, შესაძლებელ მოქმედებას. კავშირებითი კილო Consecutio temporum-ის წესით დაისმის.

**Antequam** de re publica **dicam**, exponam vobis breviter consilium profectionis meae (Cic.).

**სანამ** რაიმეს ვიტყოდე სახელმწიფოს შესახებ, მოკლედ მოგახსენებთ ჩემი გამგზავრების მიზეზს.

**Donec eris** (Fut. I) felix, multos numerabis amicos (Ov.).

**სანამ იქნები** ბედნიერი, მრავალ მეგობარს დაითვლი.

### მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
### Cum causale

§ 226. Cum causale მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა, რომელიც cum კავშირით უერთდება მმართველ წინადადებას. ასეთ წინადადებაში ზმნა Praes. ან imperf. con.-შია, თუ მოქმედება თანადროულია და თუ წინადროული —Perf. ან plusquam. con.-ში.

Quae **cum ita sint**, Quirites, vos, quem ad modum iam antea dixi, vestra tecta vigiliis custodiisque defendite (Cic.).

**რადგანაც** ასეა, ქვირიტებო, როგორც ადრე მოგახსენეთ, გაამაგრეთ თქვენი სახლ-კარი მცველებითა და ღამის დარაჯებით.

Hi **cum** per se minus **valerent**... Germanos atque Ariovistus sibi adiunxerant (Caes.).

**რადგანაც** სეკვანები **არ იყვნენ ძლიერნი**, ამიტომ კავშირი შეკრეს არიოვისტუსთან და გერმანელებთან.

§ 227. **მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება** შეიძლება quod, quia, quoniam კავშირებითაც მიუერთდეს მმართველ წინადადებას. თუ მთქმელის მიერ მოტანილი მიზეზი რეალური ფაქტია, მაშინ დამოკიდებული წინადადების ზმნა თხრობით კილოშია, თუ მთქმელის მიერ აღნიშნული მიზეზი მოსალოდნელი მოქმედებითაა გამოწვეული, მთქმელი სხვისი პირით ლაპარაკობს, ზმნა კავშირებით კილოში დგება.

კავშირებთან: non quod, non quo „არა იმიტომ, რომ“ ზმნა კავშირებით კილოში დაისმის.

Vos, Quirites, **quoniam** iam est nox, in vestra tecta discedite (Cic.) თქვენ, კი, ქვირიტებო, **რადგან** უკვე ღამეა, შინისაკენ გაეშურეთ.

Memoriam nostri ut conserves rogo, **non quo** de tua constantia **dubitem**, sed quia mos est sic rogandi (Cic.).

გთხოვ ჩვენს არდავიწყებას, **არა იმიტომ, რომ** ეჭვი **მეპარება** შენს სიმტკიცეში, არამედ იმიტომ რომ წესი მოითხოვს ამას.

### დათმობითი დამოკიდებული წინადადება Cum concessivum

§ 228. დათმობითი დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მმართველს cum კავშირით, რომელიც შეიძლება ითარგმნოს: „თუმცა“, „მიუ-

ხედავად იმისა", რომ". ასეთ წინადადებაში ზმნა კავშირებით კილოში დაისმის იმავე წესით, რაც Cum causale-ს დროს.

Phocion fuit perpetuo pauper, **cum** divitissimus esse **posset** (Nep.)

ფოკიონი მუდამ ღარიბი იყო, **თუმცა შეეძლო** მდიდარი ყოფილიყო.

დათმობითი დამოკიდებული წინადადება quamquam „თუმცა" კავშირითაც უკავშირდება მმართველ წინადადებას. ზმნა ასეთ კავშირიან წინადადებაში თხრობით კილოშია.

**Quamquam** animus meminisse **horret** luctuque refugit, Incipiam (Verg.)

**თუმცა** ამის გახსენებაზე სული **შფოთავს** და მწუხარებით ბორგავს, დავიწყებ.

## Cum adversativum

§ **229**. ეს არის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სახე, რომელიც მმართველ წინადადებას უკავშირდება cum „მაშინ როდესაც" კავშირით. დამოკიდებული წინადადების ზმნა დაისმის კავშირებით კილოში Consecutio temporum-ის წესით. ასეთ დამოკიდებულ წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია დამოკიდებული წინადადების მოქმედებაზე, რომელიც საპირისპიროა, საწინააღმდეგოა მმართველი წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედებისა.

Socratis ingenium variosque sermones immortalitati scriptis suis Plato tradidit, **cum** ipse litteram Socrates nullam reliquisset (Cic.).

სოკრატეს ნიჭს, მის მრავალფეროვან სიტყვებს პლატონმა მიანიჭა უკვდავება თავისი თხზულებების წყალობით, **მაშინ როდესაც** თვითონ სოკრატეს ერთი სიტყვაც (ნაწერი) არ **დაუტოვებია**.

### პირობითი დამოკიდებული წინადადება

§ **230**. პირობითი დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მმართველ წინადადებას si „თუ", nisi, si non „თუ არ" კავშირებით.

როცა უარყოფა მთელ პირობით წინადადებას ეხება, კავშირი არის nisi, ხოლო როცა ერთ რომელიმე წევრს — si non. დამოკიდებულ წინადადებას უწოდებენ პროტასისს, მმართველს კი — აპოდოსისს.

პირობით წინადადებაში სამი შემთხვევა განირჩევა: 1 პირობით წინადადებაში გამოთქმულია ვარაუდი, მმართველ წინადადებაში კი—შედეგი ამ ვარაუდისა. ამასთანავე მთქმელი არ იძლევა საკუთარ აზრს ამ ვარაუდთან დაკავშირებით. დამოკიდებული წინადადების ზმნა თხრობით კილოშია. მმართველ წინადადებაში — თხრობითსა და ბრძანებითში, აგრეთვე Coniunctivus adhortativus და Coniuctivus prohibitivus-ში. ასეთ შემთხვევას casus realis ეწოდება.

Si vis amari, ama (Sen.).

თუ გსურს უყვარდე, გიყვარდეს.

Si quid in te peccavi, ignosce (Cic.).

თუ რაიმე შეგცოდე, მაპატიე.

Si id credis, erras (Ter.).

თუ შენ ეს გჯერა, ცდები.

Ne sim salvus, si aliter scribo ac sentio (Cic.).

არ გავიხარო, თუ ერთს გწერდე და სხვას ვგრძნობდე.

2. მთქმელი გამოთქვამს ვარაუდს, რომელიც მომავალს ეხება. ჩანს ისიც, რომ თქმელი ვარაუდობს, ეს პირობა არ განხორციელდება, ან არ სურს მისი განხორციელება. ეს არის ე. წ. Casus potentialis. პროტასისსა და აპოდოსისშიც ზმნა ან Praesens coniunctivi-შია ან Perfectum coniunctivi-ში.

Non vident id se cupere, quod si adepti sint, fugitivo alicui aut gladiatori concedi sint necesse (Cic.)?

ნუთუ ვერ ხედავენ, კიდევაც რომ აიხდინონ წადილი, სულ ერთია რომელიმე მონას ან გლადიატორს უნდა დაუთმონ.

Thucydidis orationes imitari neque possim, si velim, nec velim fortasse, si possim (Cic.).

თუკიდიდეს სიტყვებს ვერ მივბაძავდი, რომც მომესურვებინა, რომც შემეძლოს მიბაძვა, არც მოვისურვებდი.

3. მთქმელი გამოთქვამს ვარაუდს და აქედან გამომდინარე შედეგს, რომელიც ეწინააღმდეგება სინამდვილეს. პროტასისში არის შეუსრულებელი მოქმედება (ახლანდელ დროში ან წარსულში). აწმყოსთან მიმართებაში ზმნა Imperfectum coniunctivi-შია, ხოლო წარსულთან მიმართებაში — Plusquamperfectum coniunctivi-ში. ასეთ შემთხვევას casus irrealis ეწოდება.

Has inimicitias Roscius si cavere potuisset, viveret (Cic.).

როსკიუსს რომ შეძლებოდა ამ მტრობის თავიდან აცილება, ცოცხალი იქნებოდა.

გვაქვს პირობითი წინადადების შერეული სახეც, როცა პროტასისში ერთი შემთხვევა გვაქვს, აპოდოსისში — მეორე.

Turpis excusatio est, si quis contra rem publicam se amici causa fecisse fateatur (Cic.).

სამარცხვინოა (ასეთი) თავისმართლება, თუ ვინმე აღიარებს, რომ მეგობრის მიზეზით რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებდა.

### შედარებითი დამოკიდებული წინადადება

§ 231. შედარებითი დამოკიდებული წინადადება მმართველ წინადადებას უკავშირდება კავშირებით: ut(uti), sicut(i), quemadmodum, quomodo „როგორც", „ისევე როგორც". მმართველ წინადადებაში ამ კავშირებს შეიძლება შეესატყვისებოდეს მიგებითი სიტყვები, ზმნისართები: ita, sic „ასე", idem, itidem აგრეთვე", „ასევე". ზმნა ასეთ დამოკიდებულში, ჩვეულებრივ, თხრობით კილოშია.

Ut sementem feceris, ita metes (Cic.).

**რასაც** დათეს, **იმასვე** მოიმკი.

### განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

§ 232. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ორგვარია: ა) წმინდა განსაზღვრებითი, სადაც ზმნა თხრობით კილოშია, და ბ) ფორმით განსაზღვრებითი, შინაარსით გარემოებითი, სადაც ზმნა კავშირებით კილოშია.

Caesar a lacu Lemano, **qui** in flumen Rhodanum **influit**, ad montem Iuram. qui fines Sequanorum ab Helvetiis **dividit**, murum perducit (Caes.).

კეისარმა ლემანუსის ტბიდან, **რომელიც** მდინარე როდანუსში ჩაედინება, კედელი აღმართა იურას მთამდე, **რომელიც** სეკვანელთა საზღვარს ჰელვეციელებისაგან ჰყოფს.

Indutimarius, qui iam ante inimico in nos animo **fuisset**, multo gravius hoc dolore exarsit (Caes.).

ინუტიმარიუსი, რომელსაც ადრევე **ედო** ჩვენი მტრობა გულში, უფრო მეტად გაშმაგდა ამ მწუხარებით.

Quis est, qui Gai Fabricii, Manii Curii non cum caritate aliqua benevola memoriam usurpet, **quos** nunquam **videret** (Cic.)?

ვინ არ მოიგონებს კეთილად გაიუს ფაბრიკიუსს, მანიუს კურიუსს, **რომლებიც არასოდეს უნახავთ**?

Sunt multi, qui eripiunt aliis, **quod** aliis **largiatur** (Cic.).

არიან ადამიანები, რომლებიც ერთს ართმევენ, **რომ მისცენ** სხვას.

პირველი წინადადება წმინდა განსაზღვრებითია და ზმნა დამოკიდებულში თხრობით კილოშია, დანარჩენი წინადადებები გარემოებითია, რომლებშიც ზმნა კავშირებით კილოშია.

## Infinitivus

§ 233. ინფინიტივუსი წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, შემასმენელი.

თუ ინფინიტივუსით გადმოცემულ ქვემდებარეს შედგენილი შემასმენელი ახლავს, სახელადი ნაწილი ზედსართავის საშუალო სქესის ფორმით იხმარება.

**Errare humanum est, stultum est in errore perseverare.**

**შეცდომა** ადამიანისათვის **დამახასიათებელია, სისულელეა** შეცდომის **აკვიატება.**

ინფინიტივუსი დამატებად ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან იხმარება:

| | | | |
|---|---|---|---|
| possum, queo | შემიძლია | incipio, instituo, coepi | ვიწყებ |
| nequeo | არ შემიძლია | disco | ვსწავლობ |
| volo, malo, cupio | მინდა | cogito, paro | ვფიქრობ |
| nolo | არ მინდა | statuo, constituo, decerno | ვწყვეტ |
| studeo, conor | ვცდილობ | festino, maturo | მივიჩქარი |
| audeo | ვბედავ | | |

Phocion fuit perpetuo pauper, cum divitissimus esse posset (Nep.).

ფოკიონი მუდამ ღარიბი იყო, თუმცა შეეძლო მდიდარი **ყოფილიყო.**

ინფინიტივუსი შეიძლება იყოს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც.

Vivere **cogitare** est (Cic.).

ცხოვრება **აზროვნებაა.**

ინფინიტივუსი ზოგჯერ ზმნის პირიანი ფორმის ნაცვლადაც შეიძლება მოგვევლინოს: მას Infinitivus historicus ეწოდება.

Repente omnis tristitia invasit; **festinare, trepidare,** neque loco neque homini cuiquam satis **credere,** neque bellum **gerere,** neque pacem **habere,** suo quisque metu pericula **metiri** (Sall.).

უეცრად **ყველა** სასოწარკვეთილებამ მოიცვა: **ჩქარობდნენ, შფოთავდნენ,** არც ადგილს **ენდობოდნენ,** არც ადამიანს, ვერც ომს **იწყებდნენ,** ვერც ზავს **ახერხებდნენ,** ყველა საკუთარი შიშით **ზომავდა** საფრთხეს.

## Accusativus cum infinitivo

§ 234. Accusativus cum infinitivo დამატებითი (ან ქვემდებარეული) დამოკიდებული წინადადების სახეა, სადაც ლოგიკური ქვემდებარე დგას აკუზატივუსში, შემასმენელი კი — ინფინიტივუსში. ასეთი დამოკიდებული ისეთ მმართველ წინადადებას უკავშირდება, რომლის ზმნა გამოხატავს „თქმას", „ფიქრს", „გრძნობას" და მისთ (Verba dicendi, sentiendi, declarandi...).

| | | | |
|---|---|---|---|
| arbitror, indico, puto, censeo, existimo | ვფიქრობ | | |
| dico, aio | ვამბობ | declaro | ვაცხადებ |
| affirmo | ვამტკიცებ | scio | ვიცი |
| animadverto | ვამჩნევ | intellego | მესმის |
| doceo | ვასწავლი | duco, opinor | მგონია |
| respondeo | ვუპასუხებ | nuntio | ვაუწყებ |
| iuro | ვფიცავ | iubeo | ვბრძანებ |
| ignoro, nescio | არ ვიცი | trado | მოვუთხრობ |

Accusativus cum infinitivo დაისმის აგრეთვე ზოგიერთ გამოთქმასთან: constat, notum est „ცნობილია“, apparet „ცხადია“, oportet „საჭიროა“, decet „შეჰფერის“, necesse est „აუცილებელია“.

თუ acc. c. inf.-ის ქვემდებარე III პირის ნაცვალსახელია და მმართველი წინადადების ქვემდებარეც არის, მაშინ III პირის ნაცვალსახელად გამოიყენება უკუქცევითი ნაცვალსახელი se (აკუზატივუსში). ხოლო თუ მმართველი და დამოკიდებული წინადადებების ქვემდებარეები სხვადასხვაა, acc. c. inf.-ში იქნება illum, eum. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი acc. c. inf.-ში აკუზატივუსში დაისმის.

**Patere tua consilia non sentis** (Cic.)?

**ვერ გრძნობ, რომ შენი განზრახვა გამოაშკარავებულია?**

...qui iam **fatetur se esse hostem** (Cic.).

**ვინაც უკვე თვით აღიარა, რომ მტერია.**

**Constat**, ad salutem civium **inventas esse leges** (Cic.).

**ცნობილია, რომ კანონები მოქალაქეთა საკეთილდღეოდ არის მოგონილი.**

**Tempus est me** iam hinc **abire** (Cic.).

**ჩემი აქედან წასვლის დროა.**

**Legem brevem esse oportet** (Sen.).

**კანონი მოკლე უნდა იყოს.**

Caesari cum id **nuntiatum esset, eos** per provinciam nostram **interfecere conari** (Caes.)...

კეისარს როცა **აუწყეს, რომ ისინი** (ჰელვეციელები) ჩვენს პროვინციაზე გზად **გავლას აპირებდნენ**...

როლესაც ინფინიტივუსი მიმღეობისა და „ყოფნა“ ზმნისაგან შედგება, esse ხშირად გამოიტოვება.

Legati **dixerunt**, post diem tertium ad Caesarem **se reversuros** (Caes.).

ლეგატებმა **თქვეს**, რომ **ისინი** (ლეგატები) სამი დღის შემდეგ კეისართან **დაბრუნდებოდნენ**.

Infinitivus futuri activi-სა და passivi-ს ნაცვლად ხშირად იხმარება fore ut (ან futurum esse ut), სადაც ზმნა კავშირებით კილოში დაისმის.

Illud tibi **affirmo, fore ut** ab omnibus **collaudere** (-ris) (Cic.)

fore ut collaudere = te collaudatum iri

**გარწმუნებ, რომ შენ ყველა შეგაქებს.**

**Spero, fore ut contingat** id nobis (Cic.).

**იმედი მაქვს, ჩვენ ამას შევძლებთ.**

ზოგჯერ fore ut-ის ნაცვლად იხმარება posse და infinitivus praesentis.

...regno occupato per tres potentissimos ac firmissimos populos totius Galliae sese potiri posse sperant (Caes.).

... სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ იმედოვნებდნენ, რომ თვითონ დაეუფლებოდნენ მთელი გალიის სამი უძლიერესი და უმამაცესი ხალხის წყალობით.

## Nominativus cum infinitivo

§ 235. Nom. c. inf. დამატებითი დამოკიდებული წინადადების სახეა, რომელშიც ლოგიკური ქვემდებარე სახელობითშია, შემასმენელი განუსაზღვრელ ფორმაში. მმართველ წინადადებაში ზმნა ენებით გვარშია და გამოხატავს „ფიქრს", „თქმას", „გრძნობას" და მისთ.

Versiculos in me narratur scribere Cinna (Mart.).

ამბობენ, რომ კინამ ლექსი დაწერა ჩემზე.

si permanebunt, magis mihi videntur vota facturi contra rem publicam quam arma laturi (Cic.).

ან თუ დარჩებიან, მე ვფიქრობ, სახელმწიფოს წყელვა-კრულვას უფრო დაუწყებენ, ვიდრე იარაღს მოჰკიდებენ ხელს.

ut iam ista non modo homines, sed ne pecudes quidem mihi passurae esse videantur (Cic.).

... მე მგონია, ამას ახლა, არამც თუ ადამიანი, პირუტყვიც კი ვერ მოითმენდა.

## Dativus cum infinitivo

§ 236. უპირო ზმნასთან licet „ნებადართულია", „შეუძლია" დაისმის Dativus cum infinitivo (იშვიათად acc. c. inf.). ასეთი კონსტრუქცია ქვემდებარეს ენაცვლება წინადადებაში.

Iis ingratis esse non licet (Cic.).

ისინი არ უნდა იყვნენ უმადურნი.

## ირიბი სიტყვა (Oratio obliqua)

§ 237. პირდაპირია სიტყვა, თუ მთქმელის სიტყვები I პირის ფორმითაა გადმოცემული. ირიბია სიტყვა, თუ მთქმელის სიტყვებს სხვა პირი გადმოსცემს. ამრიგად acc. c. inf., რომელიც „თქმის" გამომხატველ ზმნასთანაა დაკავშირებული, ირიბი სიტყვაა.

ირიბი სიტყვის გადმოსაცემად საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

ა) პირდაპირი სიტყვის მმართველი წინადადება ირიბ სიტყვაში გადმოიცემა acc. c. inf.-თი, როცა წინადადება თხრობითია, ან კითხვითი, რომელიც I ან II პირის ფორმასთან არის.

ბ) თუ კითხვა ან ბრძანება II პირს ეხება, ირიბი სიტყვის ზმნა კავშირებითი კილოთი გადმოიცემა.

გ) თუ პირდაპირი სიტყვის მმართველ წინადადებაში კავშირებითი კილოა, ირიბ სიტყვაშიც კავშირებითი კილო იქნება.

დ) პირდაპირი სიტყვის დამოკიდებული წინადადების ზმნა ირიბ სიტყვაში კავშირებით კილოში დგება consecutio temporum-ის წესით.

ე) პირდაპირი სიტყვის I პირი ირიბ სიტყვაში სახელობით ბრუნვაში ipse-თი გადმოიცემა, ირიბ ბრუნვებში კი — sui, sibi, se-თი. კუთვნილებით ნაცვალსახელებს: meus, noster-ს ირიბ სიტყვაში ენაცვლება suus. II პირი ირიბ სიტყვაში ille ან is ნაცვალსახელით გადმოიცემა.

3) თუ ირიბ სიტყვაში პირობითი წინადადება შედის, casus realis და potentialis-ის აპოდოსისი acc. c. inf.-თი გადმოიცემა, ან კავშირებითი კილოთი, პროტასისში კი იქნება imperfectum coniunctivi (praesens coniunctivi) ან Plusquamperfectum coniunctivi. Casus irrealis-ის პროტასისი უცვლელი რჩება, აპოდოსისში კი imperfectum და plusquamperfectum coniunctivi-ს ნაცვლად იქნება -urus fuisse.

Ei legationi Ariovistus respondit: si quid ipsi a Caesare opus esset, sese ad eum venturum fuisse, si quid ille se velit, illum ad se venire oportere. Praeterea se neque sine exercitu in eas partes Galliae venire audere, quas Caesar possideret, neque exercitum... in unum locum contrahere posse (Caes.).

ამ ელჩებს არიოვისტუსმა უპასუხა, რომ, თუ მას კეისრისაგან რაიმე დასჭირდებოდა, ის (არიოვისტუსი) მივიდოდა მასთან, ხოლო თუ კეისარს მოესურვებოდა რაიმე, იგი (კეისარი) უნდა მისულიყო მასთან. გარდა ამისა, ის (არიოვისტუსი) ვერ ბედავს უჯაროდ გალიის იმ ნაწილებში მისვლას, რომლებსაც კეისარი ფლობს, არც ის შეუძლია ერთად შეყაროს ჯარი.

acc. c. inf.-თი აქ გადმოცემულია სხვათა სიტყვა.

...sese ad eum venturum fuisse და illum... venire oportere.

ეს წინადადებები ამავე დროს აპოდოსისებია. პროტასისებია:

si quid ipsi a Caesare opus esset (კავშირებით კილოში).

si quid ille se velit (კავშირებით კილოში).

se... venire audere სხვათა სიტყვა acc. c. inf.-თია გადმოცემული, რომელზედაც დამოკიდებულია განსაზღვრებითი წინადადება ...quas Caesar possideret, რომლის ზმნა ირიბ სიტყვაში კავშირებით კილოთი გადმოიცემა.

## Attractio modi (sive assimilatio modi)

§ 238. კავშირებითი კილო დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება იყოს თხრობითი კილოს ნაცვლად მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთ მმართველ წინადადებას უკავშირდება, რომლის ზმნა ან განუსაზღვრელი კილოა, ან კავშირებითი.

Nemo adhuc inventus est, cui, quod haberet, esset satis (Cic.).
არავინ მოიძებნება ისეთი (ადამიანი), ვისაც აკმაყოფილებდეს, რაცა აქვს.
esset-ის ანალოგიით haberet-იც კავშირებითშია.

Furetur, quod queat (Plaut.).
მოიპაროს რაც შეუძლია.
queat-ის კავშირებითი furetur (-ris)-ის ანალოგიით.

### ირიბი კითხვა (Quaestio obliqua)

§ 239. კითხვა, რომელიც დამოუკიდებელი წინადადებით გადმოიცემა, არის პირდაპირი, ხოლო კითხვა, რომელიც დამოკიდებული წინადადებით არის გამოხატული — ირიბია. ირიბი კითხვა მმართველ წინადადებას უკავშირდება კითხვითი ნაცვალსახელით, ზმნისართით, ნაწილაკით. quis? ვინ?" quid? „რა?" ubi? „სად" ? quando? „როდის?" num? „ნუთუ?" nonne? „ნუთუ არ?"

მმართველი წინადადება შეიცავს ზმნებს, რომლებიც გამოხატავენ „შეკითხვას", „ლაპარაკს", „ხედვას" და მისთ. ირიბ კითხვაში ზმნა კავშირებითში დაისმის Consecutio temporum-ის წესით. პირდაპირ კითხვაში კი ზმნა ჩვეულებრივ დაისმის, როგორც დამოუკიდებელ წინადადებაში.

პირდაპირი კითხვა

Quousque tandem abutere, Catilina, patientia nostra? (Cic.).
სანამ უნდა ისარგებლო, კატილინა, ჩვენი მოთმინებით?

ირიბი კითხვა

... neque, **id quare fieri non possit**, me audire volent, intellego? (Cic.)
ვერ ეხვდები, **რა უშლით ხელს**, რომ ჩემი შეისმინონ?

### სუპინუმი (Supinum)

§ 240. სუპინუმი არის ნაზმნარი სახელი, რომელსაც ზმნის თვისებებიც აქვს და სახელისაც.

I სუპინუმი მიზნის გამოსახატავად იხმარება მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან. მას შეიძლება ახლდეს პირდაპირი დამატებაც.

Spectatum veniunt, veniunt spectentur ut ipsae (Ov.).
**საცქერლად** მოდიან, მოდიან (იმისთვისაც) რომ მათაც უცქირონ.
რა მიზნით მოდიან? საცქერლად.

Aedui legatos ad Caesarem mittunt **rogatum auxilium** (Caes.).
ედუები ელჩებს გზავნიან კეისართან **დახმარების სათხოვნელად**.
rogatum — (სათხოვნელად)I სუპინუმი
auxilium — (დახმარების) პირდაპირი დამატება.

II სუპინუმი -tu (-su) ბოლოკიდურიანი ფორმით არის წარმოდგენილი და შეიძლება გაგებულ იქნას როგორც Ablativus limitationis (განსაზღვრების მოქმედებითი) ან Dativus finalis (მიზნის მიცემითი).

კლასიკურ ლათინურში ძირითადად შემდეგი ზმნებიდან ნაწარმოები II სუპინუმის ფორმებია დადასტურებული: factu „გასაკეთებლად", dictu „სათქმელად", visu „შესახედავად", intellectu „შესაცნობად" „გასაგებად", memoratu „მოსახსენებლად", cognitu „შესაცნობად" aspectu „საცქერლად", „დასანახავად".

არქაულ ლათინურში II სუპინუმი -ui დაბოლოებითაც გვხვდება, რომელიც მხოლოდ დატივუსის ბოლოკიდურად უნდა გავიგოთ. პლავტეს აქვს ასეთი გამოთქმა: lepida memoratui (Bac., 62) „სასიამოვნო საამბობლად".

ქართულად ორივე სუპინუმი, ძირითადად, მყოფადის მიმღეობის ვითარებითი ბრუნვით გადმოდის. ძველ ქართულში მას მასდარის ვითარებითბრუნვიანი ფორმა შეესატყვისება, რომელიც ინფინიტივუსის თავისებურ სახედ არის მიჩნეული[1]. ქართული მასდარის ვითარებითბრუნვიანი ფორმისა და I სუპინუმის მსგავსებაზე მიუთითებენ მ. ჯანაშვილი და დეეტერსი[2].

ჩვენი აზრით, მასდარის ვითარებითბრუნვიან ფორმებთან მსგავსებას II სუპინუმიც ამჟღავნებს. მოვიტანთ მაგალითებს „ვეფხისტყაოსნიდან":

ებურნეს მოშლით რიდენი, ფასითა **თქმად** საჭირონი (123).
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა **სრვად** დაუფარავი (312).
დარბაზს ვიშვებდი, დამეესო ცეცხლი **წვად** მოუთმინები (389).
კარაესა შევე, სასიძო ვითა წვა, ზარმაც-**თქმად** ენით (557).

სუპინუმი იშვიათად იხმარება არქაულ ლათინურში, კლასიკურში შედარებით მეტია, გვიანკლასიკურში კი თითქმის აღარ გვხვდება. სუპინუმი წარმომავლობითაც და ფუნქციითაც ჰგავს დანარჩენ ნაზმნარ სახელს: გერუნდიუმს და ინფინიტივუსებს. გერუნდიუმის მსგავსად სუპინუმს აქვს რამდენიმე ბრუნვა და ამდენად სახელის თვისებებს ავლენს. ინფინიტივუსის მსგავსად I სუპინუმსაც შეუძლია მართოს პირდაპირი ობიექტი. ამიტომაც ყველაზე უფრო სუპინუმებს ერთ-ერთი ინფინიტივუსი და გერუნდიუმი ენაცვლება. მაგალითად, მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან: festino, propero, maturo, contendo „მივიჩქარი" კლასიკურ ლათინურში, ჩვეულებრივ, დადასტურებულია ინფინიტივუსი I სუპინუმის ნაცვლად.

facilis, difficilis და iucundus-თან II სუპინუმის ნაცვლად ხშირად ინფინიტივუსი ან ad წინდებულიანი გერუნდიუმი გვხვდება.

---

[1] დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972.
[2] მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1905, გვ. 59. G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 221.

ჩვენი აზრით, სუპინუმებმა და გერუნდიუმმა ვერ მოასწრეს ინფინიტივუსის ფორმებად ჩამოყალიბება, რადგან ისინი არ შეჩერებულან რომელსამე ბრუნვაზე. ამდენად, სახელის გაგება არ დაუკარგავთ. შესაძლებელია, I სუპინუმი მართლაც გატოლებოდა ინფინიტივუსს, რასაც ალბათ II სუპინუმის გაქრობა მოჰყვებოდა. მაგრამ სუპინუმი არ იყო აქტიური ფორმა და შემდგომაც აღარ განვითარებულა. მის ფუნქციას ასრულებდნენ გერუნდიუმი, ინფინიტივუსი, აწმყოს მიმღეობა, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება და სხვ.

### გერუნდიუმი (Gerundium)

§ 241. გერუნდიუმი ნაზმნარი სახელია, რომელსაც ოთხი ბრუნვა აქვს: მხ. რ. ნათესაობითი, მიცემითი, ad წინდებულიანი აკუზატივუსი და აბლატივუსი. სახელობითი არა აქვს. არც მრავლობითი რიცხვი გააჩნია.

ნათესაობითი იხმარება Genitivus obiectivus-ის მნიშვნელობით causa და gratia-სთან და ისეთ ზედსართავებთან, რომლებიც ნათესაობით ბრუნვას მოითხოვენ.

verba putandi — ფიქრის (გამომხატველი) ზმნა

causa studendi — მეცადინეობის გამოისობით

Cupidus scribendi — წერის მოყვარული

Homines **bellandi cupidi** magno dolore afficiebantur (Caes.).

**ომის ჟინით** (აღვსილნი) ადამიანები ამას დიდი ტკივილით განიცდიდნენ.

მიცემითი ბრუნვა იხმარება Dativus finalis-ის მნიშვნელობით. იგი კლასიკურ ლათინურში იშვიათად გვხვდება.

**pugnando** locum eligere — **ბრძოლისათვის** ადგილის შერჩევა

ბრალდებითი ბრუნვა, უმეტესად, ad წინდებულიანი ფორმით იხმარება და მიზანს გამოხატავს.

Vivis non **ad deponendam**, sed **ad confirmandam** audaciam (Cic.).

ცოცხლობ, არა იმიტომ, რომ **თავი ანებო** თავხედობას, არამედ უფრო იმიტომ, **რომ გააძლიერო**.

მოქმედებითი ბრუნვა იხმარება Ablativus instrumenti-ს მნიშვნელობით, აგრეთვე ex, de, in წინდებულებით.

Gutta cavat lapidem non vi, sed saepe **cadendo** (Ov.).

წვეთი ქვას ხვრეტს არა ძალით, არამედ ხშირი **დაცემით**.

### გერუნდივუმი (Gerundivum)

§ 242. გერუნდივუმი არის ვნებითი გვარის მიმღეობა. ე. ი. ნაზმნარი ზედსართავი სახელი, რომელიც იბრუნვის I-II კანკლედობის ზედსართავი სახელების მსგავსად. გამოხატავს აუცილებლად შესასრულებელ ან მიზანდასახულ მოქმედებას.

თუ გერუნდიუმს პირდაპირი დამატება ახლავს, მაშინ იგი გერუნდივუმით გადმოიცემა. ე. ი. დამატება (აკუზატივუსში დასმული სახელი) უთანხმდება ბრუნვაში, რიცხვსა და სქესში მსაზღვრელს (გერუნდივუმს).

Cupiditas liberandi patriam

სამშობლოს განთავისუფლების წყურვილი

ეს არის გერუნდივუმი, რომელიც გერუნდიუმით გადმოიცა. გერუნდივუმიან კონსტრუქციას უპირატესობა ენიჭება გერუნდიუმიან ფორმებთან. Cupiditas **liberandae patriae** სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: გასათავისუფლებელი სამშობლოს წყურვილი

გერუნდივუმი გამოიყენება აღწერილობით ფორმებში (Coniugatio periphrastica passiva). გამოხატავს აუცილებლად მოსახდენ, შესასრულებელ მოქმედებას.

Hic liber **legendus** est.

ეს წიგნი **წასაკითხია.**

გერუნდიუმი ხშირად უპირო ფორმებთანაც იხმარება.

pugnandum est — საჭიროა ბრძოლა

eundum est — საჭიროა წასვლა

### მიმღეობა (Participium)

§ 243. მიმღეობა ნაზმნარი სახელია, რომელსაც აქვს როგორც ზმნის, ასევე ზედსართავი სახელის თვისებები.

მიმღეობას აქვს დროისა და გვარის ფორმები:

ornans შემამკობელი — აწმყოს მოქმედებითი გვარის მიმღეობა

ornatus შემკობილი — ნამყოს ვნებითი გვარის მიმღეობა

ornaturus შემამკობელი — მყოფადის მოქმედებითი გვარის მიმღეობა

ornandus შესამკობელი — მყოფადის ვნებითი გვარის მიმღეობა

მიმღეობა ზმნის პირველი ფორმების მსგავსად ითანხმებს დამატებას:

lego librum ვკითხულობ წიგნს

librum legens წიგნის წამკითხველი

აწმყოს მიმღეობა გამოხატავს მოქმედებას, რომელიც თანადროულია მმართველი წინადადების ზმნის მოქმედებისა. ნამყოს მიმღეობა გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებს მმართველი წინადადების ზმნის მოქმედებას.

მიმღეობას აქვს ზედსართავი სახელის თვისებები. იგი იცვლება სქესის, რიცხვისა და ბრუნვის მიხედვით:

liber legendus — წასაკითხი წიგნი

libri legendi — წასაკითხი წიგნები

epistula legenda — წასაკითხი წერილი

მიმღეობა იხმარება არსებითი სახელის მსაზღვრელად. ზოგჯერ არსებითი სახელის მნიშვნელობითაც გვხვდება.

| | |
|---|---|
| homo sapiens | გონიერი ადამიანი |
| sapiens | ბრძენი |

## Participium coniunctum

§ 244. Participium coniunctum იხმარება არსებითი სახელის მსაზღვრელად. ასეთი მიმღეობა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ფარდია.

Qui ... spectat et audit dulce ridentem (Cat).

ვინც ... გიყურებს (შენ) და გისმენს ტკბილად **მომღიმარს.**

Participium coniunctum იხმარება როგორც შემოკლებული დამოკიდებული წინადადება (მიზეზის, დროის, ვითარების, პირობითი, დათმობითი).

Tomeo Danaos et dona ferentes (Verg.).

მეშინია დანაელებისა, თუნდაც **საჩუქარი მოჰქონდეთ.**

Orgetorigem damnatum poenam sequi oportebat, ut igni cremaretur (Caes.).

თუ ორგეტორიქსი **დაისჯებოდა,** იგი ცეცხლში უნდა დაეწვათ.

## Ablativus absolutus

§ 245. Ablativus absolutus ისეთი კონსტრუქციაა, რომელშიც მიმღეობა (ლოგიკური შემასმენელი) და მასთან შეთანხმებული სახელი (ლოგიკური ქვემდებარე) მოქმედებით ბრუნვაში დგას. ეს არის შემოკლებული გარემოებითი წინადადება (დროის, მიზეზის, ვითარების) პირობითი ან დათმობითი. დამოუკიდებელ აბლატივუსში შემასმენელი შეიძლება გამოიხატოს:

ა) აწმყოს მიმღეობით, თუ მმართველი და დამოკიდებული წინადადებების ზმნებით გადმოცემული მოქმედება თანადროულია და ბ) ნამყოს მიმღეობით, თუ დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება წინ უსწრებს მმართველი წინადადების ზმნით გადმოცემულ მოქმედებას.

Pythagoras, Tarquinio Superbo regnante, in Italiam venit (Lig.).

**ტარკვინიუს ამაყის მეფობის დროს** პითაგორა იტალიაში ჩავიდა.

Uno, mehercule, Catilina exhausto, levata mihi et recreata res publica videtur (Cic.).

მე მგონია: დამშვიდდება და განახლდება რესპუბლიკა, ვფიცავ, მარტოოდენ **კატილინასაც რომ შევუკრათ ხელ-ფეხი.**

ზოგჯერ დამოუკიდებელ აბლატივუსში არა გვაქვს მოქმედებით ბრუნვაში დასმული მიმღეობა. ლოგიკური ქვემდებარეცა და შემასმენელიც სახელის მოქმედებითი ბრუნვით არიან წარმოდგენილი. ეს მაშინ ხდება, როცა შედგენილი შემასმენელი გვაქვს. ზმნური ნაწილი არ ჩანს. სახელადი ნაწილი აბლატივუსში დგას.

Is **Marco Messala et Marco Pisone consulibus** regni cupiditate inductus coniurationem nobilitatis fecit (Caes.).

ის, სამეფო ხელისუფლების წყურვილით ანთებული, **მარკო მესალასა და მარკო პიზოს კონსულობის დროს**, კეთილშობილთა შეთქმულებას აწყობს.

დამოუკიდებელი აბლატივუსი ქართულად შეიძლება შემოკლებულად გადმოვცეთ, როგორც ეს უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, ან ვრცლად, რისთვისაც ჯერ უნდა აღვადგინოთ კავშირი (როდესაც, რადგან, თუმცა, როგორც კი), შემდეგ აბლატივუსში დასმული სახელი სახელობითში გადავიყვანოთ და მივიჩნიოთ ქვემდებარედ.

Obsecrato sole, tenebrae factae sunt repente (Cic.).

**მზის დაბნელების შემდეგ** უცებ წყვდიადი ჩამოწვა.

(მას შემდეგ, რაც მზე დაბნელდა... როგორც კი მზე დაბნელდა.)

### რომაული კალენდარი

§ **246**. თავდაპირველად რომაელებს მთვარის წელიწადი ჰქონდათ, რომელიც ათი თვისაგან შედგებოდა და იწყებოდა მარტის თვით. VII-VI სს. ჩვ. წ.-მდე ეტრუსკებისაგან გადმოიღეს თორმეტთვიანი წელიწადი, რომელშიც იანვარი და თებერვალი დეკემბრის შემდეგ მოდიოდა.

mensis თვე Martius მარტი (ღმერთ მარსის პატივსაცემად)

Aprilis აპრილი
Maius მაისი (იტალიური ღვთაების მაიუსის სახელისაგან)
Iunius ივნისი (ქალღმერთ იუნოს პატივსაცემად)
Quintilis მეხუთე, შემდგომში Iulius (იულიუს კეისრის პატივსაცემად)
Sextilis მეექვსე, შემდგომში Augustus (იმპერატორ ავგუსტუსის პატივსაცემად)
September სექტემბერი (ე. ი. მეშვიდე)
October ოქტომბერი (ე. ი. მერვე)
November ნოემბერი (ე. ი. მეცხრე)
„ December დეკემბერი (ე. ი. მეათე)

შემდგომში ამას დაემატა mensis Ianuarius — იანვარი (ღმერთ იანუსის პატივსაცემად, რომელიც ორსახოვნად ჰყავდათ წარმოდგენილი და

ითვლებოდა ყოველგვარი დასაწყისის ღმერთად) და mensis Februarius — თებერვალი (განწმენდის თვე, februare „განწმენდა“). მთვარის წელიწადი 355 დღისაგან შედგებოდა, რასაც უმატებდნენ კიდევ ერთ თვეს mensis intercalariis. 46 წ. ჩვ. წ.-მდე იულიუს კეისარმა შემოიღო მზის წელიწადი ეგვიპტელი ასტრონომის სოსიგენის რჩევით. დაწესდა ოთხწლიანი ციკლი (365+365+365+366=1461 დღე).

აპრილი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი იყო 30 დღიანი; იანვარი, მარტი, მაისი, ივლისი, აგვისტო, ოქტომბერი, დეკემბერი — 31 დღიანი. თებერვალი სამი წლის მანძილზე 28 დღიანი იყო, მეოთხე წელს კი — — 29 დღიანი. წლის დასაწყისი კეისარმა I იანვარს გადმოიტანა. ეს კალენდარი ე. წ. „იულიური“ ანუ „ძველი სტილი“ ძალაში იყო ჩვენთან 1918 წლამდე. შეიცვალა იგი ლენინის დეკრეტით, როცა დაწესდა „ახალი სტილი“, „გრიგორიული“ კალენდარი (რომელიც პაპმა გრიგოლ XIII შემოიღო 1582 წ. და რომელიც გავრცელებული იყო ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში).

როგორ აღნიშნავდნენ თვის დღეებს რომაელები? ყოველ თვეს ჰქონდა სამი მთავარი დღე: Kalendae (ან Calendae) — კალენდა, თვის პირველი დღე. თავდაპირველად იგი აღნიშნავდა ახალი მთვარის პირველ დღეს (calare „მოწვევა“). უმაღლესი ქურუმი მოიწვევდა მრევლს და აუწყებდა ახალი მთვარის დადგომას. მე-13 ან მე-15 დღე იყო Idus (IV კანკლედობის მრ. რ., ნათ. Iduum) იდები, სავსე მთვარის დღე. იგი უნდა მომდინარეობდეს ეტრუსკული სიტყვიდან iduare „გაყოფა“ (მე-15 დღე ე. ი. თვის ნახევარი).

მე-5 ან მე-7 დღე იყო Nonae „ნონები“, მთვარის I მეოთხედის დღე. nonus „მეცხრე“, ე. ი. მეცხრე დღე იდებამდე (ნონებისა და იდების ჩათვლით). 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13 7,8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15
ნონები იდები ნონები იდები

! მარტში, მაისში, ივლისში, ოქტომბერში იდები მე-15 დღეზე მოდიოდა, ნონები — მე-7-ზე. დანარჩენ თვეებში იდები იყო მე-13 დღეს, ნონები მე-5 დღეს.

ამ მთავარ დღეებს თვის სახელწოდება ზედსართავად ემატებოდა.

Kalendis Ianuariis (Abl. temporis) იანვრის კალენდა
Idibus Martiis მარტის იდები
Nonis Decembris დეკემბრის ნონები

თუ აღსანიშნი იყო მთავარი დღის წინა დღე, ჯერ დაისმოდა Pridie „წინა დღე“, შემდეგ აკუზატივუსში დღის სახელწოდება.

pridie Idus Novembres — ნოემბრის იდების წინა დღე

დანარჩენი დღე კი იმის მიხედვით აღინიშნებოდა, თუ რამდენი დღე იყო დარჩენილი უახლოეს მთავარ დღემდე, თვით ამ დღისა და მთავარი დღის ჩათვლით. მაგ. 16 იანვარი. უახლოესი მთავარი დღე არის თებერვ-

ლის კალენდა. დარჩენილია დღეები: 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 1=17 დღე.

ante diem septimum decimum Kalendas Februarias

ante „წინ", „ადრე", შემდეგ მოდის diem „დღე" აკუზატივუსში, შემდეგ რიგობითი რიცხვითი სახელი აკუზატივუსში და ბოლოს მთავარი დღის სახელწოდება აკუზატივუსში. შემოკლებით: a. d. XVII Kal. Febr. წესით ასეთი წყობა უნდა ყოფილიყო.

die septimo decimo ante Kalendas Februarias

17 დღით ადრე თებერვლის კალენდებამდე.

შემდეგ ante გადმოვიდა წინ და ამიტომ მოქმედებითის ნაცვლად (septimo decimo) ბრალდებითში დაისვა ყველა სახელი. ante diem ზოგჯერ გამოიტოვება.

ყოველ მეოთხე წელს თებერვალს ემატებოდა დღე 23-სა და 24-ს შორის. ე. ი. მარტის იდებამდე ექვსი დღით ადრე. მას უწოდებდნენ ante diem bis sextum Kalendas Martias — განმეორებითი (მეორე) მეექვსე დღე მარტის კალენდებამდე. ნაკიან წელიწადს უწოდებდნენ bi(s)sextilis.

### კვირის დღეები

§ 247. რომაელებს თავდაპირველად რვადღიანი კვირა ჰქონდათ. შემდეგ ძველი ებრაელებისაგან შეითვისეს შვიდდღიანი კვირა, რომელიც გავრცელდა დასავლეთ ევროპაში.

| | | ქართული წარმართული სახელწოდებანი |
|---|---|---|
| ორშაბათი | Lunae dies მთვარის დღე | მთვარისა |
| სამშაბათი | Martis dies მარსის დღე | არიასი |
| ოთხშაბათი | Mercuri dies მერკურის დღე | ერმისა |
| ხუთშაბათი | Iovis dies იუპიტერის დღე | აფროდიტისა |
| პარასკევი | Veneris dies ვენუსის დღე | დიოსისა |
| შაბათი | Saturni dies სატურნუსის დღე | კრონოსისა |
| კვირა | Solis dies მზის დღე | მზის დღე |

დღე-ღამეს ჰყოფდნენ ორ ნაწილად: მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე. თითოეულში იყო 12-12 საათი.

სამხედრო ბანაკებში შემოღებული იყო ღამის დაყოფა ოთხ ვიგილიად (vigilia — ღამის მცველის მორიგეობა). Prima vigilia — 6 საათიდან 9 საათამდე, secunda vigilia — 9 საათიდან 12 საათამდე, tertia vigilia — — 12 საათიდან 3 საათამდე, quarta vigilia — 3 საათიდან 6 საათამდე.

§ 248. წელთაღრიცხვას რომაელები კონსულების მიხედვით ახდენდნენ. ჰქონდათ კონსულთა სიები (fasti consulares). ყოველწლიურად ორ-ორ კონსულს ირჩევდნენ. წელიც კონსულთა სახელების მიხედვით აღინიშნებოდა.

Orgetorix Marco Messala et Marco Pisone consulibus... coniurationem... fecit (Caes.).

ორგეტორიქსმა მარკო მესალასა და მარკო პიზოს კონსულობის დროს... შეთქმულება... მოაწყო.

ავგუსტუსის დროიდან (16 წ. ჩვ. წ.-მდე) წელთაღრიცხვა წარმოებდა ქ. რომის დაარსებიდან ab urbe condita, შემოკლებით ab U. c. ან a. u. c ე. ი. 753 წ. ჩვ. წ.-მდე.

### რომაული გვარები და სახელები

§ 249. რომაელ მოქალაქეთა გვარი და სახელი სამი ნაწილისაგან შედგებოდა:

| | |
|---|---|
| praenomen | საკუთარი სახელი |
| nomen | გვარი, რომელიც -ius ზე ბოლოვდებოდა |
| cognomen | მეტსახელი |
| Marcus Tullius Cicero | მარკუს ტულიუს ციცერონი |
| Publis Obidius Naso | პუბლიუს ოვიდიუს ნასონი |

ქალების სახელების ნაცვლად გამოიყენებოდა გვარები მდედრობით სქესში. მაგ.

Tullia — ტულია, ციცერონის ქალიშვილი

Iulia — იულია, კეისრის ქალიშვილი

თუ ოჯახში ორი ან მეტი ქალიშვილი იყო, უფროსს ეძახდნენ maior-ს, უმცროსს minor-ს, მესამეს tertia-ს და ა. შ.

Iulia maior, Iulia minor, Iulia tertia...

Praenomen სულ 18 იყო:

| | | |
|---|---|---|
| A. Aulus | L. Lucius | Q. Quintus |
| App. Appius | M. Marcus | Sex. Sextus |
| G. Gaius | M; Manius | Ser. Servius |
| Cn. Cnaeus | Mam. Mamercus | Sp. Spurius |
| D. Decimus | N. Numerius | T. Titus |
| K. Kaeso | P. Publius | Tib. Tiberius |

## ფულის, წონის, ზომის ერთეულები

§ 250. ფულის ერთეული: სპილენძის ფული as (assis), ვერცხლის ფული denarius=10 as, denarius-ის ნახევარი quinarius, მეოთხედი sestertius, რომელსაც ზოგჯერ მონეტას nummus უწოდებდნენ.

სიგრძის საზომი: pes (296 მმ), cubitus (45 სმ), passus (1.50 მ), pes quadratus (0, 088მ²), scripulum (100 pedes quadrati), actus (144scripula), iugerum (2 actus).

წონის ერთეული: libra (327 გ). იგი იყოფოდა 12 უნციად — uncíae, drachma=$^1/_8$ უნცია, scripulum=$^1/_3$ დრაჰმა.

ზომის ერთეული: congius (3,30 ლ), sextarius = კონგიუსის $^1/_6$, quartarius=$^1/_8$.

## რომაული მეტრიკა

§ 251. კლასიკური ლათინური ანუ რომაული ლექსთწყობა, ისევე როგორც ძველი ბერძნული, მეტრულ სისტემას განეკუთვნება. იგი დამყარებულია მოკლე და გრძელ ხმოვანთა შემცველი მარცვლების კანონზომიერ თანამიმდევრობაზე. თუ ქართული ლექსის რიტმულობისათვის ძირითადი მარცვალთა რაოდენობაა, ლათინურ ლექსში ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგ. ე. წ. დაქტილური ჰექსამეტრით გამართულ ლექსში ზოგიერთ ტაეპში 17 მარცვალია, ზოგში — 16, ზოგში 15 ან 14, შეიძლება 13 მარცვალიც იყოს. მაგრამ სავალდებულოა, რომ ყველა ტაეპში იყოს ე. წ. მორათა ერთი და იგივე რაოდენობა. მორების რაოდენობას კი ქმნიან გრძელი და მოკლე მარცვლები.

ლათინური ლექსის ერთეულებია: მარცვალი, ტერფი, ტაეპი. მარცვალი შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე. გრძელი ხმოვნის შემცველი მარცვალი გრძელია, მოკლე ხმოვნისა — მოკლე.

ტერფი შედგება მარცვლებისაგან. იგი შეიძლება იყოს ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი.

იამბი ⏑ —  დაქტილი — ⏑ ⏑

ტროქე — ⏑  ანაპესტი ⏑ ⏑ —

ყოველი ტერფი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთ ნაწილს მოუდის მეტრული მახვილი, ხმის აწევა ანუ არსისი, ხოლო მეორეზე ხდება ხმის დადაბლება, დაწევა, რასაც თესისი ეწოდება. მეტრული მახვილის ანუ არსისის ნიშანი არის ′ ictus.

### დაქტილური ჰექსამეტრი

§ 252. დაქტილური ჰექსამეტრი ექვსი ტერფისაგან შედგენილი ტაეპია. თვით ტერფი შედგება სამი მარცვლისაგან, რომელთაგან ერთი გრძელია, დანარჩენი ორი — მოკლე. მეექვსე ტერფი შეკვეცილია. ე. ი. ორი

მარცვლისაგან შედგება. —⏑ ტროქე ან — — სპონდე. დაქტილური ჰექსამეტრის სქემა ასეთია:

_ ⏑⏑ _ ⏑⏑ _ ⏑⏑ _ ⏑⏑ _ ⏑⏑ _ ⏑

ყოველი გრძელი მარცვალი მუსიკალურად თავისი ოდენობით უდრის ორ მოკლე მარცვალს. იმ დროს, რომელიც ორი მოკლე მარცვლის წარმოსათქმელად არის საჭირო, ეწოდება მორა mora (დახანება). მოკლე მარცვალი ერთი მორის ტოლია, გრძელი კი — ორი მორისა. ლათინურსა და ბერძნულ ლექსს შეუძლია დაქტილში ორი მოკლე მარცვალი შეცვალოს ერთი გრძელი მარცვლით და მიიღოს სპონდე. ეს შერაცვლება შეიძლება ყველა ტერფში (მეხუთეში ძალზე იშვიათად).

ამგვარად, დაქტილური ჰექსამეტრის რამდენიმე სახესხვაობა შეიძლება მივიღოთ.

— — — ⏑⏑ — ⏑⏑ — ⏑⏑ — ⏑⏑ —⏑
— — — — — ⏑⏑ — ⏑⏑ — ⏑⏑ — ⏑
— — — — — — — ⏑⏑ — ⏑⏑ — ⏑
— — — — — — — — — — ⏑⏑ — ⏑

ხმის მეტრული ამაღლება, არსისი, ყოველთვის ტერფის პირველ ნაწილზე მოდის.

მარტო სპონდეური ტერფებით გამართული ტაეპი ძალზე იშვიათია. ნაკლებად გვხვდება აგრეთვე წმინდა დაქტილური ტერფებით გამართული ტაეპიც.

დაქტილური ჰექსამეტრი განიკვეთება ცეზურით. ცეზურა შეიძლება იყოს მესამე ტერფის გრძელი მარცვლის შემდეგ ე. წ. ვაჟური — პენთემიმერისი (ხუთი ნახევარტერფიანი).

Qúidquid id ést. timeó | Danaós et dóna feréntes (Verg.).

მაინც მეშინია დანაელებისა, თუნდაც საჩუქარი მოჰქონდეთ.

ცეზურა შეიძლება იყოს მეოთხე ტერფის გრძელი მარცვლის შემდეგ ე. წ. ვაჟური—ჰეფთემიმერისი (შვიდი ნახევარტერფიანი). რომელსაც წინ უძღვის სქესა ცეზურა, უმეტესად ტრითემიმერისი (სამი ნახევარტერფიანი) მეორე ტერფის გრძელი მარცვლის შემდეგ.

Spónte suá | sine légе fidém | rectúmque colébat (Ov.).

თავისთავად, კანონების გარეშე, პატივში იყო სიმართლე, ნდობა.

ცეზურა შეიძლება იყოს მესამე ტერფის პირველი მოკლე მარცვლის შემდეგ ე. წ. ქალური — კატა ტრიტონ ტროქაიონ (მესამე მოკლეს შემდეგ).

Aút aliquis latet érror, equo ne crédite Téucri (Virg.).

ან სხვა ხრიკი რამ იმალება, ცხენს ნუ ენდობით, ტევკრნო.

**§ 253. ელეგიური დისტიქი** ორი ტაეპისაგან შედგენილი სტროფია, რომელშიც პირველი დაქტილური ჰექსამეტრია, მეორე კი დაქტილური პენტამეტრი.

დაქტილური პენტამეტრი შედგება ექვსი დაქტილური ტერფისაგან, მაგრამ მესამე და მეექვსე ტერფები შეკეცილია და თითო გრძელ მარცვალს შეიცავენ.

Dónec eris felix, multós numerábis amícos,

Témpora si fuerint, núbila sólus eris (Ov.).

ვიდრე ბედნიერი იქნები, მრავალ მეგობარს დაითვლი,

თუ დრო დაგიდგა ღრუბლიანი, მარტო დარჩები.

**§ 254. იამბიკური ტრიმეტრი** სამი წყვილი იამბური ტერფისაგან შედგება. ცეზურა მესამე ტერფის პირველი მარცვლის შემდეგ მოდის. გვხვდება მეოთხე ტერფის პირველი მარცვლის შემდეგაც. კენტი ტერფები შეიძლება სპონდეებმა შეცვალონ. პირველ ხუთ ტერფში დასაშვებია იამბის შეცვლა ტრიბრაქით.

Quis hóc potést vidére | quis polést patí? (Cat.)

ვის ძალუძს ამას უყუროს, ვის ძალუძს მოითმინოს?

**§ 255.** ლოგაედური საზომები. ფალეკოსური თერთმეტმარცვლოვანა პირველი ტერფი შეიძლება სამნაირად წარმოგვიდგეს:

Vívamus mea Lésbi(a) atqu(e) amémus (Cat).

ვიცხოვროთ, ჩემო ლესბია და გვიყვარდეს ერთმანეთი.

**§ 256.** მცირე ასკლეპიადური I

Éxegí monument|(úm) aeré pérennius (Hor.)

ძეგლი აეიგე სპილენძზე გამძლე.

# ქრესტომათია

## § 1

### კითხვისა და მახვილისათვის

Roma. Italia. Graecia. Publius Ovidius Naso. Amícus. Pópulus. Cícero. Caesar. Natio. Bestia. Atheniensis. Aristóphanes. Poëta. Pulcher. Pyrrhus. Xerxes. Ornamentum. Sicilia. Asia. Poena. Aqua. Auróra. Iúppiter. Amicitia. Causa. Caelum. Tenebrae. 'Incola.

### სიტყვების ახსნა:

Roma რომი
Italia იტალია
Graecia საბერძნეთი
Publius Ovidius Naso პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი
amicus მეგობარი
populus ხალხი
Cicero ციცერონი
Caesar კეისარი
natio ერი
bestia მხეცი
Atheniensis ათენელი
Aristophanes არისტოფანე
poeta პოეტი
pulcher ლამაზი
Sicilia სიცილია
Pyrrhus პირუსი
Xerxes ქსერქსე
ornamentum სამკაული
Asia აზია
Aurora ავრორა
poena სასჯელი
aqua წყალი
Iuppiter იუპიტერი
amicitia მეგობრობა
causa მიზეზი
caelum ცა
tenebrae წყვდიადი
incola მცხოვრები

## § 2

### PRAESENS INDICATIVI ACTIVI. INFINITIVUS PRAESENTIS ACTIVI. SUM
### ზმნის უღლება PRAESENS-ში

Laboramus. Audimus. Doceo. Bene disco et lego. Bene discere debes. Ubi es? Ubi estis? Hic sum, hic sumus. Quid legis? Quid legitis? Quid scribunt? Noctu dormiunt. Quo vadunt? Debemus bene laborare. Cur non audit? Saepe legimus et scribimus. Debemus honeste vivere.

---

Qui tacet, consentit.
Cum tacent, clamant (Cic.).
Nota bene (NB)
Vivere cogitare est.

თარგმნეთ ლათინურად:

რატომ არ კითხულობ? რას ისმენ? რატომ არ გძინავს? კითხულობენ. აქ არიან.

სიტყვების ახსნა:

laboro 1 ვმუშაობ
audio 4 ვისმენ
doceo 2 ვასწავლი
bene კარგად
disco 3 ვსწავლობ
et და (კავშ).
lego 3 ვკითხულობ
debeo 2 ვალდებული ვარ, მე უნდა...
ubi? სად?
sum ვარ
honeste პატიოსნად
vivo 3 ვცხოვრობ
taceo 2 ჩუმად ვარ, ვდუმვარ
consentio 4 ვეთანხმები
cogito 1 ვაზროვნებ
hic აქ
quid? რა?
scribo 3 ვწერ
noctu ღამით
dormio 4 მძინავს
quo? საით?
vado 3 მივდივარ
cur? რატომ?
non არა
saepe ხშირად
cum როცა
qui ვინც
clamo 1 ვყვირი
noto 1 აღვნიშნავ

## § 8

I კაზუსების არსებითი და ზედსართავი სახელები
წინდებულები: DE, A (AB), IN, AD; GENETIVUS OBIECTIVUS
შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, პირდაპირი დამატება

### De Italia

Italia est patria linguae Latinae. Lingua, quam nunc incolae Italiae adhibent, diversa est a lingua Latina. Lingua Latina nunc est lingua mortua, sed ad nonnullas disciplinas scientia linguae Latinae necessaria est.

Itaque debemus bene discere latine.

---

Charta non erubescit (Cic.).
Aquila non captat muscas.
Pecunia non olet (Suet.).
Amat victoria curam (Cic.)

თარგმნეთ

საქართველოს შესახებ

საქართველო არის ჩვენი სამშობლო. საქართველოს ბუნება ნაირფეროვანი და ლამაზია. საქართველოს ისტორია ძალიან ძველია. ანტიკური მწერლობა აღწერს საქართველოს, როგორც მდიდარ ქვეყანას.

სიტყვების ახსნა:

de (abl. წინდ.) შესახებ, ზე
terra, ae f მიწა, ქვეყანა
Europa, ae f ევროპა
natura, ae f ბუნება
varia ნაირნაირი, სხვადასხვა
pulchra ლამაზი
